Covid-19 has already transformed the economic structure of the world (Aptsiauri, 2020), including Georgia. With the huge influence on international trade, investments, tourism, remittances and etc. changing the global economic outlook as such (IMF, 2020). Prior to the pandemic, the tourism industry contributed 12 percent of Georgia's GDP and employed 120,000 people directly as well as an additional 500,000 indirectly. However pandemic decreased this numbers close to zero, with only two visitors from China in the first half of 2020, down from almost 50 thousand in 2019 (GNTA, 2020). As a result, the global drop-off in travel hit the Georgian economy hard and forced it to take out a \$1.5 billion (8.5 percent of GDP) international loan. Different international organizations have calculated the contraction of Georgia's economy at around 5 percent, worse than China (3 percent) but better than the EU average (around 10 percent).

Conclusion

Georgia – China economic cooperation despite its challenges has a room for further increase, which can boost not only Georgia, but also Chinese economy, as well as others. Simultaneous FTA with China and DCFTA with EU, with other countries in the queue increases Georgia's perspectives significantly.

Pandemic has put its own impact on Georgia – China cooperation, as well as to the cooperation of any other players in the world, but has shown a new path for further cooperation. With decreased FDI and tourism from China, the last managed to become the biggest market for Georgian products overwhelming Georgia's traditional markets.

Overall perspectives of Georgia – China cooperation could lead both countries to the new heights; however, without significant western support opportunities seems to be significantly limited, not only because of pandemic, but other open and hidden wars between the west and China.

References:

- Aptsiauri D. (2020). Current Trends in the Development of Modern International Economic Relations and Post-Virus Pandemic Crisis (COVID-19) Challenges. Expert Opinion 139. <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/139-expert-opinion-eng.pdf>
- Balogu I. E. (2020). Coronomics and Global Economy. University of Suffolk, United Kingdom. <https://dlc.dlib.indiana.edu/dlc/bitstream/handle/10535/10731/Coronomics%20and%20Global%20Economy.pdf?sequence=1&isAllowed=y>
- Barbate V. A., Aher D. N. (2020). Analysis of Covid-19 Pandemic Status Quo and Global Trade Economic Crises. Dogo Rangsang Research Journal. http://www.drsrcjournal.com/no_12_june_20/14.pdf?i=1
- Buheji M., Ahmed D. (2020). Foresight of Coronavirus (COVID-19) Opportunities for a Better world. American Journal of Economics, 10(2), pp.97-108. https://www.researchgate.net/profile/Mohamed_Buheji/publication/339973652_Foresight_of_Coronavirus_COVID-19_Opportunities_for_a_Better_World/links/5e9839f1299bf130799eabed/Foresight-of-Coronavirus-COVID-19-Opportunities-for-a-Better-World.pdf
- Charaia V. (2016). Economics of Conflict: Core Economic Dimensions of the Georgian-South Ossetian Context. International Journal of Humanities and Social Sciences, 3 (10), p.1. https://www.researchgate.net/profile/Vakhtang_Charaia/pub

lication/311713339_Economics_of_Conflict_Core_Economic_Dimensions_of_the_Georgian-South_Ossetian_Context/links/5856c3d908aeff086bfbd032/Economics-of-Conflict-Core-Economic-Dimensions-of-the-Georgian-South-Ossetian-Context.pdf

- Charaia V., Chochia A., Lashkhi M. (2018). The Caucasus 3 Plus the Baltic 3 and Economic Cooperation with China. *Baltic Journal of European Studies*, 8(2), pp.44-64. <https://content.sciendo.com/view/journals/bjes/8/2/article-p44.xml?language=en>
- Charaia V., Chochia A., Lashkhi M. (2020). The impact of fdi on Economic development: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, 10(2), pp.96-116. <https://content.sciendo.com/view/journals/bjes/10/2/article-p96.xml>
- Charaia V., Lashkhi M. (2018). An Analyses of the Motives Underlying Foreign Direct Investments (the Case of Georgia). *Central Asia & the Caucasus* (14046091), 19(4). <https://web.b.ebscohost.com/>
- <https://web.b.ebscohost.com/abstract?direct=true&profile=ehost&scope=site&authtype=crawler&jrnl=14046091&AN=133578531&h=oZzwFJ6oXkJnqKWY%2bq2KzejslmpOIgWKfXncqISeHx3gX%2fzpGoKzVfnDYyh0Tu0DIoHI2eiv3WZrMXK-b9UAA%3d%3d&crl=c&resultNs=AdminWebAuth&resultLocal=ErrCrlNotAuth&crl-hashurl=login.aspx%3fdirect%3dtrue%26profile%3dehost%26scope%3dsite%26authtype%3dcrawler%26jrnl%3d14046091%26AN%3d133578531>;
- Charaia V., Papava V. (2017). Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations. *China Int'l Stud.*, 67, p.122. http://eprints.tsu.ge/369/1/Charaia-Papava_Belt-and-Road_Georgia.pdf
- Charaia V., Papava V., Wang W. (2018). China-Georgia Economic Relations in the Context of the Belt and Road Initiative. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, 12(1). http://science.org.ge/bnas/t12-n1/25_Charaia.pdf
- Georgian National Tourism Administration. (2020). Statistics. <https://gnta.ge/statistics/>
- International Monetary Fund. (2020). The Global Economic Outlook During the COVID-19 Pandemic: A Changed World. <https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world>
- Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. 2017. Georgia-China Free Trade Agreement. <http://www.economy.ge/?page=news&nw=206&lang=en>
- National Bank of Georgia. (2020). Statistical Data. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=308>
- National Statistics Office of Georgia. (2020). External Trade. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/35/external-trade>

- National Statistics Office of Georgia. (2020). Foreign Direct Investments. <https://www.geostat.ge/en/modules/categories/191/foreign-direct-investments>
- OECD. (2020). The Global Outlook is Highly Uncertain. https://www.oecd.org/economic-outlook/june-2020/?utm_source=facebook&utm_medium=social&utm_campaign=econoutlookjun2020&utm_content=en&utm_term=pac
- Papava V., Charaia V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. GFSIS, Expert Opinion, (136). <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>
- World Investment Report. (2020). UNCTAD. <https://unctad.org/webflyer/world-investment-report-2020>

საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური თანამშრომლობა COVID-19-ის პანდემიამდე და პანდემიის პერიოდში

ვახტანგ ჭარაია

პროფესორი

საქართველოს საავიაციო

უნივერსიტეტი

vakhocharaia@gmail.com

მარიამ ლაშხი

მოწვეული დოცენტი

mariam.lashkhi09@gmail.com

კოვიდ-პანდემიამ მსოფლიო შეცვალა. ე.წ. „კორონომიკური“ გამოწვევა შეეხო როგორც ყველაზე მდიდარ, ასევე ყველაზე ღარიბ ქვეყნებსაც, თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი გამკლავება არა იმდენად სიმდიდრეზე, არამედ პრაგმატულ ნაბიჯებზე გახდა დამოკიდებული. გამოჩნდა კრიზისების მართვაში ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების როლი.

კორონომიკურმა კრიზისმა შექმნა არამხოლოდ ახალი გამოწვევები, არამედ ახალი შესაძლებლობებიც. მათ შორის - მსოფლიოს ნომერ მეორე ეკონომიკის მქონე ჩინეთსა და საქართველოს ურთიერთობებისთვისაც, რომელთა პოტენციალი და რეალობა ჯერ ისევ საკმაოდ დაშორისშორებულია. უფრო მეტიც, საქართველო-ჩინეთის კომბინაციამ, გლობალური, დაძაბული გეოპოლიტიკური კონტექსტის და საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგიული ორიენტირების მიუხედავად, სამყაროს შეუძლია მისცეს შესაძლებლობების ახალი პლატფორმა როგორც ვაჭრობის, ინვესტიციების, ტრანზიტის, ასევე სხვა პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად.

თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ მხოლოდ რაოდენობრივ გაუმჯობესებაზე თუ ვიმსჯელებთ, ხარისხობრივი მწვერვალების დაპყრობა კი კვლავაც მომავლის საკითხად რჩება. აღსანიშნავია, რომ შეზღუდული ქართულ-ჩინური თანამშრომლობის მიუხედავად, ჩინეთის ეკონომიკის როლი ქართულ ეკონომიკაში ბოლო 10 წელიწადში 6-ჯერ და უფრო მეტადაა გაზრდილი.

პანდემიური 2020 წლის განმავლობაში ჩინეთი ნომერ პირველი საექსპორტო ბაზარი გახდა ქართული პროდუქციისათვის, თუმცა ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ და მხოლოდ სანედლეულო პროდუქციას შეეხება (78% სპილენძსა და სპილენძის მადნებზე მოდის). ფულადი გზავნილების, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების და ტურიზმის კუთხით თანამშრომლობა კი ჯერ ისევ განუვითარებელია.

მომავლის თანამშრომლობის სფეროებს შორისაა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების და მასთან ერთად ტრანზიტის შესაძლებლობის ამოქმედებაც, რომლის პირველი კონტურები უკვე იკვეთება, თუმცა მძალვრი საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია სრულფასოვნად ამოქმედდეს.

მიუხედავად ქართულ-ჩინური თანამშრომლობის სირთულეებისა, პანდემიურმა 2020-მა წელმა ნათლად დაგვანახა, რომ ურთიერთობის განვითარება ყველაზე რთულ დროსაც კი არის შესაძლებელი და შეიძლება გამოსავალიც კი – საქართველოსნაირი სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებსაც ამ წარმატების მისაღწევად რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოუწევთ, მათ შორის საკუთარი ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის ქრილშიც.

საკვანძო სიგყვები: კორონომიკა, გლობალური ეკონომიკა, საქართველო-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები.

JEL Codes: F00, F02, O11

ეკონომიკური თეორია ♦ ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY ♦ ECONOMIC POLICY

სიმდიდრის დაგროვების კანონი და კეთილდღეობა¹

გიორგი მალაშხია

პროფესორი (ემერიტუსი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

g.mal2012@yahoo.com

„*ჩა კახგი იქნებოდა, თუ ყვედა სახედმწიფოში
იახსებებდა ჭეშმახიგი შეხედულება სიმდიდრეზე*“
პლატონი

ნაშრომში გადმოცემულია სიმდიდრის შექმნისა და ზღის ახადი, აღჭენატიული კონცეფცია; ნაჩვენებია სიმდიდრის შექმნაში სხუდად და ნაწიდობივ უსასყიდო სოციალუი ენეხგიის წყახოთა - ბუნებხივი ხესუხსების - მზის ენეხგიის, კდიმაგის, მიწის ნაყოფიეხების, წიალი-სეული სიმდიდრის, ფდოხის ფაუნის, ჰიდოენეხგიის და სხვ., ასევე ან-თხოპოვენუი - გამოყენების პოცესში უქობადი, წინა თაობებისაგან გადმოცემული და ახდადმილებული ცოდნის, გამოცდილების, მეცნიეხებისა და ტექნიკის, ინოვაციუი აზრის მონაწილეობა და ხოდი სიმდიდრის წაჰმოებაში. დამტკიცებულია სიმდიდრის ზიდა მოგების - დანახაჯებზე ნამეტის სახით მილებული, ანუ დამატებული პოდუქტის წაჰმოქმნა სუდ უფხო მეტი მასშტაბით აღნიშნული უსასყიდო ხესუხსების შიომასა და წაჰმოების საშუალებებთან შეეხთებით. დასაბუთებულია, ხომ უსას-ყიდო სოციალუი ენეხგიის მზახიდი მასშტაბით ამოქმედების და კა-პიტადუი (გხედვადიანი მოხმახების) დოვდათის გამოყენების დოის წაჰმოების დოზე ჰამდენჯეჰმე გადამეტებისას, ასევე საზოგადოების მწაჰმოებდუი ძადთა სამომხმახებდო ძადებზე ჭაჰობობის წყადობით, სი-მდიდრის ზიდის ტემპი აღემატება მისი შექმნის ტემპს. ამით გამოიხა-ტება სიმდიდრის ზიდის კანონი. ნაჩვენებია სიმდიდრის ზიდის მიმახთ

1 იბეჭდება საკითხის განხილვის წესით.

საეხთო კეთილდღეობის ჩამოხრენა სიმდიდრის უსამაჰთო განაწილების, მოსახლეობის მეცისმეტი ქონებრივი უთანაბრობის, მოხმაჩების აჩაჩაციონადუხოობის, ასევე იმის გამო, რომ აჩსებობს უქმი ეკონომიკა, ჰომედსაც აჩ მოაქვს ჩეადუხი საჩგებლობა.

საკვანძო სიჭყვები: სიმდიდრე, სოციალუხი ენეჩგია, უსასყიდრო ჰესუხსები, უსასყიდრო სოციალუხი ენეჩგია, დამატებული ჰხოდექტი, სიმდიდრის დაგროვების კანონი, კეთილდღეობა, უქმი ეკონომიკა.

JEL Codes: D30, D31, D39

სიმდიდრე, როგორც ფართო განსჯის საგანი

სიმდიდრე უძველესი დროიდან იყო მეცნიერული კვლევის საგანი. არსებობს მრავალი კლასიკური წიგნი, მიძღვნილი სიმდიდრის შექმნის, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ფუნდამენტური პრობლემებისადმი. ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში V-IV სს. ჩვენს ერამდე **ქსენოფონტი** ნაშრომებში - „საოჯახო მეურნეობა“ და „გადასახადების შესახებ“, ფაქტობრივად, იკვლევდა სიმდიდრის წარმოებისა და გადიდების, მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორებს. ძველი რომაელი მოაზროვნეების ნაშრომები, კერძოდ, **კატონის** „მინათმოქმედება“ და **ვარონის** „სოფლის მეურნეობა“ მიძღვნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების - მაშინდელი სიმდიდრის ძირითადი ნაწილის წარმოების ორგანიზაციისადმი. XVIII საუკუნეში გამოიცა ფრანგი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის ა. **ტიურგოს** წიგნი „განსჯა სიმდიდრის შექმნასა და განაწილებაზე“. სიმდიდრის სხვადასხვა ასპექტს ეხება დიდი ინგლისელი ეკონომისტისა და ფილოსოფოსის **ადამ სმიტის** (XVIII ს.) ნაშრომები: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ და „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“. დიდი ეკონომისტი დ. **რიკარდო** სხვადასხვა კუთხით განიხილავდა სიმდიდრის შექმნისა და განაწილების საკითხებს. ეკონომიკური თეორიის კლასიკოსმა ჟ. ბ. **სეიმ** შეიმუშავა წარმოების ფაქტორებისა და დოვლათის განაწილების ორიგინალური თეორია. დიდმა თეორეტიკოსმა დ. მილმა გააღრმავა სიმდიდრის შექმნისა და განაწილების ფაქტორების თეორია. სიმდიდრე, მისი ზრდის ფაქტორები, განაწილება და საზოგადოებისათვის გამოყენების შედეგები სხვადასხვა ასპექტით გამოკვლეულია კ. **მარქსის** მრავალტომიან წიგნში „კაპიტალი“ და სხვა ნაშრომებში. XIX ს. ბოლოს ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. **კლარკმა** სიმდიდრეს

ორი ნაშრომი მიუძღვნა: „სიმდიდრის ფილოსოფია“ და „სიმდიდრის განაწილება“, რომლებშიც განხილულია სიმდიდრის შექმნისა და განაწილების საკვანძო საკითხები. XX საუკუნეში სიმდიდრის გარშემო შექმნილ ნაშრომებს შორის საგულისხმოა ა. პიგუს „სიმდიდრე და კეთილდღეობა“ და ა. შ. სხვადასხვა დროს სიმდიდრის თემა დიდ ადგილს იჭერდა ფილოსოფიური, სოციოლოგიური თუ მხატვრული აზროვნების სფეროში. ჩვენს დროში სიმდიდრისადმი მიძღვნილია მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული, პუბლიცისტური, მხატვრული თხზულება. ამრიგად, სიმდიდრე მეცნიერების ერთ-ერთი საკვანძო თემაა, ეკონომიკურ მეცნიერებას კიდევაც თვლიან სიმდიდრის შესახებ მეცნიერებად.

საინტერესო და საყურადღებო აზრები მოიპოვება ხალხურ შემოქმედებაში სიმდიდრეზე, მის რაობაზე, მნიშვნელობაზე ადამიანებისათვის, მისდამი სწორი დამოკიდებულების, მისი ფლობის სხვა ასპექტებზე, რომელთა გათვალისწინება უდავოდ სასარგებლოა.

აღნიშნულის მიუხედავად, სიმდიდრის თემა თეორიული ასპექტით, სრულიადაც არაა ამოწურული. დაზუსტებას, ახლებურ გაშუქებას საჭიროებს მისი რიგი ასპექტი რაც შეეხება სიმდიდრის რაობას, წარმოებას, სტრუქტურას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას. სიმდიდრის თეორიის გაღრმავებამ უნდა მოგვცეს უფრო სრული და ჭეშმარიტი ცოდნა ამ მეტად მნიშვნელოვან ფენომენზე.

ამჯერად შევეცდები მოკლედ, გარკვეული შევსებით გადმოვცე სიმდიდრის გარშემო ჩემი ხანგრძლივი კვლევის ცალკეული შედეგები, რაც ასახულია ჩემს ადრინდელ შრომებში – „მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია“ (მაღაშხია გ. 1995, 560), „მცირე ეკონომოლოგია. ეკონომიკური თეორიის ახალი პარადიგმები“ (Магашхия Г. 2018, 241) და სხვა.

მოვლენების ღრმა წვდომისათვის ვცდილობ გავაფართოვო კვლევის მეთოდოლოგია. ამ მიზნით, კლასიკურ მეთოდებთან ერთად ვიყენებ: **ანთროპოცენტრულ მიდგომას** - ეკონომიკურ და სოციალურ მოვლენათა განხილვას, ერთი მხრივ, ადამიანთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების, მეორე მხრივ, ადამიანთა შემოქმედებით-მწარმოებლური ძალის კუთხით; **აქსიომეტრიულ ანალიზს** - ცხოვრების ყოველგვარ მოვლენათა შეფასებას ადამიანურ ფასეულობათა - ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, მშვენიერების, სიყვარულის და ა.შ. საბოლოოდ, სიკეთისა და ბოროტების თვალსაზრისით; **ევდემონისტურ ხედვას** - სოციალურ-ეკონომიკურ პროცესთა და მოვლენათა აღქმას ადამიანთა ბედნიერების თვალსაზრისით.

ჩემი შეხედულებების ზუსტად გადმოცემისათვის ვიყენებ ცნებებს: სოციალური ენერგია, უსასყიდლო რესურსები, დამატებული პროდუქტი, უქმი ეკონომიკა და სხვ.

სიმდიდრის რაობისა და შედგენილობის შესახებ

პირველ რიგში, ვაზუსტებ სიმდიდრის რაობის განმარტებას, მისი შედგენილობისა და სტრუქტურის შესახებ წარმოდგენას, რაც არსებობს მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

სიმდიდრეს ჩვეულებრივ განმარტავენ ეკონომიკური თვალსაზრისით. მაგალითად, ავტორიტეტული ინგლისური გამოცემა – „თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ლექსიკონი“ იძლევა მის შემდეგ განმარტებას: „ყველაფერი, რასაც აქვს საბაზრო ღირებულება და შესაძლებელია გაიცვალოს ფულსა და დოვლათზე, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც სიმდიდრე. ის შეიცავს ფიზიკურ დოვლათს, ანუ აქტივებს, ფინანსურ აქტივებს, ჩვევებს, უნარებს, ე.ი. ყველაფერს, რამაც შეიძლება მოიტანოს შემოსავალი. ყველა ეს ელემენტი განიხილება სიმდიდრედ, როცა ისინი შეიძლება გაიყიდოს ან შეძენილ იქნეს სასაქონლო ბაზრებზე. სიმდიდრე შეიძლება დაიყოს ორ ძირითად სახეობად: ნივთობრივი სიმდიდრე, რომელიც განსახიერებულია ფიზიკურ და ფინანსურ აქტივებში და ინოვება კაპიტალად და - არანივთობრივი სიმდიდრე, რასაც ადამიანკაპიტალს უწოდებენ. სიმდიდრის ყველა სახეობას გააჩნია ძირითადი თვისება - მოაქვს შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს სიმდიდრის უკუგებას.“ (Pearce D. 1997, 530).

ამ განსაზღვრებაში სრულადაა ჩამოყალიბებული სიმდიდრის შესახებ თანამედროვე წარმოდგენა, რომლის მიხედვით ის განიხილება როგორც ეკონომიკური, საბაზრო ობიექტი.

მიმაჩნია, რომ სიმდიდრისადმი საჭიროა უფრო ფართო მიდგომა. კერძოდ, სიმდიდრეა ყოველივე ის, რასაც ადამიანისათვის რეალური სარგებლობა მოაქვს, ე.ი. ყოველგვარი სიკეთე, მიუხედავად მისი ფორმისა, მატერიალურია (ფიზიკურია) ის თუ არამატერიალური (არაფიზიკური). ძირთადად ასეთად განიხილება სიმდიდრე პრაქტიკაში. გარდა იმისა, რაც იგულისხმება სიმდიდრეში ზემოთ მოყვანილი განსაზღვრების მიხედვით, მას უნდა მივაკუთვნოთ არასაბაზრო ფასეულობებიც, რომელთაც ადამიანებისათვის სარგებლობა მოაქვს. კერძოდ, ასეთად შეიძლება უწინარესად ჩავთვალოს კლიმატური პირობები, დედამიწის კონკრეტული პუნქტის ადგილმდებარეობის ხელსაყრელობა ადამიან-

ნთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის. სიმდიდრის არამატერიალურ სახეობებს უნდა მიეკუთვნოს სოციალური კავშირები, ე.წ. „სოციალური კაპიტალი“. ცხადია, სოციალური კავშირები ადამიანებისათვის დიდი სარგებლობის მატარებელია, მის გარეშე არავითარი საქმიანობა არ შეიძლება შედგეს. ამგვარი კავშირების მნიშვნელობა იზრდება თანამშრომლობის გაფართოების კვალობაზე ცხოვრების ყველა სფეროში ქვეყნების შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით. საზოგადოებრივ სიმდიდრეს უნდა მივაკუთვნოთ ასევე საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება, სამართლიანობა და ეკონომიკური, პოლიტიკური, პიროვნებათაშორის ურთიერთობების ეთიკურობა. არამატერიალური, უხილავი არასაბაზრო, ფულით განუსაზღვრელი ფასეულობები, რომლებიც სარგებლობის მატარებელია, არანაკლებ საჭიროა ადამიანებისთვის, ვიდრე სიმდიდრის მატერიალური სახეები.

მაშასადამე, სიმდიდრეზე მსჯელობისას სიმდიდრის ჩვენ მიერ აქ დასახელებული სახეობები არ უნდა იქნეს გამოტოვებული. ისინი შესაძლებელია უშუალოდ არ მიეკუთვნოს ეკონომიკურ ურთიერთობათა საგანს, მაგრამ მცირე კავშირი როდი აქვთ ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებთან, ურთიერთობებთან. მათი შედეგები ირიბ გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე, დოვლათზე უმთავრესად კი, პოზიტიური სოციალური სიკეთის მატარებლებია.

ცივილიზაციის პროგრესთან ერთად მათი მნიშვნელობა იზრდება. მაშასადამე, ეკონომიკურ მეცნიერებაში მათ უნდა დაეთმოს სათანადო ადგილი და ყურადღება. ამათან ერთად, ისინი დეტალურად უნდა განიხილებოდეს სოციალური ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის მიერ.

ცალკეული ქვეყნებისა და მსოფლიოს სიმდიდრის შესახებ საკმარისი არაა სტატისტიკური მონაცემები, რაც მოიცავს სიმდიდრის ფულად ერთეულებში შეფასებად ელემენტებს. მიგვაჩნია, რომ სიმდიდრეზე სრული წარმოდგენისათვის, უნდა მოხდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის არამატერიალური და არაეკონომიკური ნაწილის შეფასება. შესაბამისი მეთოდის მეშვეობით შეიძლება მივიღოთ ამგვარ სიმდიდრეთა შესახებ მონაცემები თვისებრივი მახასიათებლების სახით. შესაძლებელია, მაგალითად, გამოვიყენოთ ცხოვრების ხარისხის ინდექსის მონაცემები და ა. შ. ასევე უნდა შევიმუშავოთ სხვა საზომები, მაგალითად, სოციალური კავშირებისათვის, სამართლიანობისათვის, ეთიკურობისათვის და სხვ. არსებული ინფორმაციის ბაზაზე გათვლილი ამ მონაცემებით შევსების შემდეგ, შესაძლებელი იქნება უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ქვეყნისა თუ მსოფლიოს სიმდიდრისა და მისი ცვლილების შესახებ.

სიმდიდრის შექმნასა და ზრდაზე მსჯელობისას, უნდა გავითვალისწინოთ მისი მატერიალური და არამატერიალური (იდეალური) შემადგენლების, მათი წარმოქმნისა და ზრდის, ასევე განაწილების, კეთილდღეობასთან დამოკიდებულების თავისებურებები. სტატიაში უმთავრესად განვიხილავ სიმდიდრეს ვიწრო გაგებით, როგორც ეკონომიკურ მეცნიერებაშია, ე.ი. რომელიც ფასდება ფულად ერთეულებში, წარმოადგენს საბაზრო ურთიერთობის საგანს, რამდენადაც სიმდიდრის ყველა სახეობის კვლევისათვის სათანადო ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. ამასთან, შესაძლო ფრგლებში ვხეხები სიმდიდრის არაეკონომიკურ სახეობებსაც.

სიმდიდრის შექმნისა და ზრდის პროცესი

ვფიქრობთ, სიმდიდრის შექმნისა და ზრდის პროცესის ეკონომიკური შინაარსი ახლებურად უნდა იქნეს გაგებული. საქმე ისაა, რომ არსებული თეორიები არაადეკვატურად და არასრულად ხსნის ამ პროცესს. არ გაითვალისწინება საწარმოო რესურსების ხასიათი წარმოშობისა და ეკონომიკური შინაარსის მიხედვით, მისი ასახვა წარმოების საბოლოო შედეგებში, შექმნილი დოვლათის რაოდენობასა და მის ზრდაზე. კერძოდ, ახლებურ გაშუქებას საჭიროებს სიმდიდრის შექმნასა და გადიდებაში უსასყიდლო რესურსების მონაწილეობა და როლი.

როგორც ცნობილია, მარტივ კვლავწარმოებას, ანუ წარმოების უცვლელი მასშტაბებით გამეორებას აზრი აქვს მის შედეგად მიღებული, წარმოების რესურსებიდან განსხვავებული, სრულიად ახალი პროდუქტების ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებლობის გამო, რაც უამისოდ შეუძლებელია. ასეთი კვლავწარმოება საზოგადოების ინტერესებს არასრულად შეესაბამება, არ ხდება კეთილდღეობის გაუმჯობესება. საზოგადოებისთვის კი აუცილებელია განვითარება, რისთვისაც წარმოების შედეგები მეტი უნდა იყოს გამოყენებულ საშუალებებზე. აუცილებელია რესურსების არსებობა და გამოყენება ასეთი ზრდისათვის, ისეთი რამ, რაც უზრუნველყოფს წარმოების შედეგების მეტობას დანახარჯენთან შედარებით. მაგრამ, როგორ შეიძლება ეს? ამაზე, ეკონომიკურ მეცნიერებაში, ჯერჯერობით, არაა სათანადო პასუხი.

მიგვაჩნია, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს ე.წ. კონიუნქტურული თეორია, რომ საბაზრო წონასწორობის პირობებში არ წარმოიშვება არც მოგება, არც ზარალი, ე.ი. შემოსავლები უდრის წარმოების დანახარჯებს.

ასეთ პირობებში არ არსებობს დაზოგვისა და დაგროვების წყარო, ეკონომიკა გაყინული ხდება. ეს ნიშნავს, რომ წარმოების ეფექტიანობა არ იზრდება, ეკონომიური ზრდის წყარო არ არსებობს, ეკონომიკური საქმიანობის შედეგი ნაკლებია.

დანახარჯებზე მეტი პროდუქტის მიღების ნამდვილ წყაროს ვერ გვიჩვენებს თეორიები, რომლებიც ასეთად მიიჩნევენ კაპიტალს, ასევე მენარმოებრივ უნარს (ნიჭს). ეს თეორიები მოგებას მიაწერს ერთ ფაქტორს, მაშინ როცა ერთი ფაქტორი არაფერს არ ქმნის, წარმოების შედეგი წარმოიქმნება ფაქტორთა ერთობლივი მოქმედებით. ამასთან, აღნიშნული თეორიები არ იძლევა დამატებელ პასუხს, თუ როგორ ქმნის კაპიტალი და სამენარმოეო უნარი განეულ დანახარჯებზე მეტ შემოსავალს, საიდან და როგორ წარმოიშვება ის.

ა. სმიტის მიხედვით, მოგება საქონლის დამატებული ღირებულების ნაწილია, რომელიც შექმნილია შრომით და რჩება შრომის ანაზღაურების (ხელფასის) გადახდის შემდეგ, მიითვისება კაპიტალისტის მიერ, უნაწილდება შესაბამის შემთხვევებში რენტისა და სასესხო პროცენტის სახით მინათმფლობელებსა და კრედიტის მიმწოდებლებს. (სმიტი ა. 2007, 114-129].

ამრიგად, ა. სმიტი ცნობდა მოგების შრომით წარმომავლობას. გამოდის, რომ წარმოების შედეგად არ წარმოიქმნება მეტი ღირებულება (პროდუქტი), ვიდრე დახარჯულია სახსრები. მოგება შექმნილი ღირებულების გადანაწილების შედეგია და არა გადამეტება დანახარჯებზე. მოგების შრომით წარმომავლობას იზიარებდა დიდი ეკონომისტი დ. რიკარდოც. აქაც მოგება ითვლება ერთი ფაქტორის შრომის ნაყოფად, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც ერთი ფაქტორი, როგორც აღინიშნა, არაფერს ქმნის, არც ღირებულებას.

კ. მარქსის ზედმეტი ღირებულების თეორია (მარქსი 1954, 227-384) დახარჯულ სახსრებზე მეტი შემოსავლის, მისი ტერმინოლოგიის მიხედვით, ზედმეტი ღირებულების (პროდუქტის) მიღებას ხსნის მუშაკთა აუნაზღაურებელი შრომის ნაყოფად, რასაც ითვსებას კაპიტალისტი. ასეთი მითვისება მუშაკთა ექსპლუატაციად განიხილება. ამრიგად, არსებითად დამატებული პროდუქტი - მოგება, მარქსის მიხედვით, ერთი ფაქტორით იქმნება, რაც, როგორც აღინიშნა, არ ხდება. ამ შემთხვევაში შექმნილი ღირებულება უდრის დანახარჯებს, არ წარმოიქმნება დამატებული პროდუქტი - ეკონომიკის ზრდისა და პროგრესის წყარო. ეს კი სინამდვილეში ასე არ არის.

ჯ. კლარკის მიხედვით, „თავისუფალი კონკურენცია მიისწრაფის მისცეს შრომას ის, რაც შექმნილია შრომით, კაპიტალის მესაკუთრეს - ის, რაც კაპიტალით იქმნება, მეწარმეს - ის, რაც კოორდინირების ფუნქციითაა შექმნილი“ (Кларк Дж. 2000, 11). აქაც ვხედავთ, რომ მიღებული შემოსავალი ითვლება ცალკეული ფაქტორის შექმნილად, მაგრამ ეს შემოსავლები, როგორც ითქვა, სინამდვილეში არ შეიძლება მიივანეროს ცალკეულ ფაქტორებს. არც ერთი განხილული თეორია ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ წარმოების პროცესის შედეგად, როგორც წესი, ვიღებთ მეტ პროდუქტს, ვიდრე განეული საერთო ხარჯებია. მოგება, თითქმის, გადანაწილების ხარჯზე წარმოიშობა, რაც ვილაცას ემატება, აკლდება სხვას ან ყველა იღებს იმდენს, რამდენიც შექმნა. საბოლოოდ იგულისხმება, რომ მიღებული პროდუქტის ღირებულება უდრის რესურსების მთლიან დანახარჯებს, წარმოების ფაქტორთა სუბიექტების წვლილს. სიმდიდრის ზრდა - განვითარების მთელი აზრი კი ისაა, რომ წარმოების შედეგი, როგორც წესი, მეტია განეულ დანახარჯებზე, ე.ი ვიღებთ წარმოების ფაქტორებზე დანახარჯებს დამატებულ პროდუქტს, რომელიც არის დაზოგვისა და განვითარების წყარო.

ეკონომიკურ თეორიათა ამ მიმოხილვის შემდეგ ჩვენი დასკვნა ისაა, რომ წარმოების პროცესის შედეგად დანახარჯებზე მეტი სიკეთის, პროდუქტის მიღების უმნიშვნელოვანესი ფაქტი ახლებურად უნდა აიხსნას. დანახარჯებზე მეტი შედეგის (დოვლათის) მიღების ალტერნატიული კონცეფციის ჩამოყალიბებისას, რა თქმა უნდა, არ ვეხები წარმოების ტექნოლოგიურ ასპექტებს, ყურადღებას ვამახვილებ მხოლოდ პრობლემის ეკონომიკურ მხარეზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მართებული იქნება წარმოების ფაქტორები დაიყოს მათი წარმომავლობისა და დანახარჯების წარმოქმნაში როლის მიხედვით. ასე, რომ გვაქვს სრულიად უდანახარჯო (უხასყიდლო), ნაწილობრივ დანახარჯიანი (ანაზღაურებადი) და მთლიანად ანაზღაურებადი რესურსები. საზოგადოების საწარმოო, ე.ი. წარმოების პროცესში მონაწილე ძალების პოტენციალს განვიხილავთ სოციალურ ენერგიად. შესაბამისად გვაქვს სოციალური ენერგიის სრულიად უხასყიდლო, ნაწილობრივ ანაზღაურებადი და სრულად ანაზღაურებადი ნაწილები. ამ საფუძველზე ვცდილობთ ავხსნათ დახარჯულ სახსრებზე მეტის სახით მიღებული პროდუქტის წარმოშობა. საგულისხმოა, რომ სიმდიდრის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოციალური ენე-

რგიის უსასყიდლო ნაწილს, ხოლო დანახარჯებზე მეტი - დამატებული პროდუქტის წყარო კი უსასყიდლო სოციალური ენერგიაა. მისი რესურსები შედგება სხვადასხვა ელემენტებისაგან.

ეს, პირველ რიგში, ბუნებრივი რესურსებია, რის გარეშეც არ არსებობს არავითარი წარმოება. ის უსასყიდლოა სრულად ან ნაწილობრივ არავის მიერ არა შექმნილი, ბუნებამ „მოუმზადა“ ადამიანებს და „ჩუქნის“ მათ. მზის ენერგია, კლიმატური პირობები, მიწის ნაყოფიერება სრულიად უსასყიდლოა. ჰიდრორესურსები, წიაღისეული, ლანდშაფტის სილამაზე და ა.შ. ბუნების „საჩუქრებია“, მაგრამ მათი გამოყენებისათვის აუცილებელია ადამიანთა შრომა და წარმოების საშუალებები, ე.ი. გარკვეული დანახარჯების განევა.

უსასყიდლო, აუნაზღაურებადია რიგი ანთროპოგენური რესურსი, რაც სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობს. ის, ისევე როგორც ბუნებრივი რესურსები, მრავალგვარია. ასეთია, პირველ რიგში, ცოდნა, გამოცდილება, მეცნიერულ - ტექნიკური მიღწევები, შემოქმედებითი მოღვაწეობის ყოველგვარი პროდუქტი, რაც გადმოეცემა მოქმედ თაობას წინა თაობებისაგან ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. უსასყიდლოდ უნდა ჩაითვალოს წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული კაპიტალი. ეს ნიშნავს, რომ სიმდიდრის შექმნაში არაპირდაპირ (არაცხადად) მონაწილეობენ წინამორბედი თაობები აღნიშნული უსასყიდლოდ წყაროებით. დანახარჯებზე მეტის, უსასყიდლო შედეგის მომცემ რესურსებად წარმოგვიდგება, აგრეთვე, ახალი ცოდნა, მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები, რაც ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს ემსახურება. ის მიიღება განათლებაზე, კვლევებზე, საძიებო-გამომგონებლურ სამუშაოებზე და ა.შ. გარკვეული დანახარჯების ფასად, მაგრამ მათზე დანახარჯები იძლევა დიდად მეტ შედეგს უსასყიდლო ძალების გამოყენებით.

უსასყიდლოს მიეკუთვნება ასევე ადამიანთა ბუნებრივი ნიჭი, განსაკუთრებით შემოქმედებითი უნარით უხვად დაჯილდოებულთა, გენიოსების უნარი, რომელთანაც დაკავშირებულია მნიშვნელოვანი, ზოგჯერ რევოლუციური მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევები, პროგრესი ეკონომიკაში. ყოველივე ეს ზრდის დამატებულ პროდუქტს და მთელ სიმდიდრეს.

კონკრეტულად როგორ წარმოიშობა დახარჯულზე მეტი შედეგი წარმოების პროცესში, ეს ყურადღების და პასუხის გარეშე რჩება. ყველა დაინტერესებულია დამატებული პროდუქტის მეტი სიდიდით და არა მისი წარმოქმნის მიზეზებით.

რესურსების ნაწილის უსასყიდლო ხასიათი შეიძლება ავხსნათ შემდეგნაირად. ბუნებასთან არ წარმოიშობა ეკონომიკური ურთიერთობა, ის უშურველი და უანგაროა, არ მოითხოვს არავითარ საზღაურს ადამიანებისაგან მიწოდებული უზარნაზარი რაოდენობის რესურსებისათვის. ანთროპოგენური რესურსების უსასყიდლოება კი იმით გამოიხატება, რომ წინა თაობები, ბუნების მსგავსად, უანგარონი არიან. ამ რესურსების მოხმარება დაკავშირებულია ბუნების უსასყიდლო ძალების გამოყენებასთან.

ამასთან ერთად, ანთროპოგენური უსასყიდლო ძალები ჩვეულებრივ თავიდანვე ატარებენ ინფორმაციულ ხასიათს, მრავალჯერ გამოიყენება მორალურად გაცვეთამდე, არ იხარჯება, არ ცვდება, ემსახურება წარმოების პროცესს ერთ დონეზე მწყობრიდან გამოსვლამდე. ცოდნის, მეცნიერულ - ტექნიკურ და ორგანიზაციულ სიახლეთა, ინფორმაციის მრავალჯერადი მოქმედება არ ზრდის მათზე დანახარჯებს, გარდა იმისა, რაც საჭიროა გამოყენებისათვის. შესაბამისად, მათი მონაწილეობა დოვლათის შექმნაში უსასყიდლოა.

უსასყიდლო ძალების მონაწილეობა სიმდიდრის შექმნაში ამითაც არ ამოიწურება. არსებობს კიდევ სოციალური ენერგიის სხვა უხილავი წყაროები. თუ დავაკვირდებით სიმდიდრის შექმნასა და ზრდას, დავინახავთ, რომ მასში მონაწილეობს ბუნებრივად მიმდინარე პროცესები, როგორიცაა: შრომის დანაწილება (სპეციალიზაცია), წარმოების კონცენტრაცია, კოოპერირება, კომბინირება, თანამშრომლობა და სხვა, რაც ასევე ატარებს უსასყიდლო ხასიათს. ამ შემთხვევებში პროცესები წარმოადგენს არა ადამიანთა შეგნებული მოქმედების შედეგს, არამედ ეკონომიკის ფუნქციონირების თანმდევს. ისინი, უშუალო დანახარჯების გარეშე, განაპირობებენ ეკონომიკური შედეგების მიღებას - წარმოების, შრომისა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლურობის, დამატებული პროდუქტის (მოგების) ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური ენერგიის თვისებას, რაც გამოიხატება იმით, რომ ის, ფიზიკური ენერგიისაგან განსხვავებით, მუდმივი კი არა, ცვალებადია, უმთავრესად იზრდება არამატერიალური ხასიათის წყაროების - ცოდნის, მეცნიერული მიღწევების, გამოგონებათა, ყოველგვარი ნოვაციების, ასევე ბუნების ძალთა ინტენსიური გამოყენების შედეგად.

ამრიგად, აღნიშნულ გარემოებათა გამო გვაქვს უსასყიდლო სოციალური ენერგია, რომელიც იძლევა დამატებულ - დანახარჯებზე მეტ

პროდუქტს. სახელდობრ ამ სოციალურ ენერგიას უნდა მივანეროთ სიმდიდრის ზრდა, რასაც ადგილი აქვს ცალკეულ საწარმოში, ქვეყანასა და მთელ მსოფლოში.

სრულიად და ნაწილობრივ უსასყილო რესურსების გამოყენებას აქვს საკვანძო მნიშვნელობა დოვლათის ზრდაში. რაც უფრო მეტად გამოიყენება ასეთი რესურსები, მით მეტია შრომისა და წარმოების საშუალებათა მწარმოებლურობა. ამაში გამოიხატება წარმოების, ეკონომიკის პროგრესი.

სიმდიდრის შექმნისა და ზრდის ღრმა განხილვისას შეიძლება დავინახოთ მისი გადიდების კიდევ ერთი მომენტი. განვითარებულ საზოგადოებაში სიმდიდრის ზრდა უსწრებს მის შექმნას, მწარმოებლური ძალა აღემატება სამომხმარებლო ძალას, გამოყენების ხანგრძლივობა დიდად ქარბობს წარმოების ხანგრძლივობას. ამის შედეგად გროვდება სიმდიდრე. ამაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ შექმნილ დოვლათში დიდი ადგილი აქვს კაპიტალურ, ხანგრძლივი მოხმარების დოვლათს, რომელიც მოხმარების აქტის დროს არ ქრება, განაგრძობს არსებობას. ის გარკვეული დროის მანძილზე, ხშირად დიდხანს გამოიყენება (შენობა-ნაგებობები და სხვ.). რა თქმა უნდა, კაპიტალური პროდუქტების სამომხმარებლო პოტენციალი კლებულობს ცვეთის შესაბამისად, მაგრამ მისი სარგებლობა თითქმის უცვლელია. მაგალითად, გზა, ლითონსაჭრელი დაზგა, კომპიუტერი, მტვერსასრუტი და ა.შ. ხანგრძლივად გამოიყენება და დაახლოებით ერთ დონეზე ემსახურება მომხმარებელს ცვეთის მიუხედავად. ეს მომენტი შესამჩნევად ზემოქმედებს სიმდიდრის ზრდის გასწრებაზე მისი შექმნის მიმართ. გაფართოებული კვლავწარმოების პირობებში სიმდიდრეს ყოველწლიურად ემატება ახლადშექმნილი პროდუქციის უდიდესი ნაწილი, ის მეტია მწყობრიდან გასული სიმდიდრეზე, რადგან წარმოების მასშტაბი ადრე ნაკლები იყო.

ამავე დროს, სიმდიდრის მოხმარება ჩამორჩება წარმოებას, კაპიტალური დოვლათის იმ თვისების გამო, რომ ის უფრო დიდხანს ძლებს, ვიდრე საჭიროა დრო მისი წარმოებისთვის. ამასთან, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ განვითარებული საზოგადოების მწარმოებლური ძალა მეტია სამომხმარებლო ძალაზე. აქედანაც გამომდინარეობს, რომ სიმდიდრის ზრდის ტემპი მეტია შექმნის ტემპზე.

საბოლოოდ, ნათელია, რომ საზოგადოება უფრო მეტად მდიდრდება, ვიდრე იქმნება სიმდიდრე, რაც სიმდიდრის დაგროვების კანონის არსის გამომხატველია. ეს თვალნათლივ დასტურდება იმითაც, რომ მსოფლი-

ოს სიმდიდრის მატებამ 2011- 2019 წლებში შეადგინა 56,3 % , მაშინ როცა მსოფლიოს მთლიანი პროდუქტი გაიზარდა 36,3 %-ით.¹

ზემოთ აღნიშნული მომენტები სიმდიდრის ზრდის გასწრების თაობაზე მის შექმნასთან შედარებით, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია ცალკეული პირებისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის თვალსაზრისით.

დამატებული პროდუქტისა და სიმდიდრის განაწილება

რაც შეეხება დამატებული პროდუქტის განაწილებას, ზემოთ გადმოცემული შეხედულების ლოგიკით, არ შეესაბამება სინამდვილეს მარქსიზმის მოძღვრება, რომლის მიხედვით, კაპიტალისტები ითვისებენ დაქირავებულ მუშათა შრომით შექმნილ ე.წ. ზედმეტ ღირებულებას (დამატებულ) პროდუქტს. ამას მარქსი უწოდებს მუშაკთა ექსპლუატაციას. მაგრამ დაქირავებული მუშაკები, როგორც წესი, იღებენ ხელფასს, რაც შეესაბამება მათ წვლილს დოვლათის შექმნაში. წარმოების საშუალებათა მფლობელები და ორგანიზაციული ფუნქციის შემსრულებლები კი, ეკონომიკური ძალაუფლების საფუძველზე, ითვისებენ მეტ ნაწილს, ვიდრე ეკუთვნით დოვლათის შექმნაში მათი წვლილის მიხედვით, ე.ი. იმ ნაწილს, რომელიც ობიექტურად, როგორც საყოველთაო უსასყილო რესურსების მონაწილეობის შედეგად შექმნილი, ეკუთვნის მთელ საზოგადოებას. მაშასადამე, იმთავითვე ამ მიზეზით, და არა მარქსის განმარტების მიხედვით, დოვლათისა და დამატებული - დანახარებზე მეტი - პროდუქტის განაწილება არის უსამართლო.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალისტების მიერ მითვისებული დამატებული პროდუქტის გამოყენება, რომლის უდიდესი ნაწილი უბრუნდება (ემსახურება) საზოგადოებას ინვესტიციების, ბიუჯეტში გადასახადების, ქველმოქმედების და სხვა სახით, ე.ი. ადგილი აქვს მის სოციალიზაციას. ამასთან, კაპიტალისტებს კიდევ რჩებათ მეტი, ვიდრე ეკუთვნით, რაც ხმარდება მათ ფუფუნებით მოხმარებას და სხვა სურვილებს. ამრიგად, საბოლოოდაც – დამატებული პროდუქტისა და სიმდიდრის კაპიტალისტური განაწილება არის უსამართლო.

¹ გაანგარიშებულია მონაცემების მიხედვით, რომლებიც აღებულია წყაროებიდან :ЭКОНС 25 октября 2019 ; Карманный справочник мировой статистики. ООН, Нью - Йорк , 2018 с.3. Всемирный банк . Анализ 30 января 2018. Пресс- релиз. №: 2018/097/ENR

უნდა ითქვას, რომ კაპიტალისტების როლი და ფუნქცია კ.მარქსის მიერ იგნორირებულია, რაც ეკონომიკურ სინამდვილეს ამახინჯებს. ისინი არ არიან პარაზიტები, არამედ უნდა მივაკუთვნოთ მშრომელებს. მათ შორის არიან დიდი ტალანტები, გენიოსებიც კი, რომლებიც საზოგადოებრივ პროგრესს ემსახურებიან.

ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალიზმის დროს ადგილი არა აქვს მუშაკთა შრომის ექსპლოატაციას. ისინი ხშირად იღებენ ნაკლებს, ვიდრე ეკუთვნით შექმნილი დოვლათის სამართლიანი განაწილების პირობებში.

კეთილდღეობის ჩამორჩენა სიმდიდრის ზრდისაგან

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, განვიხილავთ სიმდიდრის ზრდისა და კეთილდღეობის ურთიერთკავშირის საკითხს. მიგვაჩნია, რომ სიმდიდრე, განსაკუთრებით ეკონომიკური, უნდა განვიხილოთ ორი კუთხით: სახეზე არსებული სიმდიდრე და სასარგებლოდ გამოყენებული სიმდიდრე. ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება. პრაქტიკიდან ნათელია, რომ შექმნილი მატერიალური სიმდიდრის არც თუ მცირე ნაწილი რჩება სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებელი სხვადასხვა მიზეზით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეკონომიკური დოვლათი სრულად არ ტრანსფორმირდება სოციალურ სიკეთეში. ეს უწინარესად დაკავშირებულია სიმდიდრის არასამართლიან განაწილებასთან. ცალკეული ადამიანების ხელში გროვდება უზარმაზარი სიმდიდრე, საქმე გვაქვს ზღვარგადასულ ქონებრივ უთანასწორობასთან საზოგადოებაში, რომლის მდიდარი ნაწილის მიერ დაგროვილი სიმდიდრის გონივრული და რაციონალური გამოყენება არ ხდება. ამის გამო დოვლათის ნაწილი საზოგადოებაში გამოუყენებელია ან არასრულადაა გამოყენებული. საქმე ისაა, რომ დოვლათის სამართლიანი განაწილებისას, მისი სასარგებლო პოტენციალის „წონა“ - მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარი - მატულობს. სამართლიან განაწილებაში აქ ვგულისხმობთ საზოგადოების თითოეული წევრის მიერ იმის მიღებას, რასაც ის იმსახურებს პირადი შრომითი წვლილის მიხედვით დოვლათის შექმნაში ან შემოსავლის მიღებას ალტრუისტული პრინციპის საფუძველზე, მათ მიერ, ვისაც სხვადასხვა მიზეზით არ შეუძლია შრომითი საქმიანობა. სამართლიანი განაწილების დროს საზოგადოებრივი სიმდიდრიდან მიიღება მეტი სარგებლობა, ვიდრე უსამართლო განაწილების პირობებში. უკანასკნელ შემთხვევაში,

დოვლათის სარგებლობის პოტენციალის ნაწილი იკარგება, მისი ნაწილობრივ ან სრულიად გამოუყენებლობის, ცაკლუელი ადამიანების მიერ ზედმეტი, სამომხმარებლო ძალაზე ჭარბი დოვლათის დაგროვების გამო.

სიმდიდრის განაწილების უსამართლობის შედეგად არსებობს უკიდურესი უთანაბრობა. ასე, მაგალითად, 1980- 2016 წლებში ყველაზე მდიდარი მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ მსოფლიოში შედგინა 27 %, ხოლო ყველაზე ღარიბებისამ - 13%.¹ ამრიგად, ეკონომიკური პროგრესი განსხვავებულ გავლენას ახდენს მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილის კეთილდღეობაზე.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მონაცემებით, მდიდრებისა და ღარიბების კეთილდღეობის განსხვავება იზრდება. ორგანიზაციაში შემავალ 34 ქვეყანაში ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10% იღებს თითქმის 10-ჯერ მეტ შემოსავალს, ვიდრე ღარიბი 10%.²

უნდა აღინიშნოს სიმდიდრის სარგებლობის ზრდის ისეთი უსასყიდლო ფაქტორი, როგორიცაა გონივრული და რაციონალური მოხმარება. როცა ეს დაცულია, ადგილი არა აქვს დოვლათის ზედმეტად დაგროვებას და მოხმარებას, რასაც ამჟამად ხშირად ვხვდებით, განსაკუთრებით მათი მიერ, ვისაც მაღალი შემოსავალი აქვს. ცნობილია, რომ ხშირად მომხმარებლები აგროვებენ ზედმეტ ნივთებს – შეძენის დროს არასწორი არჩევის, დაბალი სამომხმარებლო კულტურის, მოდის, სხვისი მიბაძვის, სახმარი ნივთების თავმოყრის ჩვევის გამო, პრესტიჟისათვის და სხვ. უხმარი რჩება საგნები, რომელთაც იძენენ ზოგიერთები (ე.წ. შოპოჰოლიკები) შეძენისადმი თვითმიზნური მიდრეკილების მიზეზით, იმის მიუხედავად, სჭირდებათ თუ არა ის. ყველაფერი ეს შეადგენს საოჯახო მეურნეობისათვის ზედმეტ - არასრულად ან სრულიად მოუხმარ პროდუქტებს. ასე თუ ისე, შეძლებულ ნებისმიერ ოჯახში იპოვით ამგვარ საგნებს. მფლანგველური დამოკიდებულების, მოხმარების დაბალი კულტურის მიზეზით იყრება მოხმარების საგნების არც თუ ისე მცირე ნაწილი.

სპეციალისტები თვლიან, რომ გამოუყენებელი და არასრულად გამოყენებული დოვლათი მთელი სამომხმარებლო დოვლათის ერთ მესამედს შეადგენს. სიმდიდრის ამ ნაწილის შექმნა და არსებობა სხვა არფერია, თუ არა უქმი ეკონომიკა. სიმდიდრის სარგებლობის პოტენციალის

1 Источник: CIA World Factbook World Inequality Lab Доклад о неравенстве в мире 2018.

2 World Inequality Lab Доклад о неравенстве в мире 2018.

სრულად გამოყენება კი შეამცირებს დანაკარგებს და გაზრდის კეთილდღეობის ამაღლების შესაძლებლობას, რაც ეკონომიკური განვითარების დიდი ხარვეზია.

მსოფლიოში სიმდიდრის ზრდისაგან კეთილდღეობის ჩამორჩენის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს მთლიანი სამამული პროდუქტის (მსპ) ზრდის გამსწრები მატება ხელფასის მატებასთან შედარებით, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან (იხ.ცხრილი 1):

მსპ-სა და ხელფასის მატება მსოფლიოში (%)

ცხრილი 1

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მსპ ¹	3,1	0,1	5,1	3,8	3,1	3,3	3,3	3,0	3,1	3,2
ხელფასი ²	1,2	1,6	2,2	1,0	2,2	2,0	2,1	1,8	2,4	1,8

ხელფასის წილი მსპ-ში 1970 წლის 51%-იდან მსოფლიოში, 2013 წელს შემცირდა 43%-მდე. აშშ-ში ეს წილი შეადგენდა 1950 წელს 65,4%-ს, 2000 წელს - 63,3 %-ს, 2012 წელს - 58,7%-ს.³

შექმნილი დოვლათის სამართლიან განაწილებასა და ზომიერ, რაციონალურ გამოყენებაში არის საზოგადოების საერთო კეთილდღეობის ამაღლების ყურადსაღები რეზერვი. მეტად არსებითია დოვლათის განაწილება იყოს სამართლიანი, ყველა მომხმარებელი კი - რაციონალური. მაგრამ ეს პირობები დარღვეულია. ამრიგად, ვხედავთ, რომ არსებობს სიმდიდრის რეალური სასარგებლო პოტენციალის წარმოების ზრდისაგან დამოუკიდებლად გადიდების ფაქტორები, რაც ყურადღებას იმსახურებს.

სიმდიდრეს თუ განვიხილავთ ფართო გაგებით, როგორც მსჯელობა იყო სტატიის პირველ ნაწილში, ვნახავთ, რომ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ სიმდიდრეს შორის არაა სრული პირდაპირი დამოკიდებულება. ამას შეიძლება თვალი მივადევნოთ ქვეყნების მსპ-ს სულადობრივი სიდიდისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული და გათვლილი კეთილდღეობის ამსახველი ინდექსების, მათ შორის ბედ-

¹ Источник: CIA World Factbook BBC NEWS Русская с служба, 15 мая 2015 г.

² МОТ. Доклад „Заработная плата в мире, с. 4.

³ Зарплаты в США. Tadviser, 23. 09. 2019.

ნიერების საერთაშორისო ინდექსის (ბსი)¹ და სოციალური პროგრესის ინდექსის (სპი)² შედარებით (იხ. ცხრილი 2):

ცალკეული ქვეყნების რეიტინგი მსპ-ის სულადობრივი სიდიდესა და ბსი და სპი-ს მიხედვით

ცხრილი 2

ქვეყნები	მსპ მოსახლეობის ერთ სულზე ³		ბსი ⁴		სპი ⁵	
	ადგილი	ათასი დოლ.	ადგილი	ინდექსი	ადგილი	ინდექსი
ნორვეგია	6	72,1	2	7,59	6	90,03
შვეიცარია	9	61,6	5	7,49	5	90,1
აშშ	11	59,8	18	6,89	18	86,4
ნიდერლან-დეები	13	53,9	6	7,44	7	89,8
იაპონია	27	42,9	54	5,92	17	86,4
ესპანეთი	31	38,9	36	6,31	16	87,0
იტალია	32	38,2	47	6,00	24	82,6
ესტონეთი	42	31,7	63	5,74	23	83,0
რუსეთი	59	27,9	59	8,00	67	67,2
ინდოეთი	122	7,18	133	4,19	93	58,4

¹ ბსიასახავს ადამიანთა კეთილდღეობასა და გარემოს მდგომარეობას ქვეყანაში. ინდექსის გაანგარიშებისათვის სამი მაჩვენებელი გამოიყენება: ადამიანთა ცხოვრებით სუბიექტური დაკმაყოფილება, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა და ე.წ. ეკოლოგიური უსაფრთხოება.

² სპი 50 მაჩვენებელს ითვალისწინებს. ისინი სამ ჯგუფად ერთიანდება: ადამიანთა ძირითადი ცხოვრებისეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; ადამიანის კეთილდღეობის საფუძვლები - საბაზო ცოდნისადმი და კომუნიკაციის საშუალებებისადმი მისაწვდომობა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა; ადამიანის განვითარების შესაძლებლობები - პირადი და სამოქალაქო თავისუფლების დონე, ადამიანის უფლებათა და შესაძლებლობათა უზრუნველყოფა გადანაცვლებათა მიღებისა და თავისი პოტენციალის რეალიზების მხრივ.

³ [ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_\(ППС\)_на_душу_населения](http://ru.wikipedia.org/wiki/Список_стран_по_ВВП_(ППС)_на_душу_населения)

⁴ <https://gtmarket.ru/ratings/satisfaction-with-life-index/info>

⁵ <https://gtmarket.ru/research/social-progress-index/info>

ამ შერჩევითი მონაცემების მიხედვით, ცალკეულ ქვეყნებში უკეთესი მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებელია (მსპ), ვიდრე ბსი: აშშ-ში, იაპონიაში, ესპანეთში, იტალიაში, ესტონეთში, ინდოეთში, ხოლო სპი უმჯობესია, ვიდრე მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებელი – შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, იაპონიაში, ესტონეთში, ინდოეთში. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სხვა ქვეყნებში ანალოგიური სურათია, რაც მიუთითებს მატერიალურ პირობებზე კეთილდღეობის არასრული დამოკიდებულების და მასში არამატერიალური ელემენტების მნიშვნელოვანი როლის შესახებ.

ამიტომაც, მომავლისათვის ყურადღების საგანი უნდა იყოს ეკონომიკური ზრდის ზღვარი, რის შესახებაც საკითხი ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა პერიოდში წამოჭრეს „რომის კლუბის“ წარმომადგენლებმა. უთუოდ, არასწორია ყველა ქვეყანას მიზნად ჰქონდეს მუდმივი ეკონომიკური ზრდა, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულებს. ზრდის ტემპი უნდა განისაზღვროს აუცილებლობის მიხედვით და არ უნდა იყოს თვითმიზანი.

დასასრულ, ყურადღებას გავამახვილებ კეთილდღეობის ისეთ წყაროებზე, როგორიცაა უხილავი სოციალური სიმდიდრე, რასაც არა აქვს მატერიალური და ფულადი განზომილება და რისი შედეგები შეიძლება გაიზომოს ან ნაწილობრივ აისახოს შესაბამისი ხარისხობრივი ინდიკატორებით. მას, როგორც სიმდიდრის შემადგენელს, ეკონომიკურ მეცნიერებაში ნაკლები ყურადღება ექცევა, რაც გაუმართლებელია, რამეთუ მისი დონის გარეშე საერთო კეთილდღეობა არ შეიძლება მაღალი იყოს, განსხვავება მატერიალურ დონესა და საერთო კეთილდღეობას შორის კი გაიზრდება. ის, როგორც ცხოვრებისეული მოვლენების და ურთიერთობათა თანმდევი ფასეულობა, შეიძლება ორადი ხასიათისა იყოს - ეკონომიკური და სოციალური, ან მხოლოდ სოციალური შედეგების მომტანი.

სოციალური კავშირები ადამიანის ცხოვრების თანამგზავრია თავისი სხვადასხვა ფუნქციით. მათ გარეშე, თანამედროვე პირობებში, საქმიანობა შეუძლებელია ან მისი ეკონომიკური და სოციალური სიკეთე დიდად მცირდება. წესრიგი როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სიკეთეთა შექმნის საკვანძო ფაქტორია. მისი მნიშვნელობა დიდია ცალკეული ეკონომიკური ერთეულების, ასევე მთელი საზოგადოების მასშტაბით. წესრიგი ადიდება საქმიანობის ეფექტიანობას ყველა სფეროში და აუმჯობესებს ცხოვრების პირობებს, რის გარეშე ადგილი აქვს ქაოსს და დანაკარგებს. წესრიგის სასარგებლო შედეგები მთლიანობაში შეუძლებელია გაიზომოს ზუსტ ერთეულებში, მაგრამ შეიძლება შეფასდეს ხარისხობრივად.

ისეთ უხილავ ეკონომიკურ სიკეთეებს, როგორიცაა: ეთიკურობა, სამართლიანობა, თავისუფლება, უსაფრთხოება და სხვა, პირდაპირი ეკონომიკური შედეგი არ გააჩნიათ, მაგრამ მათი როლი დიდია ეკონომიკის ფუნქციონირებაში. მაშასადამე, ისინი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკის ეფექტიანობის ფაქტორებად, მისი განვითარების რესურსებად. მათი ძირითადი შედეგები კი სოციალური სიკეთეა. არაეთიკური, უსამართლო, არათავისუფალი და ა.შ. საზოგადოება, კოლექტივი, პიროვნება არ შეიძლება ცივილიზებული და ჰუმანური, ადამიანთა იდეალის შესატყვისი, ბედნიერი იყოს. საბოლოოდ გვეყოლება საზოგადოება, რომელსაც აკლია კეთილდღეობისათვის აუცილებელი ელემენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ სიმდიდრის დასახელებული სახეობები მონაწილეობს საზოგადოების განვითარების დონის ჩამოყალიბებაში, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების პირობათა შექმნაში, მისი ცივილიზებულობის, ადამიანურობის, ხარისხის გარანტიების შექმნაში. ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმდიდრის ეკონომიკური სახეობები. საზოგადოება განვითარების მით უფრო მაღალ დონეზეა, რაც უფრო მეტად არსებობს ეს ფასეულობები და რეალიზდება ისინი ცხოვრებაში. ამას, პირველ რიგში, უნდა აცნობიერებდნენ ქვეყნების ლიდერები, პოლიტიკოსები. მსოფლიოში მთლიანად ამ მხრივ გარკვეულ პროგრესს ვხედავთ, მაგრამ რჩება მრავალი პრობლემა, რომელთა გადაჭრა დაბრკოლებებს ხვდება. პროგრესული კაცობრიობის ძალისხმევა უთუოდ იქნება მიმართული მათი გადაჭრისაკენ, რაც აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ვასკვნით, რომ სიმდიდრის თეორია საჭიროებს გაფართოებას და ფუნდამენტურ დებულებათა გაახლებას. პირველ რიგში, ფართო გაგებით, სიმდიდრის შედგენილობაში უნდა გავითვალისწინოთ არაეკონომიკური, უხილავი ფასეულობები, რომელთაც ადამიანებისათვის, საზოგადოებისათვის მოაქვს სარგებლობა. შემდეგ, სათანადოდ უნდა შეფასდეს სიმდიდრის შექმნაში სრულიად და ნაწილობრივ უსასყიდლო, აუნაზღაურებადი ბუნებრივი და ანტროპოგენური რესურსების როლი და ეკონომიკური შინაარსი, რაც ქმნის უსასყიდლო სოციალურ ენერგიას - დანახარჯებზე დამატებული პროდუქტის წყაროს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სწორედ ეს მიმატებული პროდუქტია სიმდიდრის ზრდისა და დაგროვების წყარო.

განვითარებული საზოგადოების სიმდიდრე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე დოვლათის წარმოება კაპიტალური დოვლათის თვისების შედეგად, რაც გამოიხატება იმით, რომ მისი სამსახურის დრო მრავალჯერ აღემატება წარმოების დროს. ამასთან, მისი არამატერიალური ნაწილი მოხმარებისას არ ქრება, მხოლოდ შეიძლება მორალურად გაცვდეს. ასევე, განვითარებული საზოგადოების მწარმოებლური ძალები აღემატება მის სამომხმარებლო ძალებს.

ახლანდელი ეკონომიკური სისტემის პირობებში შექმნილი დოვლათის განაწილება არასამართლიანია იმის გამო, რომ ეკონომიკური ძალაუფლების - წარმოების საშუალებათა კერძო მფლობელებს და მმართველობითი ფუნქციის შემსრულებლებს აქვთ შესაძლებლობა მიითვისონ მეტი, ვიდრე ეკუთვნით დოვლათის შექმნაში მათი წვლილის მიხედვით. სწორედ ამის შედეგად წარმოიქმნება საზოგადოებაში უკიდურესი ქონებრივი უთანაბრობა, რაც ამცირებს სიმდიდრის გამოყენებისა და სარგებლობის პოტენციალს.

დოვლათის მოხმარება არარაციონალურობით, დაბალი კულტურით, მფლანგველობით ხასიათდება, მომხმარებლების დიდი ნაწილში საჭირო ზომიერების არ არსებობის გამო. საერთო კეთილდღეობა თანამედროვე პირობებში ჩამორჩება სიმდიდრის ზრდას, სწორედ დოვლათის არასამართლიანი განაწილებისა და არარაციონალური მოხმარების შედეგად.

ხალხებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე დგას გამოწვევა გადალახულ იქნეს გარღვევა სიმდიდრის ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას შორის, რაც დაკავშირებული იქნება სიმდიდრის სამართლიან განაწილებასა და რაციონალურ, ზომიერ და გონივრულ მოხმარებასთან, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაღალ ეთიკურობასთან, ჰუმანურობასთან. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდისა და საერთო კეთილდღეობის ტემპების დაახლოებას და თანხვედრას.

ლიტერატურა:

- Малашхия Г.М. (2018). Малая экономология. Новые парадигмы экономической теории. Palmarium Academic Publishing. Саарбрюккен (Германия), 241 ст.
- Пеарце Д. (гл. ред) (1997). Словарь современной экономической теории перевод с англ. ИНФА- М., 608 ст.
- მაღაშხია გ. (1995). მეტაეკონომიკა - ეკონომიკის ფილოსოფია. ეკონომიკა, თბილისი, 560 გვ.

- მარქსი კ. (1954). „კაპიტალი“, ტ. 1 საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 992 გვ.
- სმიტი ა. (2007). გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტ.1. ი.ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 504 გვ.
- Кларк Дж. (2000) Распределение богатства. Перевод с англ. Гелиос АРВ, М., 368 стр.

References:

- Clark J. (2000). Distribution of Wealth. Translation from English. Helios ARV, M., p. 368. (In Russian).
- Malashkhia G. (1995) metaekonomika - ekonomikis pilosopia. [Metaeconomics - Philosophy of Economics. Economics, Tbilisi, pp. 560.] in Georgian.
- Malashkhia G.M. (2018) Small Economology. New Paradigms of Economic Theory. Palmarium Academic Publishing. Saarbrücken (Germany), pp. 241. in Russian.
- Маркси К. (1954). “Kapitali”, tomi 1. [Marx K.“Capital.” vol. 1. State Publishing House of the Georgian SSR, Tbilisi, pp. 992.] in Georgian.
- Pearce D. (chief editor) (1997). Dictionary of Modern Economic Theory (translation from English.) INFA-M., pp. 608. in Russian.
- Smiti A. (2007) gamokvleva khalkhta simdidris bunebisa da mizezebis shesakheb. [Smith A. Exploration of the Nature and Causes of the Wealth of Peoples. Vol.1, I. Chavchavadze. State University. Tbilisi, pp. 504.]in Georgian.

The Law of Wealth Accumulation and Prosperity

Giorgi Malashkhia

Professor (Emeritus)

Georgian Technical University

g.mal2012@yahoo.com

The paper sets out a new, alternative concept of wealth creation and growth. The content and composition of wealth, which includes its non-economic (intangible) species, is presented in extended content. The concept of social energy - the potential for creating community wealth - has been introduced. Shown in the creation of wealth are completely and partially free social energy sources: natural resources - solar energy, climate, soil fertility, mineral wealth, flora, fauna, hydropower, etc., as well as anthropogenic - in the process of

application, knowledge, experience, science and technology, innovative thought passed down from previous generations and newly acquired and the role in the production of wealth. Wealth growth has been proven to be the production of a product obtained as a surplus of profit or expenditure by combining the above-mentioned free resources with labor and means of production. It is substantiated that the increasing rate of activation of free social energy and the use of capital (long-term consumption) over several times the production time, as well as the excess of the productive forces of society, the rate of wealth growth exceeds the rate of its creation. This is reflected in the law of wealth growth. The distribution of wealth, the foundations of its fair and unjust distribution, and its impact on overall well-being are newly discussed. The conditions for the common welfare of the society are established. Explains when and why economic prosperity is moving away from increasing overall well-being. The importance of a culture of wealth consumption, rational and moderate use for the common good and economic growth is also highlighted. Particular attention is paid to the unfair distribution of wealth, excessive property inequality, and irrational use in the pursuit of prosperity. Losses of overall well-being due to the idle economy - the production, accumulation and consumption of products that do not bring real benefits are shown. . The existence of such a difference in the present conditions in the world is confirmed on the basis of factual materials. Overcoming it is presented as one of the challenges facing humanity.

Keywords: Wealth, social energy, free resources, free social energy, added product, the law of accumulation of wealth, prosperity, ineffective economy.

JEL Codes: D30, D31, D39

მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა აგროსასურსათო სექტორში სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა

პაატა კოლუაშვილი

საქაჩთველოს გეგნიკუხი
უნივერსიტეტის პოფესორი
paata_koguashvili@hotmail.com

ნიკოლოზ ჩიხლაძე

აკაკი წეხეთდის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პოფესორი
chixi@mail.ru

გლობალური სასუხსათო კიზისი მნიშვნელოვნად ადღიეებს სახელმწიფოს მხიდან სოფდის მეუხნეობის დახმახებისა და ხეგუდღიების მოტივაციას, ხათა ამოქმედდეს ის ბეჰკეტები, რომდებიც აჩაა უზხუნვედყოფიდი თვითხეგუდღიების საბაზხო მექანიზმებით. მხოლოდ მჩავადი ფაქტოხის ბადანსიხებული მოქმედებით მიილწევა აგოხსასუხსათო სექტოხის ეფექტიანი მახთვა, ხაც საფუძვედს უქმნის დაფინანსების ყვედა სუბიექტის სოციადუხ-ეკონომიკუხი ინტეხესების მაქსიმადუხ და გახანტიხებუდ ხეადიზაციას.

გლობალური სასუხსათო კიზისი მნიშვნელოვნად ადღიეებს სახელმწიფოს მხიდან სოფდის მეუხნეობის დახმახებისა და ხეგუდღიების მოტივაციას, ხათა ამოქმედდეს ის ბეჰკეტები, რომდებიც აჩაა უზხუნვედყოფიდი თვითხეგუდღიების საბაზხო მექანიზმებით. მხოლოდ მჩავადი ფაქტოხის ბადანსიხებული მოქმედებით მიილწევა აგოხსასუხსათო სექტოხის ეფექტიანი მახთვა, ხაც საფუძვედს უქმნის დაფინანსების ყვედა სუბიექტის სოციადუხ-ეკონომიკუხი ინტეხესების მაქსიმადუხ და გახანტიხებუდ ხეადიზაციას.

საქაჩთველოში შექმნიდი აგოხსასუხსათო კიზისი, სუხსათზე ფასების პეჰმანენტუდი ზიდა დღის წესიღში აყენებს სახელმწიფო მახეგუდღიხებული (ჩამეჰვი) სამსახუხების შექმნისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღების აუცილებლობას.

ნაშოში განხილღია სახელმწიფო მახეგუდღიხებული სამსახუხების მოქმედების შესაძლებლობები აგოხსასუხსათო სექტოხში და აღნიშნღია იმ ობიექტუხი ფაქტოხების შესახებ, რომდებიც აუცილებდეს ხდიან სახელმწიფოს ჩაეხვას ბაზიის ხეგუდღიებაში. ჩატახებული ანადი-

ზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ასეთ სამსახურებს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ უზრუნველყონ მწახმოებების, გამსაღებების, მომხმარებლების შეკება და ეთობრივი გადაწყვეტილებების მიღება მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე, ხელი შეუწყონ სასუსათო ბაზაზე პოლექციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას. სტაგიაში ასევე გამოკვეთილია ძირითადი საფრთხეები და გლობალური გამოწვევები, ხაც შესაძლოა წახმომიშვას ამ სფეროს მახეგუდიხებული სამსახურების შექმნით.

საკვანძო სიგყვები: მახეგუდიხებული სამსახური, აგხოსასუსათო სექტორი, სასუსათო კიზისი, ფეხმეხი.

JEL Codes: O13, Q13, Q16, Q18

შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების სამმა ათწლეულმა აჩვენა, რომ მხოლოდ ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ე.წ. კომერციალიზაცია ვერ გახდება სოფლის მეურნეობის დაჩქარებული განვითარების, სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევის საშუალება.

უნდა აღინიშნოს იმ ობიექტური ფაქტორების შესახებ, რომლებიც აუცილებელს ხდიან სახელმწიფოს ჩარევას ბაზრის რეგულირებაში. კერძოდ, სურსათზე მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა შედარებით დაბალელასტიკურია სურსათზე არსებულ ფასებთან მიმართებით. სურსათზე ფასების ზრდის მიუხედავად, მოსახლეობა მაინც სტაბილურად მოიხმარს მას, თუმცა მოიხმარს იმდენს, რისი შეძენის საშუალებაც აქვს (მაგ., ყველაზე იაფს და აუცილებელს – პურს). ამასთან, მოსახლეობას კიდევაც რომ გაეზარდოს ფულადი შემოსავლები ან სურსათზე ფასებიც დაეცეს, მოთხოვნა ადეკვატურად არ გაიზრდება რადგან, აქ გარდა ეკონომიკურისა, ფიზიოლოგიური ფაქტორებიც მოქმედებს და ახდენს მოხმარების ლიმიტირებას. ამის სანინაალმდეგოდ, ფასებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე (საწვავი, კომბინირებული საკვები, სასუქი და ა.შ.) შედარებით მაღალი ელასტიკურობა ახასიათებს. ამ ვითარებაში ფასს, როგორც მოთხოვნა-მიწოდების რეგულატორს, არ შეუძლია თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება. საჭიროა გარე ფაქტორი სახელმწიფოს სახით, რომელმაც უნდა გამორიცხოს ფასების გაუმართლებელი რყევა

და არ დაუშვას არც მომხმარებლის და არც მწარმოებლის ინტერესების შელახვა.

ჩამრევი სამსახურების სპეციფიკა აგროსასურსათო სექტორში

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო რეგულირება აუცილებელია საქართველოსათვის, სადაც მეტისმეტად ღია ბაზარმა, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და სხვა მომსახურე დარგების მონოპოლიურმა მდგომარეობამ (განსაკუთრებით პურპროდუქტების სისტემაში, მეღვინეობაში, საკონსერვო მრეწველობაში, მინერალური სასუქების წარმოებაში და ა.შ.) და გადახდისუნარიანი მოთხოვნის დაცემამ არსებითად შეარყია აგროსასურსათო სექტორის ეკონომიკური მდგომარეობა. ამ ფონზე ეროვნული სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა განხილული უნდა იქნეს ეკონომიკური უშიშროების გადანყვეტის საერთო მექანიზმებთან მჭიდრო კავშირით. (კოლუაშვილი 2014, 45).

პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა ირღვევა მრავალი ფაქტორის ზეგავლენით (მოსავლიანი ან პირიქით, მოუსავლიანი წლები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.), რის გამოც ფასები მკვეთრად იცვლება. ამ შემთხვევაში ფასი, როგორც წარმოების სტიმულატორი, ვეღარ ასრულებს დაკისრებულ როლს, რადგან პროდუქციის მწარმოებლები ორიენტაციას კარგავენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი და იმავე პროდუქციის ფასები ხშირად და დიდი ამპლიტუდით იცვლება.

როგორ უნდა შენარჩუნდეს ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა, ანუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ბაზარზე სტაბილური ფასი, რომელიც მწარმოებელს უბიძგებს წარმოების გადიდებისაკენ და ამავე დროს დაიცავს მომხმარებლის ინტერესებსაც? სწორედ აქ უნდა შეასრულოს სახელმწიფომ მარეგულირებელი როლი და მიაღწიოს იმ ფუნქციების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტიანობას, ბაზრის მონაწილე ყველა სუბიექტის ინტერესების სამართლიან დაცვას და ქვეყანაში ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სტაბილურობას.

სახელმწიფო საბაზრო ურთიერთობებს არეგულირებს, პირველ ყოვლისა, საგადასახადო და საბაჟო მექანიზმებით. ის ზემოქმედებას ახდენს როგორც წარმოების განვითარებაზე, ასევე დასაქმებასა და ინფლაციაზე; ერთგვარად ავსებს საბაზრო მექანიზმის ხარვეზებს საქონელსა

და მომსახურებაზე ფასწარმოქმნისა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის საკითხში, რისთვისაც ახორციელებს წინასწარ შემუშავებულ და დეკლარირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას (პაპავა 2015, 34).

ამ მიზნით სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კერძო და კოოპერაციულ საკუთრებაზე დაფუძნებული მეურნეობების განვითარებას და აგრო-სასურსათო სექტორში საქონელმწარმოებლების რეალურ დასაქმებას. კერძოდ, ის ახორციელებს და შეიმუშავებს სოფლად საბანკო სესხების გაცემა-დაფარვის, ურთიერთდახმარების საღაროების ჩამოყალიბების, აგროწარმოების სტიმულირების ხელშემწყობი საგადასახადო სისტემის პირობებსა და მექანიზმებს (კოლუაშვილი და ჩიხლაძე 2017, 72). ყოველივე ეს აგრარული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია, რომლის სრული რეალიზაციისათვის აუცილებელია:

- მოწეული პროდუქციისათვის გლეხმა (ფერმერმა) მიიღოს ისეთი შემოსავალი, რაც უზრუნველყოფს მისი ოჯახის შენახვას, მისცემს მას პროდუქციის გაფართოებული წარმოების საშუალებას, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით;

- მოიხსნას/შემცირდეს პრობლემები კრედიტების ხელმისაწვდომობის, აგროტექსერვისის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (თესლის, მცენარეთა დაცვის, სასუქების, საწვავ-საცხები მასალების და სხვ.) უზრუნველყოფისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

ეს საკითხები ტიპურია და მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის მათი გადაწყვეტა მინდობილი აქვს მარეგულირებელ სტრუქტურებს, ანუ ბაზარზე ჩამრევ სამსახურებს, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროების დაქვემდებარებაში იმყოფებიან (სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, საგარეო ვაჭრობის). ისინი ერთსა და იმავე დროს არიან როგორც ადმინისტრაციული (მონაწილეობენ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობაში), ასევე კომერციული ხასიათის დაწესებულებები. ჩამრევი სამსახურები ისე არიან ორგანიზებულნი, რომ საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ მწარმოებლების, გამსაღებლების, მომხმარებლების შეკრებას და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე. ასეთი მარეგულირებელი სამსახურები არსებობს ერთმანეთისაგან ეკონომიკურად განსხვავებულ ქვეყნებში: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ახალი ზელანდია, ალჟირი, ბრაზილია, პოლონეთი და ა.შ.

როგორია ამ სამსახურების მეშვეობით პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების რეგულირების მექანიზმი?

მარეგულირებელი სამსახურები უზრუნველყოფს სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის ყველა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს კინგის კანონის (Gregory King) თანახმად. მწარმოებლები, რომლებიც ბაზრიდან შორს არიან, ანუ ვერ ფლობენ ბაზრის მოთხოვნებს, კარგავენ ორიენტაციას და ფასის ფაქტორი აღარ ასრულებს იმ როლს, რომელიც უნდა შეასრულოს ბაზარსა და წარმოებას შორის ტენდენციების განსაზღვრისათვის:

ა) როცა მიწოდება არასაკმარისია, მარეგულირებელ სამსახურს შეუძლია:

- უზრუნველყოს ადგილობრივი წარმოების სტაბილურობა (მათ შორის ფინანსურად), იზრუნოს პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე;

- განახორციელოს იმპორტი, აუცილებლობის შემთხვევაში გარკვეულწილად შეასრულოს მონოპოლისტის ფუნქცია. ამ დროს ეფექტიანია პროდუქციის შესყიდვის საერთაშორისო ტენდერით სარგებლობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანას პროდუქციის დიდი პარტია ესაჭიროება;

ბ) როცა მიწოდება მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება:

- შეზღუდოს ადგილობრივი წარმოება კვოტების დანესების გზით, ამასთან არ უნდა დაუშვას ფასების შემცირება, რათა ინტერესი არ დაუკარგოს მწარმოებელს; შესაძლებელია შეიზღუდოს ზოგიერთი უხვმოსავლიანი კულტურის პროდუქციის წარმოება;

- მიმოქცევიდან ამოიღოს ჭარბი პროდუქტი (დროებით). მიმართოს ის ექსპორტზე, შეინახოს საწყობში და უფრო გვიან (საჭირო მომენტში) გაიტანოს ბაზარზე;

- გააკონტროლოს იმპორტი, რათა ბაზარზე ადგილი არ ჰქონდეს ფასების მნიშვნელოვან რყევას.

როგორც ვხედავთ, მარეგულირებელ სამსახურებს აქვთ იმის საშუალება, რომ საწყის ეტაპზე გააწონასწორონ მოთხოვნა-მიწოდება. ამასთან, ფასი უნდა დარჩეს ისეთ დონეზე, რომ აგრომწარმოებელმა მიიღოს, როგორც ცხოვრებისათვის, ასევე პროდუქციის კვლავწარმოებისათვის საჭირო აუცილებელი შემოსავალი, ხოლო მომხმარებელმა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს ხელმისაწვდომი ფასებით. ამდენად, სახელმწიფო სასურსათო ბაზარზე ზომიერი ინტერვენციით ქმნის გარანტირებული ფასების სისტემას და საქონელმწარმოებლებს აძლევს სტიმულს წარმოების გაფართოებისათვის. ეს ფასები გარანტიაა მათთვის, ვისაც უნდა ამ სფეროში ჩადოს კაპიტალი, ცოდნა და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფასები ასრულებს პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციის ფუნქციას. ფასების ცვლილებაზე ოპერატიული და ეფექტიანი ზეგავლენა კი განსაკუთრებით საჭიროა მოკლევადიანი საქმიანობის პირობებში. მაგალითად, თუ ქვეყნის წინაშე დაისახა რძისა და რძის პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ამოცანა (თუ მას ამ მიზნის მისაღწევად აქვს ყველა საშუალება), მარეგულირებელი სამსახურის ძირითადი ფუნქცია იქნება ისეთი თანმიმდევრული გეგმის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის საკვები კულტურების წარმოების გადიდებას და ფურების პროდუქტიულობის ზრდის ამოცანის გადაწყვეტას.

რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს ამ შემთხვევაში?

- გაიზრდება მწარმოებელთა დაინტერესება, რომ რძის წარმოების გადიდების მიზნით შექმნან კოოპერატიული გაერთიანებები;

- შეიქმნება საჩვენებელი მეურნეობების ქსელი, რაც საშუალებას იძლევა, გამოინახოს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზები (მაგ., მერძეული ძროხების კვების ეფექტიანი მეთოდები);

- გაიზრდება დაინტერესება მაღალპროდუქტიული ჯიშის ძროხების მოშენებაზე;

- გაჩნდება ფინანსური დაინტერესება (დაბალი სარგებლის პროცენტიანი სესხების, თანამედროვე სანველი აპარატების შეძენისა და ნახირის სულადობის გასაზრდელად, სადგომების ასაშენებლად და სხვ.).

გარდა ამისა, მარეგულირებელი სამსახურები შეიძლება ჩაერთონ სხვა ისეთ საკითხებშიც, როგორიცაა:

- პროდუქციის წარმოების ხარჯების შემცირება;

- პროდუქციის მისადაგება ბაზრის მოთხოვნილებასთან;


- მაღალხარისხოვანი პროდუქტების წარმოების განვითარება.

რატომაა აუცილებელი მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა საქართველოში? – უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში არსებული უმწვავესი აგრარული კრიზისის, იმპორტზე დამოკიდებულების უკიდურესად მაღალი დონის, სასურსათო დამოუკიდებლობის დაკარგვის საშიშროებისა და სურსათზე ფასების პერმანენტული ზრდის გამო.

2018 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1358,8 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა 959,3 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიანად, 2010 წლის შემდეგ პერიოდში საქართველოში იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ჯამურმა ღირებულებამ შესაბამისი პერიოდისა და პროფილის ექსპორტს 4.5 მლრდ დოლარით

გადააქარბა (არჩვადე, კოლუაშვილი 2020, 3). 2019 წელს სურსათის იმპორტმა 980,9 მლნ დოლარი (მთლიანი იმპორტის 10,6%), ხოლო ექსპორტმა 244,6 მლნ დოლარი შეადგინა (საქსტატი, 2020), იხ. დიაგრამა:

სურსათის ზოგიერთი სახეობის იმპორტის დინამიკა 2017-2019 წლებში
(ათასი აშშ დოლარი) (საქ.სოფლის მეურნეობა 2020)



წყარო: შედგენილია ავტორთა მიერ საქსტატის მასალების მიხედვით.

რამდენადაც ჩამრევი სამსახურები ხელს უწყობს სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, საქართველომ უნდა შექმნას ერთი ან რამდენიმე მარეგულირებელი სამსახური - მარცვლეულის (ხორბალი), მეცხოველეობის პროდუქციის (ხორცი და რძე) და სხვა პროდუქტების წარმოების სფეროში (რამიშვილი, კოლუაშვილი 2020, 3).

იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ჩამრევი სამსახურები ქარბწარმოების პირობებში მუშაობენ, საქართველოში მათ ფუნქციონირება საპირისპირო პირობებში მოუწევთ. ამიტომ ამოცანებიც განსხვავებული ექნებათ. კერძოდ, მათ უნდა განსაზღვრონ ქვეყანაში წარმოებული საქონლის მოსალოდნელი რესურსები დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის, შეაფასონ (შეისწავლონ) მოსახლეობის მოთხოვნილება ამა თუ იმ პროდუქტზე, ბალანსური გაანგარიშების საფუძველზე წინასწარ დაადგი-

ნონ იმპორტის მოცულობა, რომელიც საჭირო იქნება ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების რაოდენობრივი თანაფარდობის შენარჩუნებისთვის. მარეგულირებელი სამსახურების ფუნქციონირებას მხოლოდ მაშინ მოაქვს სასურველი ეფექტი, თუ ის ხორციელდება სისტემურად და კომპლექსურად.

აგროსასურსათო სექტორის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობა

თანამედროვე პირობებში საქართველოს აგროსასურსათო სექტორი საჭიროებს სახელმწიფო მხარდაჭერას, რადგან საკუთარი რესურსებით მისი პოტენციალის სრულად ამოქმედებას შეიძლება რამდენიმე ათეული წელი დასჭირდეს. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მისი პოტენციალი არ შეესაბამება ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ დარგობრივ სტრუქტურას (აგრარულ-ინდუსტრიული) და ამდენად, ის არ შეიძლება მომავალში დღევანდელ დონეზე დარჩეს.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში მცირე სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რადგან ჩვენში, ისევე როგორც ქვეყნების უმრავლესობაში, მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი (ჩვენ შემთხვევაში მრავალფეროვანი) ბიოგეოკლიმატური პირობებით, კულტურათა სიმრავლითა და მათი მოვლა-მოყვანის სპეციფიკურობითაა განპირობებული. თუმცა, ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ განვითარებას.

მცირე აგრომეურნეობათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა არის მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმის დაფუძნება და მათი გადამამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრაცია. მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის გადამამუშავებისა და რეალიზაციის პრობლემებს, საფუძველს უქმნის შემდგომ ეტაპზე აგროწარმოების კონცენტრაციის უფრო მაღალი დონის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას. თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას, დავინახავთ, რომ კოოპერაციული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ინდივიდუალურის. განვითარების ეტაპების მიხედვით საწარმოო ურთიერთობების, ისევე როგორც საკრე-

დიტო-საფინანსო ინსტიტუტების ცვლილებები, სწორედ კოოპერაციული ინსტიტუტის დამკვიდრებასა და გაძლიერებასთანაა დაკავშირებული.

სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. როგორც დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, საკუთარი წარმოების სასურსათო უზრუნველყოფა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა, რასაც შეუძლია მულტიპლიკაციური ეფექტის მოცემა და გაძლიერებული მიგრაციის პროცესში მყოფი სოფლის გადარჩენა (Koguashvili, Chikhladze 2020, 162). ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სურსათის 70%-ზე მეტი. თუ გვსურს 2025 წლისათვის მივაღწიოთ გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, შემცირდეს სურსათის იმპორტისათვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა.

სურსათის ადგილობრივი რესურსების წარმოების გადიდება, ობიექტურად მოითხოვს სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისათვის საჭირო პროდუქტების წარმოებას. უნდა გვახსოვდეს 1990-ანი წლების აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების ვალუტის მოპოვების მცდარი სტრატეგია, როდესაც ყურადღების მიღმა დარჩა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აგრარული სექტორი. ვალუტის მოპოვება ქვეყნისათვის ე.წ. მეორადი ამოცანაა და ასეც უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაც და მათ შორის სოფლის მეურნეობაც ისე უნდა წარიმართოს, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს.

როგორ უნდა დაინტერესდეს მწარმოებელი სწორედ იმ პროდუქტის წარმოებით, რომელიც განვითარების ამა თუ იმ სტადიაზე სჭირდება საზოგადოებას და რომელიც უფრო ხელსაყრელია ქვეყნისათვის და საბოლოო ანგარიშით, თვით მწარმოებლისთვისაც?

ამ პრობლემას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით წყვეტენ, თუმცა მიდგომა პრაქტიკულად ყველგან ერთნაირია. კერძოდ, ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფო ატარებს მიზანმიმართულ პოლიტიკას ან მთელი აგრარული სექტორის, ან მისი ცალკეული დარგების მიმართ. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდამჭერი პოლიტიკა ბევრ ქვეყანაში კანონის რანგშია აყვანილი და როგორც წესი, გამიზნულია ხანგრძლივი პერიოდისათვის. ჩვენში ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზ-

ბის გამო ჯერ არ არის შემუშავებული და, ბუნებრივია, არც ხორციელდება. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უკანასკნელ პერიოდში აგრარულ და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ისეთი პარიტეტი ჩამოყალიბდა, რომელიც ამ უკანასკნელისათვის სასარგებლოა. არაფერს ვამბობთ სოფლად საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობაზე, ჯიშინი თესლითა და პირუტყვით უზრუნველყოფაზე და სხვა იმ საკითხებზე, რაც ნორმალურ პირობებში სახელმწიფოს ხელშეწყობით უნდა რეგულირდებოდეს.

შექმნილ სიტუაციაში, საჭიროა ხუთწლიანი პერიოდისათვის სასურსათო დარგების განვითარების ხელშეწყობი პირობების შემუშავება, როგორც ეკონომიკურ-ფინანსური, ასევე ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რომელიც უნდა მოიცავდეს საგადასახადო, სადაზღვევო და საკრედიტო სტიმულებს. შესაძლებელია პროდუქციის მწარმოებლებთან ფიუჩერული კონტრაქტების გაფორმების საფუძველზე გარანტირებული ფასების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისა და სხვა პირობების (განვადებით შეძენა და სხვ.) წინასწარ განსაზღვრა. ორგანიზაციული თვალსაზრისით მხედველობაში გვაქვს სრულფასოვანი საბითუმო ბაზრების ორგანიზება რაიონული ქრილით და მსხვილ ქალაქებში, რომელსაც სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა-მიწოდების მაღალი კონცენტრაციის უზრუნველყოფა შეუძლია, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით – შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომხმარებელამდე მოძრაობის პროცესში ჩართულია პროდუქციის დამამზადებელი და შემფუთავ-დამხარისხებელი საწარმოები, მარცვლეულის ელევატორები, ხილ-ბოსტნეულის საცავები, გადამამუშავებელი ქარხნები და ფაბრიკები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ქსელი, საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო კომპანიები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, ჯიშინი თესლის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქების მწარმოებელ, პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოთა ასოციაციები, კოოპერატივები, კორპორაციები და სხვ., რომელთა დამფუძნებლები, ძირითადად, თვით ფერმერები არიან. დღეს ბაზარზე გვაქვს კერძო სექტორს „ამოფარებული“ მონოპოლიური ფასები, რომელიც ერთსა და იმავე პროდუქციაზე, როგორც წესი, მხოლოდ იზრდება.

სახელმწიფომ ბაზარზე მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას და პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდების წონასწორო-

ბას, უპირველეს ყოვლისა, უნდა მიაღწიოს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სტრუქტურების შექმნით - მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურები, სასაქონლო ბირჟები, სავაჭრო სახლები, საბითუმო ბაზრები, კომერციული ცენტრები, სააგენტოები, საგარანტიო ფონდები, დარგობრივი ასოციაციები, კავშირები, საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრები და სხვ. ასევე, ეფექტური საგადასახადო, სადაზღვევო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში მთავარი როლი უნდა მიენიჭოს აგრობიზნესის სტრატეგიულ დარგებში დაკრედიტების (გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი), პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროგრამების, მარეგულირებელი სტრუქტურების ფორმირების პროექტების დაფინანსების საკითხს. პრობლემათა გადაწყვეტა მთავრობის ნებაზე და აგრარული სექტორის დარგების განვითარების ყოველმხრივ შეჯერებული პროგრამების შემუშავება-რეალიზაციაზეა დამოკიდებული.

დასკვნა

საქართველოში შექმნილი აგროსასურსათო კრიზისი, სურსათზე ფასების პერმანენტული ზრდა დღის წესრიგში აყენებს სახელმწიფო მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღების აუცილებლობას.

აგრარული სექტორის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა გადაუდებლად მოითხოვს მეწარმეობის და მეცნიერების პარტნიორობას, სამეწარმეო საქმიანობისადმი მხარდაჭერას, შესატყვისი ეკონომიკური გარემოს შექმნას, დარგობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულებათა გარდაქმნას.

პერსპექტივაში მაღალტექნოლოგიური სოფლის მეურნეობის ფორმირებისა და განვითარების მთავარი ბერკეტია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა, რაც ეფექტიანად ჩართავს სამეურნეო ბრუნვაში მთელ არსებულ რესურსებს.

გვახსოვდეს: სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრიაა!

ლიტერატურა:

- Koguashvili P., Chikhladze N. (2020). Innovative Approach to the Rural Development in Georgia. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 14, #1: 160-164. <http://science.org.ge/bnas/vol-14-1.html> /ბოლო ნახვა 30 სექტემბერი, 2020/
- არჩვაძე ი., კოლუაშვილი პ. (2020). საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №1.
- კოლუაშვილი პ. (2014.) სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი: გამომცემლობა „კოლორი“.
- კოლუაშვილი პ., რამიშვილი ბ. (2020). საქართველოში ხორცის მოხმარების ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის შეფასება. „ეკონომისტი“, N2. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/2%202020%20ekonomisti.pdf> /ბოლო ნახვა 30 სექტემბერი, 2020/
- კოლუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. (2017). სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - სამეწარმეო მობილიზაციის ეფექტური ფორმა. ბიზნეს ინჟინერინგი, №3, /ბოლო ნახვა 30 სექტემბერი, 2020/ <https://drive.google.com/file/d/1DaMoB-MpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view>
- პაპავა ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“.
- საქართველოს სოფლის მეურნეობა. საქსტატი, https://www.geostat.ge/media/31931/soflis_meurneoba_2019.pdf /ბოლო ნახვა 30 სექტემბერი, 2020/
- სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usaftrkhoaeba> /ბოლო ნახვა 30 სექტემბერი, 2020/

References:

- Archvadze I., Koguashvili P. (2020). saarsebo minimumi saqartveloshi da misi optimaluri donis gansazgvris aucilebloba. [The Subsistence Minimum in Georgia and the Necessity for Determining Its Optimal Level. "Econimics and Business", №1.] in Georgian.
- <https://drive.google.com/file/d/1DaMoB-MpC4lqEC9dGrO87ERCpII4WXZuX/view> / Access 30.09.2020/ in Georgian.
- <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usaftrkhoaeba> / Access 30.09.2020/ in Georgian.
- Koguashvili P. (2014) sasursato ushishroeba: realoba da prognozebi. [Food Security: Reality and Forecasts. Tbilisi, „Kolori“.] in Georgian.

- Koguashvili P., Chikhladze N. (2017) sasoflo-sameurneo kooperativi – samecarneo mobilizaciis efeqturi forma. [Agricultural cooperative - effective form of entrepreneurial mobilization biznes injineri “Business Engineering”.] №3. In Georgian.
- Koguashvili P., Chikhladze N. (2020). Innovative Approach to the Rural Development in Georgia. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 14, #1 : 160-164. <http://science.org.ge/bnas/vol-14-1.html> /Access 30.09.2020/
- Koguashvili P., Ramishvili B. (2020). saqartveloshi xorcis moxmarebis optimaluri moculobisa da struqturis shefaseba [Assessment of the optimal quantity and structure of meat consumption in Georgia “Ekonomisti”№2.] in Georgian. <http://ekonomisti.tsu.ge/doc/2%202020%20ekonomisti.pdf> /Access 30.09.2020/
- Papava V. (2015). sakartvelos ekonomika, repormebi da psevdorepormebi. [Georgian Economy, Reforms and Pseudo-Reforms. Tbilisi, Publishing House “Intellecti”.] in Georgian.
- Sakartvelos Statistikis ErovnuLi Samsakhuri. [National Statistics Office of Georgia].
- saqartvelos soflis meurneoba [Agriculture of Georgia]. Sakartvelos Statistikis ErovnuLi Samsakhuri. [National Statistics Office of Georgia] https://www.geostat.ge/media/31931/soflis_meurneoba_2019.pdf /Access 30.09.2020/ in Georgian.

The Establishment of Regulatory Agencies in the Agri-Food Sector is a State Necessity

Paata Koguashvili

*Professor, Georgian Technical University
paata_koguashvili@hotmail.com*

Niko Chikhladze

*Professor, Akaki Tsereteli State University
chixi@mail.ru*

The global food crisis significantly strengthens the motivation of a State to assist and regulate the agricultural sector with a view to applying leverage that is not provided for by self-regulated market mechanisms. In the current context, the agri-food sector of Georgia requires state support, because it can take several decades to realize its full potential from its own resources.

Solving the food security problem would amount to the preservation of the country’s political and economic independence. We still import more than 70% of foodstuffs needed by the population. If we are to achieve a positive trade balance by 2025, we must massively increase agricultural production with a view to reducing excessive spending of foreign currency on food imports.

In the current situation, it is necessary to develop conditions conducive to the development of the food sectors for a period of five years, both in economic-financial and organizational-legal terms, which should include tax, insurance and credit preferences. It is possible to pre-determine the guaranteed prices, provision with material and technical means and other conditions (installment purchase, etc.) on the basis of concluding the futures contracts with manufacturers.

The State should first be obliged to protect the interests of producers and consumers in the market and ensure a balance between supply and demand for products, by creating the structures characteristic of a market economy, such as regulatory (interfering) services, commodity exchanges, trade houses, wholesale markets, commercial centers, agencies, guarantee funds, industry associations, unions, counseling-training centers and so on, as well as by developing and implementing the effective tax, insurance, financial, monetary, and investment policies.

The agri-food crisis in Georgia and the constant increases in food prices create an urgent need for establishing the state regulatory (interfering) services and the adoption of relevant legislation.

Keywords: Agri-food sector, farmer, regulatory service, agri-food crisis.

JEL Codes: O13, Q13, Q16, Q1

მეცნიერება ♦ ჯანდაცვა SCIENCE ♦ HEALTHCARE

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი სისტემა საერთაშორისო შეფასებებში და მისი გაუმჯობესების ზოგიერთი მიმართულება

ინეზა გაგნიძე

ასოცირებული პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ineza.gagnidze@tsu.ge

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინაჲე სწრაფი და ნახტომისებური განვითარება უკავშირდება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას. მსოფლიოში აღიაჩებული კვლევითი ორგანიზაციები პროგნოზირებენ, რომ სამეცნიერო კვლევას ვეჩ ჩაანაცვლებს ხელოვნური ინტელექტი. სტატიაში წაჩმოდგენილია ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული კვლევის ნაწილი და აღმოსავლეთ პაჩტნიოხოების ქვეყნებთან ეჩთად განხილულია საქაჩთვედოს სამეცნიერო-კვლევითი სისტემა საეჩთაშორისო მარვენებლებში. გაანალიზებულია საქაჩთვედოს ინოვაციუხოების შესაძლებლობები მსოფლიო ეკონომიკუჩი ფოჩუმის ბოლოდროინდელ ანგაჩიშებზე დაყჩნობით. ანალიზი და დასკვნები ეყჩნობა სამეცნიერო კვლევების პროექტიულობის შესახებ საქაჩთვედოში ჩატაჩებულ კვლევებსაც. იკვეთება ისეთი ღონისძიებების დასახვის აუცილებლობა, რომლებიც გააუმჯობესებს საქაჩთვედოს სამეცნიერო-კვლევითი სისტემის თანამედროვე პოზიციებს საეჩთაშორისო მასშტაბით. ქვეყანაში კვლევითი ინსტიტუტების დიდი უმიაზდესობა უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს, ჩის გამოც საუნივერსიტეტო გაჩემომ უნდა შექმნას წაჩმატების საფუძველი. თუმცა, ამ დაწესებულებებში ძიჩითადი აქცენტი სწავლებაზე კეთდება. ვფიქრობთ, აუცილებელია აკადემიუჩი პეჩსონადის წახადისება და შიდასაუნივერსიტეტო კვლევების დაფინანსების გაზიდა, აკადემიუ-

ჩი დატვიხთვის შემცირება და სტუდენტებისთვის კვლევითი უნახების განვითარების მიზნით, მათი აქტიური ჩაბრვა ამ პროცესში. ანადიზი ადასტუხებს, რომ მიზანშეწონილია სამეცნიერო აქტივობის მინიმადუხი მოთხოვნების შემუშავება, ვინაიდან აშკაა საკონკუხისო პეხიოდებს შოხის პეხსონადის აქტიუხოობის შესუსტება, ხაც წინააღმდეგობაშია საუნივერსიტეტო და მთლიანად ქვეყნის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებების გაუმჯობესების მიზანთან.

საკვანძო სიგყვები: აღმოსავლეთ პაჩტნიოხოობის ქვეყნები, სამეცნიერო-კვლევითი სისტემა, გლობადუხი კონკუხენტუნაჩიანობა, ინოვაციუხოობის შესადლებობა, სამეწაჩმეო უნივერსიტეტი.

JEL Codes: D41, L26, O31

შესავალი

მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ცენტრები მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოლოდინში ეკონომიკის განვითარების განსაკუთრებით სწრაფ ტემპებს პროგნოზირებენ. ვარაუდობენ, რომ „2022 წლისთვის ახალი პროფესიების წილი 11%-ით გაიზრდება“ (WEF FJR 2018, viii), „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში სამუშაო ადგილების 57% ავტომატიზაციის რისკის ქვეშ აღმოჩნდება“ (Nuttall, 2018), „დაწყებითი კლასების მოსწავლეთა 65%-ის მომავალი სამუშაო ადგილები ჯერჯერობით უცნობია“ (WEF FJ 2016, 3). ასეთი პროგნოზები მკვლევრებს უნარების განახლების რევოლუციის დაანონსების საფუძველს აძლევს (WEF, 2018; RFIR, 2016). მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მოლოდინში მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ხელმძღვანელის კლაუს შვაბის 10-დან ერთ-ერთი რჩევაა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეცნიერო კვლევებს, ვინაიდან „ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება ეფუძნება კვლევასა და განვითარებას“ (Schwab and Zahidi, 2018). იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს სიახლეების დანერგვა, საერთაშორისო ბაზრებზე ახალი ნიშის მოპოვება და რეგიონში ეკონომიკური ლიდერობა, ვფიქრობთ, აუცილებელია საქართველოში ჩამოყალიბდეს სამეწარმეო უნივერსიტეტები. ასეთი უნივერსიტეტების ფორმირება ხელს შეუწყობს საქართველოს ინოვაციურ განვითარებას და სამეცნიერო კვლევების პროდუქტიულობის ამაღლებას.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი სისტემა საქათმეო სფეროს შეფასებებში

არასამთავრობო ორგანიზაციის – „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“, ინიციატივით მიმდინარე წელს ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა კვლევა – „კვლევისა და შემუშავების სფეროში EaP და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული კვლევითი სისტემების შედარებითი ანალიზის გზით“ (<https://www.inovdev.ge>).

საპროექტო კვლევით განსაზღვრული პირველი დავალების - აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნისთვის 1996-2019 წწ პერიოდში სამეცნიერო-კვლევითი რეიტინგის შესახებ ცხრილები მომზადდა - The SCImago Journal & Country Rank-ის ბაზაზე დაყრდნობით. ეს არის საჯაროდ ხელმისაწვდომი პორტალი, რომელიც მოიცავს ჟურნალებისა და ქვეყნების სამეცნიერო ინდიკატორებს Scopus-ის მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით. ბაზაში არსებული ჟურნალები დაჯგუფებულია 27 ძირითადი თემატური მიმართულებისა და 313 კონკრეტული საგნის კატეგორიის მიხედვით. ციტირების ბაზა ეყრდნობა 5000-ზე მეტ გამომცემლობაში მომზადებულ 34100 დასახელების ჟურნალს. მონაცემები მზადდება 239 ქვეყნის მიხედვით. 1 ცხრილში მოცემულია ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის სამეცნიერო სისტემის რანჟირება და მათი პოზიცია 1996-2019 წლებში 239 ქვეყანას შორის.

როგორც ქვემოთ მოცემული 1 ცხრილიდან ჩანს, 1996-2019 წწ-ში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო მესამე ადგილზეა უკრაინასა (42 ადგილი) და ბელორუსის (67-ე ადგილი) შემდგომ. აღსანიშნავია, რომ H ინდექსის მაჩვენებელი ბელორუსსა და საქართველოს აქვს ტოლი (184, საერთო რანჟირებაში 18 პოზიციით განსხვავების მიუხედავად), მაგრამ უკეთესი მაჩვენებელი აქვს სომხეთს (190). მსოფლიო რეიტინგში, ზემოაღნიშნულ პერიოდში, საქართველოსთან შედარებით უკეთეს პოზიციაშია ურუგვაი (84 ადგილი), ხოლო ტანზანია შემდგომ 86-ე ადგილზეა. მხოლოდ 2019 წლის მაჩვენებლის მიხედვითაც საქართველო ქვეყნების ჩამონათვალის მეორე მეოთხედშია და 81-ე ადგილი უჭირავს კუვეიტსა და მაკაოსთან მეზობლობით (ქვეყნები დასახელებულია უკეთესი და უარესი პოზიციების რიგითობით).

**აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყნის სამეცნიერო სისტემის რანჟირება და
პოზიცია 1996-2019 წლებში 239 ქვეყანას შორის**

ცხრილი 1

	პოზიცია 239 ქვეყანას შორის	დოკუმენტთა რაოდენობა	ციტირებადი დოკუმენტების რაოდენობა	ციტირებული დოკუმენტების რაოდენობა	ციტირების რაოდენობა	თვითციტირების რაოდენობა	ციტირებათა რაოდენობა საშ. 1 დოკუმენტზე	H ინდექსი
უკრაინა	42	207386	202674	112213	1419614	387293	6.85	277
ბელორუსი	67	41360	40392	22664	401105	73957	9.70	184
საქართველო	85	21188	19303	13241	331828	39155	15.66	184
სომხეთი	89	18464	17861	11786	293980	53290	15.92	190
აზერბაიჯანი	92	15273	14880	6733	123058	22387	8.06	112
მოლდოვა	103	8362	8039	5218	102896	13599	12.31	117

წყარო: <https://www.scimagojr.com/countryrank.php>

საპროექტო კვლევით გათვალისწინებული მეორე ამოცანის - მეცნიერის ასაკის დადგენა, პირველი სტატიის გამოქვეყნებისას, გადასაწყვეტად აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნიდან შევარჩიეთ 100-100 მეცნიერი. გვარები შეირჩა შემთხვევითი პრინციპით, რისთვისაც გამოყენებული იქნა ინტერნეტგვერდი: <https://forebears.io/> თითოეულ მეცნიერზე Google Scholar-ის; LinkedIn-ის; Research Gates-ისა და ინდივიდის დასაქმების ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ პირად ინფორმაციაზე (ხშირად CV, ზოგჯერ პირადი გვერდი) დაყრდნობით მოიძებნა შემდეგი მონაცემები: გვარი, სახელი, სქესი, დაბადების წელი ან უმაღლესი სასწავლებლის დასრულების წელი; ციტირების უმაღლესი მაჩვენებელი და ჩამოთვლილი მაჩვენებლების ამსახველი ინტერნეტგვერდების მისამართები. აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა მეცნიერის ასაკი პირველი პუბლიკაციის გამოქვეყნებისას.

ზემოაღნიშნული დავალების შესრულების შედეგად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- ყველა ქვეყანაში თვალშისაცემია მეცნიერთა უცხოეთში დენადობის მაღალი მაჩვენებელი, რაც განსაკუთრებით მწვავეა უკრაინასა და სომხეთში.

- იოლად შესამჩნევია მეცნიერ-მკვლევართა და აკადემიური პერსონალის „დაბერების“ სურათი, ვინაიდან საბჭოთა სისტემის დაშლის შედეგად, მეცნიერება მიმზიდველი დასაქმების სფერო არ იყო დაბალი შემოსავლის გამო. თუმცა, აღსანიშნავია აზერბაიჯანის მაგალითი, როდესაც საუკეთესოდ ორგანიზებულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე თაობათა თანმიმდევრული ცვლის ნათელი სურათი იკვეთება.

- ექვსივე ქვეყანაში, პირველი სტატიის გამოქვეყნებისას, მაღალი საშუალო ასაკი დაფიქსირდა (ხშირად ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებითაც კი, სადაც, როგორც წესი, პროფილები, ანუ მეცნიერის მიერ გაცხადებული შრომების სია Google Scholar-ში, გაცილებით მოწესრიგებულია სხვა მიმართულებებთან შედარებით. აღნიშნული პროფესიის მეცნიერ-მკვლევრებისთვის პირველი სტატიის გამოქვეყნება პროფილის მიხედვით ხშირად 35 წელზე უფრო მეტ ასაკში იყო). ეს მიდგომა ზემოაღნიშნული პროექტით დაფინანსებულ კვლევაში იქნა გამოყენებული (Shatberashvili et al., 2020). ეს ჩვენი აზრით არის Google Scholar-ის პროფილებში პირველი სტატიის არდაფიქსირება ავტორთა მხრიდან, ვინაიდან მისი ელვერსია არ იძებნება ინტერნეტსივრცეში და ყურადღება არ არის გამახვილებული ინფორმაციის სიზუსტეზე; ხშირია თანამშრომელთა CV-ბი, რომლებსაც არ აქვთ გუგლში პროფილები, თუმცა, ინტერნეტში მათი სტატიები განთავსებულია.

- უმაღლესი განათლებისა და კვლევითი ინსტიტუტების უმრავლესობაში არ არის პროფილები მოწესრიგებული. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ზემოთ უკვე აღინიშნა და ვფიქრობთ, რომ საუკეთესოა აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდი, თავისი ინფორმაციულობისა და მომზადების უმაღლესი სტანდარტით.

- Google Scholar-ის პროფილების უმრავლესობაში ციტირების მაჩვენებლები ძალიან დაბალია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ციტირებაზე აქცენტის გაკეთება ქვეყნებში ახალი დანაშაულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციტირების მაჩვენებლის გაზრდის მიზნით ხშირია ყალბი ინფორმაცია პროფილებში (მაგ: სხვა კვლევითი სფეროს მეცნიერთა სტატიების მითითება საკუთარ პროფილში, სრულად ყალბი ანგარიშები, რომლებიც არ არის იდენტიფიცირებული რომელიმე სასწავლო-კვლევითი ორგანიზაციის საფოსტო მისამართთან, არ ახლავს ფოტო და სხვადასხვა კვლევითი სფეროს წარმომადგენელთა მაღალციტირებული სტატიებია განთავსებული-მითვისებული; გაყალბების ისეთი მაგალითიც შეგვხვდა, როდესაც ერთი მეცნიერის სახელი ემთხვევა სხვა ცნობილი მეცნიერის გვარს და

ასეთი ქმედების შედეგად გამყალბებული 218 სტატიით და 15859 ციტირებითაა Google Scholar-ში წარმოდგენილი; ზოგიერთ პროფილში განთავსებულია ავტორის დაბადებამდე გამოქვეყნებული სტატიები, ზოგჯერ ოჯახის წევრთა სტატიებია მითვისებული და სხვა). აღსანიშნავია ისიც, რომ გაყალბების უმრავლესობა კერძო უნივერსიტეტების პროფილებში შეგვხვდა. გაყალბების შემთხვევა არ შეგვხვედრია ბელორუსში.

- ვფიქრობთ, უნდა გავიზიაროთ კარგი გამოცდილება, როდესაც უნივერსიტეტისა თუ კვლევითი ორგანიზაციის ვებგვერდზე პერსონალის ანბანურ ჩამონათვალში მოთავსებულია ფოტო მოკლე ბიოგრაფიული მონაცემებით, რომლის ბოლოში არის Google Scholar-ის; LinkedIn-ის; Research Gates-ის; Publons-ის და ORCID-ის ლოგოები, რომლითაც პირდაპირაა შესაძლებელი პერსონალის პირად ანგარიშზე წვდომა. ასეთი მიდგომის დადებითი მხარეა ის, რომ პერსონალს არ დასჭირდება ინფორმაციის მუდმივ განახლებაზე ზრუნვა და დროის კარგვა, ის თავისთავად განახლდება და პერსონალზე სრულყოფილი ინფორმაციის მოძებნა მარტივია.

საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი სისტემა საერთაშორისო შეფასებებში

ნაშრომის ამ ნაწილში განვიხილავთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი – სისტემის ზოგიერთ მაჩვენებელს 1996-2019 წლებში – The SCImago Journal & Country Rank-ის მიხედვით, 2020 წლის 5 ოქტომბრის მდგომარეობით (იხ. ცხრილი 2). როგორც ცხრილიდან ჩანს, საკვლევ პერიოდში ქართველ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა 6,8-ჯერ გაიზარდა (322-დან 2198-მდე), ხოლო 25 წლის მანძილზე სულ შეადგინა 21188. გაზრდილია ციტირებადი ნაშრომების რაოდენობაც (6,2-ჯერ. 320-დან 2010-მდე), ხოლო ციტირებული ნაშრომების რაოდენობამ 3,76-ჯერ მოიმატა (მონაცემები ეყრდნობა Scopus-ის ბაზას).

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ციტირების რაოდენობა იყო 5842, ხოლო 1996 წელს – 3103. ვფიქრობთ, აუცილებელია გავანალიზოთ ეს არასასურველი შედეგი, რაც ალბათ საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის არასათანადო სტიმულირების გამოა.

რატომ ვფიქრობთ ასე? დავაკვირდეთ ცხრილში (2) არსებულ მონაცემებს და გამუქებულ სტრიქონებს 2006, 2009, 2012 და 2018 წლებში.

**საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი სისტემის ზოგიერთი
მარკენებელი 1996-2019 წწ.**

ცხრილი 2

წელი	დოკუმენტების /ნაშრომების რაოდენობა	ციტირებადი დოკუმენტების რაოდენობა	ციტირებადი დოკუმენტების რაოდენობა	ციტირების რაოდენობა	თვითციტირების რაოდენობა	ციტირებათა რაოდენობა საშუალოდ 1 დოკუმენტზე	H ინდექსი
1996-2019	21188	19303	13241	331828	39155	15.66	184
2019	2198	2010	832	3103	262	1.41	184
2018	1944	1739	1214	12565	1335	6.46	184
2017	1722	1518	1174	18171	2692	10.55	184
2016	1628	1493	1140	26235	2875	16.11	184
2015	1300	1170	933	30438	2573	23.41	184
2014	1089	991	783	30690	2548	28.18	184
2013	1101	951	759	18252	3158	16.58	184
2012	1153	959	798	33151	3932	28.75	184
2011	1029	883	699	15771	3016	15.33	184
2010	752	668	552	22255	2373	29.59	184
2009	809	735	605	11733	1255	14.50	184
2008	684	648	514	16365	2613	23.93	184
2007	597	553	436	9938	1196	16.65	184
2006	706	651	517	11115	1273	15.74	184
2005	691	649	478	8512	1036	12.32	184
2004	537	510	405	8867	1093	16.60	184
2003	427	411	334	5813	866	13.61	184
2002	429	423	336	8548	918	19.93	184
2001	484	470	366	12135	826	25.07	184
2000	450	441	352	10565	827	23.48	184
1999	390	381	279	5446	609	13.96	184
1998	363	360	260	3889	599	10.71	184
1997	386	369	254	4392	764	11.38	184
1996	322	320	209	3879	516	12.05	184

წყარო: <https://www.scimagojr.com> The SCImago Journal & Country Rank-ის მიხედვით

ცნობილია, რომ ეს არის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიური პერსონალის შესარჩევი, ე.წ. ფართომასშტაბიანი „დიდი“ კონკურსების წლები და შედეგად 2006 წელს დაფიქსირებული ციტირების მაჩვენებელი, 1996 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2,8-ჯერაა გაზრდილი. 2007 წელს, წინასაკონკურსო წელთან შედარებით, დაბალია მაჩვენებელი, ხოლო 2008 წელს (საკონკურსო 2009 წლის წინა წელი) 1996 წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (16365 ციტირება). შემდგომი პიკი 2012 საკონკურსო წელს დაფიქსირდა (33151) და მაღალი მაჩვენებელი 2014-2015 წლებში შენარჩუნდა (ორივე წელს 30000-ზე მეტი).

2012 წლის შემდგომი აქტიურობის მიზეზი, ვფიქრობთ, ისაა, რომ 2012 წლის აკადემიური პერსონალის კონკურსზე წარსადგენ „კონკურსანტის ანკეტაში“ გაჩნდა H და G ინდექსების, ციტირების, საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობის რაოდენობისა და იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების მოთხოვნა/გრაფა. როგორც სტატისტიკა ადასტურებს, შედეგმაც არ დააყოვნა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლის შემდგომ ციტირების მაჩვენებელი შესამჩნევად შემცირდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი აზრით, ისაა, რომ მეცნიერ-მკვლევრებმა და აკადემიურმა პერსონალმა მიაღწია სკოპუსის ბაზებში ნაშრომების ერთხელ მაინც გამოქვეყნებას და შემდგომი სტიმულების არარსებობის გამო, შეასუსტა აქტივობა. აუცილებელია აღინიშნოს ზემოხსენებული ბაზის სხვა თავისებურებებიც და ისიც, რომ აქტიურად მიმდინარეობს შეფასების კრიტერიუმებზე მუშაობა (Natsvlishvili, 2019, 452-453) რაზეც აქ დეტალურად არ შევჩერდებით.

აღსანიშნავია, რომ ზრდა-კლების ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება საქართველოში თვითციტირების მაჩვენებელიც. 1996-2019 წლებში ეს მაჩვენებელი ნომერ პირველ ქვეყანაში - აშშ-ში იყო 44.5%, ჩინეთში - 57,2%; გაერთიანებულ სამეფოში - 22,4 %; გერმანიაში - 24%; იაპონიაში - 25,6%; საფრანგეთში - 20,5%, იტალიაში - 22,9%, ხოლო საქართველოში - 11,7%, რაც კარგი შედეგია. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში მაჩვენებელი დიამეტრულად განსხვავდება ცალკეული ავტორების მიხედვით და ის ზოგჯერ 90%-ის გარშემო მერყეობს, რაც სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია. 2019 წელს იგივე მაჩვენებელი საქართველოში 8,4%-ის ტოლი იყო.

ცხრილიდან ისიც კარგად ჩანს, რომ 1 ნაშრომზე ციტირების მაჩვენებელი წლების მანძილზე იმეორებს ზუსტად იმავე ტენდენციას, რაც აღწერეთ ციტირებისა და თვითციტირების მონაცემებისთვის.

არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვფიქრობთ, სასურველია სამეცნიერო საქმიანობის საერთაშორისო მაჩვენებლების ანალიზი, მათი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება და სათანადო სტიმულების დანერგვა.

ამ მოსაზრების დასაბუთების მიზნით გავიხსენებთ, რომ 2010 წელს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი კონფერენციებზე უცხოეთში უმეტესად დასასწრებად მიდიოდა და ერთ-ნიშნა იყო ნაშრომის პრეზენტაციის შემთხვევები. სათანადო დაფინანსების გაზრდის შედეგად, 2019 წელს საერთაშორისო კონფერენციებზე ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელმა შვიდ ათეულს მიაღწია.

თუმცა ვფიქრობთ, ამჯერად მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე არაა სასურველი აქცენტის გაკეთება, არამედ შედეგის მიხედვით სტიმულირება, რაშიც ვგულისხმობთ იმ პერსონალის წახალისებას, ვინც არის კონფერენციის სექციის თავმჯდომარე, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ა.შ. ასევე, ყურადსაღებია კონფერენციაზე წარდგენილ ერთ ნაშრომზე განეული დანახარჯების ეფექტიანად გამოყენების საკითხიც. ცნობილია, რომ ზოგჯერ საერთაშორისო კონფერენციაზე ერთი პერსონალი წარადგენს ერთ (ან ორ) ნაშრომს, ზოგჯერ კი 4-5 თანაავტორი - ერთს. ზოგადად, საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებების რაოდენობა ასევე არის უნივერსიტეტების საერთაშორისო რანჟირების ერთ-ერთი მაჩვენებელი და მისი გაუმჯობესებაც აუცილებელია, თუნდაც სასტენდო მოხსენებათა რაოდენობის გაზრდის ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ სწორედ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობითაა შესაძლებელი მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და საერთაშორისო ქსელებში ჩართვა, რის სინერგიულ ეფექტებზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

The SCImago Journal & Country Rank-ის მიხედვით ირკვევა, რომ საკვლევ პერიოდში საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად ნაშრომთა 36.96% (1996 წ), გაიზარდა 70,93 %-მდე 2019 წელს. ამავე პერიოდში, ქართულ მეცნიერთა მიერ შექმნილი ნაშრომების წილი მსოფლიო მაჩვენებელში, ასევე გაზრდილია 0.03%-დან 0,07%-მდე, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში - 0,43%-დან 0.82%-მდე.

2018 წლის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში აქტიურად გაკეთდა მოხსენებები მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ. ამ აღიარებულმა კვლევითმა ორგანიზაციამ შეცვალა გლობალური კონკუ-

რენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებლები და ეს ცვლილება დაუკავშირა გაცხადებულ ინდუსტრიულ რევოლუციას. მაჩვენებლები როგორც ადრე, კვლავ 12 მდგენელის მიხედვით იყო დაჯგუფებული. აქ ყურადღებას გავამახვილებთ #12 მდგენელზე – „ინოვაციურობის შესაძლებლობა“. ცხრილში (3) მოცემულია 2018 და 2019 წლებში საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშებში ზემოაღნიშნული მდგენელის მიხედვით. ცხრილიდან ჩანს, რომ 2019 წელს კვლევის ავტორებმა მდგენელის მაჩვენებლები სამ დიდ ჯგუფად დაყვეს, კერძოდ, „ურთიერთქმედება და დივერსიფიცირება“, „კვლევა და განვითარება“ და „კომერციალიზაცია“.

**2018-2019 წლების საქართველოს პოზიცია გლობალური
დი სუბიექტებისათვის მისაღებ და ნაკლებად აქტუალური ინფორმაციისა
და პიხველადი კომუნიკაციის ტაქტიკებს შოიის. გაანალიზებულია უკუკავ-
შირი კომუნიკაციის წყაროსა და კომპანიის ზომას შოიის B2B ბაზეებზე.
თეოიული მასალებისა და პიექტიკური მონაცემების დამუშავების სა-
ფუძველზე, საქაფთვეროში მოქმედი B2B მიმწოდებელი და B2B მომხმარებ-
ბელი კომპანიებისათვის შემუშავებულია შესაბამისი იეკომენდაციები.

საკვანძო სიგყვები: B2B, ბიზნესბაზეები, მუდმივი კომუნიკაცია,
მაიკეტიგური ტაქტიკები, ინფორმაციის გავიყვლება, პეისონალური გა-
ყიდვები.

JEL Codes: M20, M21, M31

შესავალი


ეკონომიკის განვითარების თანამედროვე პირობებში, სავაჭრო ინდუსტრიამ განიცადა ღრმა სტრუქტურული ცვლილებები. ინსტიტუციური გარდაქმნები კომერციულ სექტორში მეტწილად განპირობებული იყო საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებით, კომპანიების მატერიალური-ტექნიკური პოტენციალის გაუმჯობესებით, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდით.

კომერციული საქმიანობის ქვაკუთხედი ყიდვა-გაყიდვის პროცესია. თავისი ეკონომიკური ხასიათიდან გამომდინარე საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს საქონელბრუნვას, რომელიც ხორციელდება სავაჭრო საქმიანობის სუბიექტების მიერ, მათი შემდგომი გადაყიდვის მიზნით.

მარკეტინგის ექსპერტთა ნაწილი, საბითუმო ვაჭრობაზე მსჯელობისას იყენებს ტერმინს B2B (business to business). აღნიშნული ტერმინი მოიცავს საბითუმო გაყიდვებს, მაგრამ ამასთან ერთად ეხება სხვა ასპექტებსაც. ბიზნესსაბაზრების განმარტება ხდება როგორც კომპანიების, რომლებიც ყიდნიან პროდუქციასა და მომსახურებას სხვაზე არა საბოლოო მომხმარებელზე, აქირავენ ან აწვდიან უბრალოდ სხვებს (არმსტრონგი... 2003, 26). B2B ბაზრების წილი თანდათან იზრდება მსოფლიო სავაჭრო ინდუსტრიაში. მაგალითად, ცნობილი კვლევითი ორგანიზაციის – „ფორესტერის“ მიხედვით, 2023 წელს აშშ-ის B2B სეგმენტის 1.8 ტრლნ დოლარი იქნება (იხ. დიაგრამა1).

აშშ-ის B2B ინდუსტრია

დიაგრამა 1



სწორად ორგანიზებული B2B ვაჭრობა იძლევა საშუალებას შეიქმნას აუცილებელი სავაჭრო ასორტიმენტი მოსახლეობისათვის საცალო სავაჭრო ქსელებისათვის მისაწოდებლად, ახდენს გავლენას საქონლის მწარმოებლებზე მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს სავაჭრო დაწესებულების ეფექტიან საქმიანობას (მღებრიშვილი... 2009,434).

წარმატების გარანტი B2B სფეროში კონტრაგენტი სუბიექტების ბიზნესის ფუნდამენტური ცოდნაა. რა თქმა უნდა, ყველა მომხმარებელი არაა თანაბარი, შესაბამისად, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ფოკუსირება ყველაზე მომგებიანზე, თუმცა გრძელვადიანი მიზანს უნდა წარმოადგენდეს თითოეულ სუბიექტთან კონტაქტის დამყარება და მათი საქმიანობის სფეროს შესწავლა.

სანამ ახალი მომხმარებლების მოზიდვის სტრატეგიას განიხილავს, B2B კომპანია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს, რომ ყველა ბიზნესი განსხვავებულია და მიღებული მონაცემთა ანალიზიც აღნიშნული დაშვების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს (როუზენბლუმ... 1984,51).

დღეისათვის, საქართველოში გვაქვს ტენდენცია, რომ კორპორატიული ბიზნესი სიახლეების მაძიებელი და მომთხოვნი ხდება. ბიზნესმომხმარებლებს აქვთ მოლოდინი, რომ პარტნიორებს კარგად ეცოდინებათ მათი ბიზნესმოდელი, შესწავლილი ექნებათ სექტორი, სადაც ისინი საქმიანობენ და შესაბამისად მათთვის გაკეთებული შეთავაზება მუდმივად იქნება დროული და ინდივიდუალურად მორგებული.

შესაბამისად, სტატიის მიზანია ქართული B2B სეგმენტის წარმომადგენლებს დაეხმაროს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაში და მიაწოდოს შემუშავებული რეკომენდაცია B2B ბაზრის მომხმარებელთა რეაქციების მიხედვით, ინფორმაციის პირველადი მიწოდების წყაროსა და უკუკავშირზე, რაც შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენების პროცესში.

კვლევის მიზნებისათვის, 2020 წლის 15 იანვრიდან 30 აპრილის ჩათვლით შევისწავლეთ ბათუმსა და მის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებადი 30 B2B პროდუქციისა და მომსახურების მიმწოდებელი და 26 B2B მომსახურების მიმღები კომპანიის საქმიანობა, ასევე, კვლევის ინტერესების გათვალისწინებით, გავაანალიზეთ სხვადასხვა ზომის კომპანიების წარმომადგენლების შეხედულებები, რაც გათვალისწინებულია სტატიაში.

B2B ვაჭრობის ძირითადი ტაქტიკის განხილვა

ნებისმიერ კომპანია ბიზნესბაზარზე ფუნქციონირებას იწყებს სტრატეგიული გეგმის მიხედვით. სტრატეგიული დაგეგმვა იწყება კომპანიის მიერ ბიზნესისა და მისი მონაწილეების ანალიზით. უკანასკნელი პერიოდის ერთ-ერთი ცნობილი მარკეტგოლოგი, პიტერ დრიუკერი, სვამს სამ საბაზისო კითხვას სტრატეგიის შემუშავების პროცესში:

✓ რა ბიზნესია? ვინაა მომხმარებელი და რა ღირებულება უნდა მიიღოს მომხმარებელმა?

✓ როგორი იქნება ბიზნესი ფაქტობრივად?

✓ როგორი უნდა იყოს ბიზნესი იდეალურ შემთხვევაში? (ვარგო 2011,186)

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მესამე კითხვას, რაც ეხება სტრატეგიულ დაგეგმვას ანუ იმას, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს ისე, რომ ბიზნესმა მიაღწიოს თავის მიზანს, სეგმენტურ ბაზარზე პროდუქციისა და მომსახურების სწორი პოზიციონირებით, გასაღების სტიმულირების მიზანია მიწვდეს პოტენციურ მომხმარებელს თავისი შეტყობინებით, შეცვალოს ქცევა მიზნობრივ სეგმენტზე, გაზარდოს ცოდნა ამა თუ იმ პროდუქციაზე, აიძულოს მომხმარებელი შეიძინოს სასურველი საქონელი.(ზიმერმან... 2013, 180).

B2B ბაზრის სუბიექტებზე ზემოქმედებისათვის, ძირითადად ხდება შემდეგი მარკეტინგული ტაქტიკების გამოყენება:

ცივი ზარები - გამოცდილი და უტყუარი მეთოდი პარტიზანული გაყიდვებისას, მოიცავს ტელეფონის ადებისთანავე საუბრის დაწყებას ადამიანებთან, რომლებიც პოტენციურ კლიენტთა სიაშია. რეალურად ცივი ზარები არც ისეთი მარტივი მეთოდია, რადაგანაც არსებობს მისი განხორციელების სწორი და არასწორი მიდგომები.

პირდაპირი მეილი - მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელია, ის მძლავრ მარკეტინგულ იარაღად რჩება, თუ რა თქმა უნდა, სწორადაა გაგზავნილი. ფაქტობრივად, მოქმედების მექანიზმით ის ძალიან ჰგავს ცივ ზარს. ხდება წინასწარ შერჩევა აუდიტორიის, მათთვის ელექტრონული წერილის გაგზავნა და პასუხის მოლოდინი. მისი მარტივი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პირდაპირი შაბლონური მეილის გაგზავნა ერთდროულად დიდი რაოდენობა რესპოდენტებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიდგომა დღესაც მუშაობს, თანამედროვე მომთხოვნა ბაზარზე დიდი უპირატესობით მაინც პერსონალიზაცია ზასიათდება. პე-

რსონალიზაცია გამოხმაურების პროცენტულ მაჩვენებლის ზრდისთვის საუკეთესო ინსტრუმენტი. სტანდარტული ტექსტის გარდა, პერსონალიზებული მისაღმებაც კი აგრძნობინებს პოტენციურ მომხმარებელს, რომ მასზე დრო და ენერგია დაიხარჯა.

ნიმუშების გაგზავნა - მწარმოებელთა სტანდარტული ტექნიკაა მსოფლიო მასშტაბით, ანალოგიური მეთოდის გამოყენების საშუალება აქვთ B2B მოვაჭრეებსაც, ნიმუშების გაგზავნა პირდაპირ მეილს აძლევს საუკეთესო საშუალებას, გამოეყოს სხვა მეილებს (ზედგინიძე 2009,44).

ამ მეთოდთაგან ნებისმიერის გამოყენება დამოკიდებულია მიზანზე, რასაც ისახავს ესა თუ ის ტაქტიკა. თითოეული ნიმუშის გაგზავნის ხარჯის კომპენსირება უნდა მოხდეს გაყიდვების მეშვეობით, გაურკვეველი მიზნით ნიმუშების გაგზავნა ფინანსური რესურსების უაზრო ხარჯვაა. ნიმუშებთან ერთად უნდა იყოს მოთავსებული ინფორმაცია კომპანიის შესახებ, დეტალური ინფორმაცია ნიმუშების შესახებ, ასევე სხვა მსგავსი წარმოებული პროდუქციის შესახებ და მოსაწვევი მყიდველად რეგისტრაციისათვის, რაც ასევე დამატებითი სტიმულია პოტენციური მომხმარებლისთვის. ნიმუშების გაგზავნას აუცილებლად უნდა მოყვეს რამდენიმე დღეში სატელეფონო ზარი გზავნილის მიღების დასადასტურებლად და დასაბუსტებლად, ხომ არ სურთ მომხმარებლად რეგისტრაცია.

B2B კომერციისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სწორი შეკრებებისა და სავაჭრო სივრცეების ათვისება. მიუხედავად იმისა, რომ გამოფენები ზუსტად არ შეესაბამება ბევრ ინდუსტრიას, მათი უამრავი, უფრო პატარა, ვიწროდ პროფილური ვერსია არსებობს. გარდა ამისა, არსებობს ასობით პატარა შეხვედრა, რომლებზეც შესაძლებელია პოტენციური მომხმარებლების გაცნობა.

გამოფენების როლი განუსაზღვრელია კომპანიასა და პროდუქტებზე წარმოდგენის შესაქმნელად. ასეთ დროს B2B მოვაჭრე უნდა იყოს პროაქტიური, მოიზიდოს მომხმარებლები პროდუქციის გასასინჯად, ჩააბას ისინი თამაშებში, დაარიგოს ნიმუშები. ამავდროულად, უნდა მოხდეს მაქსიმალურად საკონტაქტო ინფორმაციის შეგროვება მომხმარებლებისაგან, ვინაიდან გამოფენაზე თითოეული სტენდის არსებობა ძალიან ძვირი ჯდება, თითოეული LEAD-ი ფასეული და შესანახია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სხვა ბიზნესების მეპატრონეების გაცნობაც სწორედ გამოფენებზე ხდება, სადაც თითოეულ საუბარს შეიძლება მოყვეს ახალი ბიზნესიდეა, სხვა პოზიტიური რეზულტატი.

ინდუსტრიულ კატალოგებში, B2B მოვაჭრის, როგორც მომწოდებლის დამატება, ასევე შეიძლება ჩაითვალოს გაყიდვების ზრდის მძლავრ ინსტრუმენტად. ეს მისცემს საშუალებას ბიზნესმომხმარებლებს, მარტივად იპოვონ მომწოდებლები. მსგავსი კატალოგებია:

- ✓ [ThomasNet](#)
- ✓ [Kompass](#)
- ✓ [MasterSeek](#)

ყველაზე მარტივი გზა, მსგავსი კატალოგის მოსაძებნად, ესაა უბრალოდ გუგლის საძებო სისტემის გამოყენება და ინდუსტრიის ნიშის მითითება. სასურველია, საბითუმო მოვაჭრე მაქსიმალურად ვიწრო სეგმენტს მოერგოს, რათა არ ჩაიკარგოს ძალიან მსხვილ მომწოდებელთა რიგებში. ასევე, შესაძლებელია ბითუმად მოვაჭრე მითითებული იყო მწარმოებლის ელექტრონულ გვერდზე, პარტნიორთა სიაში, რაც ასევე გააადვილებს მის პოვნას.

არანაკლებ მნიშვნელოვან გასაღების სტიმულად გვევლინება სწორად წარმოჩენილი ელექტრონული გვერდი, რომლის მეშვეობითაც ხდება თავის გაცნობა ახალი მომხმარებლისათვის და არსებულის შენარჩუნება. მსგავსი გვერდები იძლევა შემდეგ შესაძლებლობებს:

1. არსებული B2B პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელება,
2. პირობებისა და მოლოდინების ჩამოყალიბება,
3. B2B მომხმარებლად ყოფნის დადებითი სურათის წარმოჩენა,
4. პოტენციური მომხმარებლების რეგისტრაციის წახალისება.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ექსპერტთა აზრით, ნამდვილად ღირს დროისა და ფინანსური რესურსის ინვესტირება კარგი ვებგვერდის შექმნაში (არმსტრონგი...2003, 139). პოტენციურ მომხმარებლებს არ შეუძლიათ სხვათა შეხედულებები წარმოიდგინონ, ამიტომ სრულყოფილი ინფორმაცია განსჯისათვის უნდა იყოს მიწოდებული ელექტრონულად. ბევრი კომპანია სტანდარტულ ვებგვერდს უკვე კატალოგად აქცევს, რითაც ის უფრო მრავალფუნქციური ხდება.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, ვებგვერდზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალურ ქსელ LinkedIn-ზე ბიზნესის რეგისტრაციაც. ეს არის სოციალური ქსელის ბიზნესებისათვის, და მისი გამოყენების მასშტაბიც დიდად უფრო ფართოა, ვიდრე სამუშაო ისტორიისა და რეზიუმეს ატვირთვა. LinkedIn-ის გამოყენება თავისუფლად შეიძლება გაყიდვების მოცულობის გასაფართოებლად. LinkedIn-ის პრემიუმ ანგარიშის ქონა, უზრუნველყოფს სხვადასხვა მომხმარებლისათვის საინტერესო ბიზნესმონაცემების მიწოდებას,

რაც ამ დროისათვის შეადგენს 50-60\$-ს და ნამდვილად ღირს დახარჯულ თანხად, მის მიერ მოწოდებული მონაცემების სიზუსტის გათვალისწინებით. აღნიშნულ პლატფორმას ბიზნესისათვის სასარგებლო ორი შესაძლო გაფართოების პერსპექტივა აქვს, ესენია:

- ✓ [Linked Helper](#) - რომელიც ეხმარება ბიზნესიუმერებს მომხმარებელთა პროფილების ავტომატიზირებასა და პოტენციურ სამიზნე აუდიტორიასთან დაკავშირებაში;

- ✓ [Dux Soup](#)- ასევე ახდენს პროფილის სტუმართა ავტომატიზირებას და დამატებით აქვს გუგლის საძიებო თვისება.


როგორც სხვა საძიებო სისტემების შემთხვევაში, LinkedIn-ის მთავარი ფუნქციაა გააკეთოს პოტენციურ პარტნიორთა ჩამონათვალი და შეაფასოს პოტენციურ მომხმარებელთა „ღირებულება“, რამდენად მოდიან ისინი შესაბამისობაში გეგმასთან და ჩანიშნოს შეხვედრები ამორჩეულ რაოდენობასთან. ლინკედინი საუკეთესოა ციფრების დასათვლელად, რადგან ავტომატიზირებულად ეძებს პოტენციურად დაინტერესებულ კომპანიებს, თუმცა მონაცემთა ანალიზი, უფრო ადამიანურ ფაქტორზეა დამყარებული.

კვლევის შედეგები

მსოფლიო B2B ბაზრის ტენდენციების ქართულ რეალობასთან შესაბამისად, ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა წარმოეჩინა საინფორმაციო არხების გადანაწილების პროპორცია შესყიდვამდე ინფორმაციის მისაღებად. მოცემული კვლევის შედეგად მივიღეთ შემდეგი რეზულტატი (იხ. დიაგრამა 2).

B2B-ის მომხმარებელთა ინფორმაციის შეგროვების არხები

დიაგრამა 2




როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, გამოკითხულ რესპოდენტთა 50%-ს იკავებს მომწოდებელთა ვებგვერდი, რასაც მოსდევს სოციალური მედია. აღნიშნულ გადანაწილებაში ასევე ლიდერობს კვლევითი ასოციაციების ვებგვერდები და გამოფენა-კონფერენციები. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინფორმაციის აბსოლუტურ უმრავლესობას, მომხმარებლები ღებულობენ ონლაინ.

მოცემული საკითხის გასაანალიზებლად, არანაკლებ მნიშვნელოვანი მეორე მხარის, ანუ B2B გამყიდველების პოზიციების გაგებაც ინფორმაციის გავრცელების საკითხთან მიმართებით. ჩვენ მიერ გამოკითხულ გაყიდვების წარმომადგენელთა 83.3% დარწმუნებულია, რომ მომხმარებლები წინასწარ აგროვებენ ინფორმაციას შესყიდვის პროცესის დაწყებამდე. მათ მიერ გამოყენებული კომუნიკაციის არხები შემდეგია (იხ. დიაგრამა 3).

**B2B-ის გაყიდვების წარმომადგენლების მიერ გამოყენებული
საინფორმაციო არხები**

დიაგრამა 3



რესპოდენტთა უმრავლესობა (63,3%) იყენებს სოციალურ მედიას, რომელიც ჩაშენებულია სხვადასხვა ტიპის ბრაუზერებსა და საძიებო სისტემაში. შესაბამისად, თუ პოტენციური მომხმარებელი აგროვებს ინფორმაციას ამა თუ იმ ტიპის პროდუქციაზე, ავტომატურად ეგზავნება სარეკლამო ტიპის შეტყობინება მოცემული ტიპის საკომუნიკაციო არხით. აქტუალურობით, მეორე ადგილზეა კომპანიის ვებგვერდები, რაც ლიდერობს მომხმარებელთა მხარეს, შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ,

რომ მიმწოდებლებმა კიდევ უფრო დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მონესრიგებული ვებგვერდის არსებობას. გარდა ონლაინ საკომუნიკაციო არხებისა, მომწოდებლები იყენებენ სატელევიზიო რეკლამას, გამოფენებსა და ჟურნალ-გაზეთებსაც – ფაქტობრივად, ურთიერთობის სრულ სპექტრს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართულ რეალობაში ნაკლები ყურადღება ექცევა LinkedIn-ს, როგორც ბიზნესისათვის განკუთვნილ სპეციალურ პლატფორმას, როგორც მომხმარებლების, ასევე, გაყიდვების წარმომადგენლების მხრიდან, რაც წინააღმდეგობაშია ბაზრის უახლოეს ტენდენციებთან.

თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია B2B მომხმარებლების მოზიდვა, მაგრამ შემდგომში მათზე ზემოქმედება, რათა გააკეთონ პროდუქციის ან მომსახურების შეკვეთა, საკვანძო მნიშვნელობის საკითხია. არსებობს არა ერთი გასაღების ტაქტიკა, რითიც შესაძლებელია წახალისდნენ B2B მომხმარებლები. ფოკუსირება უნდა მოხდეს შესყიდვის პროცესში ბარიერების არქონაზე, რადგან ბარიერები აფერხებს ადამიანთა სურვილს, გააკეთონ შეკვეთა (ზიმერმან...2013,258).


ბიზნესბაზრებზე, განსხვავებით საცალო სეგმენტისაგან, სადაც ემოციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყიდვის პროცესში, გადანყვებილებს მეტად რაციონალური საფუძველი გააჩნია. ბიზნესბაზრების შემთხვევაში, ნაკლებად ხდება პირადი შეხვედრები, კომუნიკაცია უფრო მეტად ხდება ელექტრონული ფოსტით, კომპიუტერული პროგრამებით. თუ საცალო ვაჭრობის სეგმენტზე მომხმარებელთა სეგმენტაცია შესაძლებელია სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად დემოგრაფიული, ფსიქოლოგიური და ა.შ., ბიზნესბაზრებზე სეგმენტაცია ხდება ინდუსტრიის კოდების კლასიფიკაციით, პროდუქციის ტიპებით, ფასის მიმართ მგრძნობელობით, განლაგებით, მომხმარებელთა ზომით. როგორც წესი, დიდი მწარმოებლები პირდაპირ კონტაქტობენ მსხვილ მომხმარებლებთან, მაგრამ ამავდროულად იყენებენ დამატებით გასაღების არხებს. გასაღების სხვადასხვა არხის მეშვეობით, მწარმოებლები გადიან სხვადასხვა ტიპის მომხმარებლებზე. ბიზნესმარკეტინგის ბიუჯეტის დიდი წილი მოდის გაყიდვების პროცესის სტიმულირებაზე, რადგან პირადი კონტაქტები უკიდურესად მნიშვნელოვანია ბიზნესბაზრზე წარმატებისათვის, რასაც განაპირობებს მომხმარებელთან ურთიერთობის განვითარება და შენარჩუნება. ნაცვლად იმისა, რომ გაყიდვების წარმომადგენლები უბრალოდ აკვირდებოდნენ ტრანზაქციების მოცულობას, ისინი უნდა ავითარებდნენ გრძელვადიან, ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობას მომხმარებლებთან.

პერსონალური გაყიდვების მნიშვნელობა დიდად უფრო პრიორიტეტულია ბიზნესბაზრებზე, რაც ძირითადად გამოწვეულია მსხვილი შესყიდვის ღირებულებითა და ნაკლები მყიდველით, რასაც მოსდევს გრძელვადიანი ურთიერთობები ბიზნესგარემოში.

მარკეტინგული კომუნიკაცია მოიცავს რეკლამა PR-ს, გაყიდვების მხარდაჭერასა და პირად გაყიდვებს (მამულაძე გ., 2013:8). თუ როგორ გადანაწილდება მათ შორის თანაფარდობა, დამოკიდებულია ხელმისაწვდომ ბიუჯეტზე. მარკეტინგულ კომუნიკაციაზე ასევე მოქმედებს სამიზნე აუდიტორია, პროდუქციის სახეობა, სამთავრობო რეგულაციები, კონკურენცია, განაწილების არხები, ხელმისაწვდომი მედია და სერვისები. მაშინ, როცა კომპანია შეიძლება იყოს კომფორტულად, როცა ათავსებს რეკლამას მსხვილ ამერიკულ ან ბრაზილიურ ჟურნალებში, შეიძლება აღმოჩნდეს რომ აღნიშნული პუბლიკაცია აკრძალულია ევროპულ ან აზიურ ბაზრებზე ან არ ითარგმნება სწორად. ზოგიერთი პროდუქცია მარტივად ახსნადია ბეჭდვით მედიაში, სხვას სჭირდება დემონსტრირება გამოფენაზე. მიზნობრივი აუდიტორია განსხვავდება სამიზნე სეგმენტისაგან. სეგმენტი ის, ვისზეც სურთ, გაყიდონ პროდუქცია. მაგრამ სამიზნე აუდიტორიაა, ვინც უნდა იმოქმედოს შესყიდვის პროცესზე. კომპანიებმა შეიძლება დაიქირაონ დამოუკიდებელი კონსულტანტები შესყიდვის გადასაწყვეტად, ან გამოიყენონ შიდა ძალა. რეალურად ესაა გავლენის მომხდენი პირები შესყიდვის გადაწყვეტილებაზე. ამ ტიპის კონსულტანტები მოიაზრებიან როგორც სამიზნე აუდიტორია და მათ კრიტიკული მნიშვნელობა აქვთ. მიზნობრივი აუდიტორიის უპირატესობების გამოვლენით, რთულია, მაგრამ შესაძლებელი პირდაპირი კვლევის ჩატარება. კომპანია, შეიძლება შეხვდეს სხვა შეზღუდვებსაც საერთაშორისო კამპანიის განხორციელების პროცესში, მათ შორისაა ენა, ბეჭდვითი მასალისა და კატალოგების მოცულობა და შინაარსი. ინგლისური, ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეკონომიური ენაა, ის გვერდზე ნაკლებ ადგილს იკავებს, ვიდრე სხვა ენის დამწერლობა. უნდა აარჩიოს თუ არა კომპანიამ სატელევიზიო საერთაშორისო რეკლამის გაშვება ან ეკრანზე ასაუბროს გაყიდვების წარმოდგენელი, რა დროს უნდა ხედბოდეს ამ რეკლამის გაშვება- ეს ყველაფერი მარკეტინგული კომუნიკაციის განმსაზღვრელი ელემენტებია.

B2B ურთიერთობის დამყარებისას, ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის პირველად მარკეტინგულ ტაქტიკას პასუხობს მომხმარებელი. ჩატარებული კვლევის მიხედვით მივიღეთ შედეგი სურათი (იხ. დიაგრამა 4)

B2B-ის მომხმარებელთა უკუკავშირი პირველადი კომუნიკაციისას
 დიაგრამა 4



როგორც კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, მომხმარებელთა ნახევარი უპირატესობას ანიჭებს გაყიდვების პერსონალურ წარმომადგენელთან დაკავშირებას, რაც სრულად ემთხვევა B2B სფეროს განვითარების ტენდენციებს, რომლის მიხედვითაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პერსონალურ გაყიდვების წარმომადგენელს, როგორც წარმატებული ურთიერთობის ერთ-ერთ გარანტს. მომხმარებელთა 38.5% რეაგირებს ცივ მეილზე, როგორც ელექტრონული კომუნიკაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სახეობაზე.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში, ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა კომუნიკაციის წყაროსა და კომპანიის ზომას შორის ურთიერთკავშირი (იხ ცხრილი).

B2B-ის მომხმარებელთა ზომისა და პირველადი კომუნიკაციის წყაროს შორის კავშირი


დანესებულების ზომა	კომუნიკაციის პირველადი წყარო				სულ
	გაყიდვების წარმომად.	პირდაპირი მეილი	ცივი ზარი	ნიმუშების მიღება	
0-დან 20-მდე	6	3	1	0	10
21-დან 40-მდე	1	3	0	0	4
41-დან 60-მდე	2	1	0	2	5
61 და მეტი	4	3	0	0	7
სულ	13	10	1	2	26

ცხრილის მონაცემებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მცირე და დიდი ზომის დაწესებულებებს ურჩევნიათ უშუალოდ გაყიდვების პერსონალურ წარმომადგენელთან კომუნიკაცია, ხოლო საშუალო ზომის კომპანიებისათვის პრიორიტეტულია პირდაპირ, მეილით კომუნიკაციის დამყარება. თუმცა, ფაქტობრივად, მცირედით ჩამორჩება დიდ კომპანიებში ელექტრონული ფოსტის პოპულარობა პერსონალური გაყიდვების წარმომადგენლის როლს, რაც უდროობას, შესყიდვის პროცესის დიჯიტალიზაციას შეიძლება მიენეროს.

ამავე კვლევის მონაცემების ანალიზისას, მნიშვნელოვანი რეზულტატი მივიღეთ პირველადი კომუნიკაციის საშუალებების გამოვლენის პრობლემასთან დაკავშირებით. თუ ბიზნესმომხმარებლებს ურჩევნიათ გაყიდვების წარმომადგენლის პერსონალური ზარი, მიმწოდებლები მეტად აგზავნიან პირდაპირ ცივ მეილებს, ვიდრე ახდენენ პერსონალური წარმომადგენლის გამოყოფას (იხ. დიაგრამა 5)

B2B მიმწოდებლების მიერ პირველადი კომუნიკაციისას გამოყენებული საშუალებები

დიაგრამა 5



შესაბამისად, თვალსაჩინო ხდება პრობლემა – ნაკლები პერსონიფიცირებული ზარი იწვევს ნაკლებ უკუკავშირს მიმწოდებელთან ურთიერთობისას.

დასკვნა

B2B კომპანიების წარმატება ან წარუმატებლობა განისაზღვრება მომხმარებელთა დამოკიდებულებით მის მიმართ. მომხმარებელთა ლოიალობა ძირითადად სუბიექტური შეფასებით ყალიბდება, საკუთარი კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად B2B კომპანიები იძულებული არიან მაქსიმალურად გაითვალისწინონ სამომხმარებლო ბაზრის განვითარების ტენდენციები და თავისებურებები.

B2B კომპანიების მხრიდან მიზანშეწონილია შემუშავდეს საბაზრო, მარკეტინგული სტრატეგია. სტრატეგიის განსაზღვრამდე დასაშვებია ყველა შესაძლო ვარიანტის გამოცდა, მაგრამ როგორც კი აირჩევა ყველაზე საუკეთესო ვარიანტი, უნდა მოხდეს მასზე ორიენტაცია. რამდენიმე საკვანძო ტაქტიკაზე ფოკუსირებული მარკეტინგული სტრატეგიის განხორციელება თავისთავად დიდად უფრო ეფექტიანია, ვიდრე არაფოკუსირებული. ფოკუსირება მომხმარებლის საჭიროებაზე - ეს არის არამხოლოდ სტრუქტურული და ტექნოლოგიური პრობლემების შესწავლა, არამედ ნებისმიერი კომპანიის კონცეპტუალური ორგანიზაციული, სტრუქტურული და ფსიქოლოგიური გარდაქმნა და მორგება მომხმარებელზე. ბიზნესბაზრებზე მომხმარებლის ღირებულება (მნიშვნელობა კომპანიისათვის) დადებით კორელაციაშია მომხმარებელთა კმაყოფილებასთან.

აღნიშნული პრობლემის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე ჩვენი რეკომენდაციებია:

- B2B გამყიდველი, ბიზნესბაზრებზე თავისი მოცულობის წილის გასაზრდელად უნდა იყოს თავისი კლიენტების ბიზნესების ექსპერტი. ურთიერთობის დასაწყისიდან, უნდა დაივიწყოს საკუთარი მიზნები და ორიენტაცია აილოს მყიდველების ბიზნესზე: როგორ შეიძლება მოხდეს მათი გასაღების ბაზრის გაფართოება, რა ტიპის საქონელია ყველაზე მოთხოვნადი, როგორ შეიძლება რენტაბელობის ზრდა. თუ მათი კლიენტების გაყიდვების მოცულობა გაიზრდება, მიზანმიმართულად გაიზრდება B2B მოვაჭრეების გაყიდვების მოცულობაც.

- თანამედროვე პირობებში, მწარმოებლებს კომუნიკაცია აქვთ სხვადასხვა ტიპის მომხმარებელთან სხვადასხვა არხის მეშვეობით. გამომდინარე იქედან, რომ პირადი კონტაქტები უკიდურესად მნიშვნელოვანია ბიზნესბაზარზე წარმატებისათვის, ნაცვლად იმისა, რომ გაყიდვების წარმომადგენელი უბრალოდ აკვირდებოდეს ტრანზაქციების მოცულობას, ისინი უნდა ავითარებდნენ გრძელვადიან, ნდობაზე და-

ფუძნებულ ურთიერთობას მომხმარებელთან, რაც წარმატებული თანამშრომლობის საწინდარია. ბიზნესმარკეტინგის ბიუჯეტის დიდი წილიც, შესაბამისად, ამ ტიპის კომუნიკაციის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს.

▪ ქართული ბიზნესბაზრის სუბიექტები, როგორც მომხმარებლები, ასევე მიმწოდებლები ინფორმაციის მისაღებად და გასავრცელებლად, ძირითადად იყენებენ ელექტრონულ სივრცეს. მათ შორის, კომპანიის ვებგვერდებს, ჩაშენებულ რეკლამებს სხვადასხვა სოციალურ ქსელებში და ა.შ. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსის მიმართვა კომუნიკაციის ონლაინარხების განსავითარებლად B2B სფეროში, მათ შორის - განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება და ბიზნესსოციალური სივრცეების პოტენციალის ზუსტი შეფასება.

▪ B2B ვაჭრობისას, ურთიერთობის მარკეტინგის განვითარებასთან ერთად, მცირე და დიდი ზომის დაწესებულებებს ურჩევნიათ უშუალოდ გაყიდვების პერსონალურ წარმომადგენელთან კომუნიკაცია, ხოლო საშუალო ზომის კომპანიებისათვის პრიორიტეტულია პირდაპირ, ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის დამყარება. თუმცა, ფაქტობრივად, მცირედით ჩამორჩება დიდ კომპანიებში ელექტრონული ფოსტის პოპულარობა პერსონალური გაყიდვების წარმომადგენლის როლს, რის გამომწვევი მიზეზიც დროის დეფიციტია - შესყიდვის პროცესის დიჯიტალიზაციით განპირობებული. ამიტომ ელექტრონული B2B კომერცია უფრო და უფრო მოიკიდებს ფეხს მთელ თანამდროვე ბიზნესში.

ლიტერატურა:

- ზედგინიძე მ. (2009). გაყიდვების ორგანიზაცია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. გვ. 44.
- თოდუა ნ., მღებრიშვილი ბ.(2009). მარკეტინგის საფუძვლები. უნივერსალი. თბილისი.
- მამულაძე გ. (2013). ვაჭრობის სფეროში არსებული პრობლემები და მათი სრულყოფის გზები საქართველოში. მონოგრაფია. თბილისი.
- Armstrong G., & Kotler P. (2003). Marketing (6th ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall, p. 26-139.
- Rosenbloom B., Anderson R.E. (1984). "The SalesMmanager: Tomorrow's Super Marketer." Business Horizons, Vol. 27, No. 2, Mar.-Apr., 50-6.

- Vargo S.L. (2011) It's All B2B...and Beyond: Toward a Systems Perspective of the Market Industrial Marketing Management 40(2):181-187.
- Zimmerman A., Blythe J. (2013). Business to Business Marketing Management: a Global Perspective. – 2nd ed. by Routledge.
- References:
- Armstrong G., & Kotler P. (2003). Marketing (6th ed.). Upper Saddle River, NJ: Pearson Prentice Hall, p. 26-139.
- Mamuladze G. (2013). vachrobis speroshi arsebuli problemebi da mati srulkopis gzebi sakartveloshi. [Problems in the Field of Sale and their Improvement Ways in Georgia. Monography. Tbiisi.] in Georgian.
- Rosenbloom B., Anderson R.E. (1984). "The sales manager: Tomorrow's super marketer." Business Horizons, Vol. 27, No. 2, Mar.–Apr., 50–6.
- Todua N., Mghebrishvili B. (2009). Marketingis sapudzvlebi. [Principles of Marketing. Universal. Tbilisi.] in Georgian.
- Vargo S.L. (2011) It's All B2B...and Beyond: Toward a Systems Perspective of the Market Industrial Marketing Management 40(2):181-187
- Zedginidze M. (2009). Gakidvebis organizacia. [Sale Process Organization. pp.44 Tbiisi Technical University.] in Georgian.
- Zimmerman A., Blythe J. (2013) Business to Business Marketing Management: A Global Perspective. – 2nd ed. by Routledge.

The Importance of Key Tactical Solutions in the Business to Business (B2B) Commerce

Gela Mamuladze

Professor

*Batumi Shota Rustaveli State University
mamuladze.gela@bsu.edu.ge*

Salome Shervashidze

Doctoral Student

*Batumi Shota Rustaveli State University
salome.shervashidze@gmail.com*

In the conditions of accelerated globalization, based on improving internal organizational and marketing solutions and rationalizing market behavior new models of commercial enterprise management are being introduced. In this article we have discussed B2B approach which represents one of the largest parts of the modern business. According to Forrester, a well-known research organization in 2023 the US B2B segment will be 1.8\$ trillion. The key to success in B2B is the fundamental knowledge of the business of contracting entities.

Today, in Georgia, we have a tendency for corporate business to seek and demand news. Business customers expect partners to be well aware of their business model, to explore the sector in which they operate, and therefore the offer made to them will always be timely and individually tailored. Through different key channels, manufacturers establish contact with different types of users. Business entities are differently aware of sources of information and respond differently to primary communication sources. Consequently, the better a B2B provider finds out what the customer is responding to, the more likely they will be to set the right priorities.

Accordingly, the aim of this paper is to assist the representatives of the Georgian B2B segment in determining the right priorities and to provide a developed recommendation based on the reactions of B2B market users to the primary source of information and feedback that may arise in the process of applying various tactics.

Based on empirical research and statistical analysis,, a cross-sectional relationship between information acceptable and less relevant information and primary communication tactics for B2B users and suppliers has been identified. The feedback between the source of communication and the size of the company in B2B markets is analyzed. Based on the processing of theoretical materials and practical data, relevant recommendations have been developed for B2B companies operating in Georgia.

Keywords: B2B, Business markets, constant communication, marketing tactics, dissemination of information, personal selling.

JEL Codes: M20, M21, M31

საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო კავშირების ანალიზი

ნინო მელიტაური

დოქტორი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.melitauri934@eab.tsu.edu.ge

ვაჭრობის დიბეზალიზაციის პირობებში მთავრობებმა შეცვალეს სამოქმედო პოტენციალის მქონე ინსტრუმენტები და საშინაო ინდუსტრიების დაცვას, უმეტეს შემთხვევაში, ახორციელებენ ახასიათებელ ბაზის დიპლომატიას. საქართველოს მსოფლიოს მხარე ქვეყანასთან აქვს გაფორმებული ომბუდსმენი თუ მხარეობის საკითხი ხელშეკრულება, რომლის მიზანი სავაჭრო ნაკადების სტიმულირებაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხელშეკრულებები ამყარებს თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობას, ვაჭრობას გახიზნვის გვერდითი ატვირთვებით, ახასიათებელ ბაზის დიპლომატიის მოქმედება ხიზნვის შემთხვევაში სხვადასხვადას. ამ ახასიათებელ ბაზის დიპლომატიის ფონზე, სტატისტიკის მოცემულია საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების სტიმულირების ეფექტიანობის შეფასების მცდელობა, ეკონომიკური დიპლომატიის ცნობილი ისეთი ინდექსების გამოყენებით, როგორცაა ვაჭრობის გახიზნვის ინდექსი, ვაჭრობის გეოგრაფიული და სექტორული კომპოზიციის ინდექსები, ექსპორტის დივერსიფიკაციის დონის ინდექსი, ექსპორტის ზღვის მაჩვენებელი და სექტორების მიხედვით შედარებითი უპირატესობის ინდექსი.

თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებზე დადებითად აისახება, ხასაც საქართველოს ვაჭრობის გახიზნვის ინდექსი გამოხატავს. მხარე სავაჭრო პარტნიორობის, მათ შორის, ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანასთან, საქართველო მსგავსი ინდუსტრიის წილით ახორციელებს ვაჭრობას, ვაჭრობითი მაჩვენებელია ამ ეკონომიკებთან სექტორული კონვერგენციის მიმართულებით. ასევე, საქართველოს ეკონომიკას ექსპორტის დივერსიფიკაციის დონე დაბალი აქვს, თუმცა, დოკუმენტად, ეკონომიკის ექსპორტის ზღვის მაჩვენებელი ნორმალურია.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ევროკავშირი, საერთაშორისო ვაჭრობა, WTO, სავაჭრო ინდექსები.

JEL Codes: F40, P33, P45

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, ვაჭრობის ლიბერალიზაციის მოტივით, ტარიფების მნიშვნელობა შემცირდა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ პროტექციონიზმი აღარ არსებობს. დღესდღეობით, მთავრობებმა შეცვალეს სამოქმედო პროტექციონისტული ინსტრუმენტები და საშინაო ინდუსტრიების დაცვას, უმეტეს შემთხვევაში, ახორციელებენ არასატარიფო ბარიერების ვარიაციებით, როგორცაა მაგალითად, ფიტოსანიტარული ნორმები და ხარისხის სტანდარტები, საიმპორტო და საექსპორტო კვოტები¹ და ა.შ.

მიმდინარე მდგომარეობით, საქართველოს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან გაფორმებული აქვს ცალმხრივი თუ ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება. რა თქმა უნდა, მსგავსი შეთანხმებების მიზანი სავაჭრო ნაკადების სტიმულირებაა. თუმცა, მიუხედავად თავისუფალი სავაჭრო რეჟიმებისა, რაც ვაჭრობას ტარიფების ტვირთისგან ათავისუფლებს, არასატარიფო ბარიერები, რიგ შემთხვევაში, სრული ზომით მოქმედებს. მაგალითად, ევროკავშირთან გაფორმებული DCFTA რეჟიმი, ერთი მხრივ, საქართველოს სრულად ათავისუფლებს სატარიფო სახის გადასახადებისგან, მაგრამ, მეორე მხრივ, არასატარიფო ბარიერები სავაჭრო ნაკადების ნომერ პირველი დამაბრკოლებელი ფაქტორია.

წარმოდგენილ ნაშრომში საკმარისად დეტალურადაა გაანალიზებული საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მიმდინარე სურათი. კერძოდ, 2020 წლის სექტემბრის თვის ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკაზე დაყრდნობით, შეფასებულია ვაჭრობის სტრუქტურული მახასიათებლები და ინდექსები: საქართველოს ეკონომიკის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი, როგორც აგრეგირებულ, ასევე, ინდუსტრიის დონეზე; ვაჭრობის სექტორული კომპოზიცია; აქტიურ სავაჭრო პარტნიორებთან შიდა ინდუსტრიული ვაჭრობის განვითარების დონე; ექსპორტის დივერსიფიკაციის დონე; ექსპორტის ზრდის მარჯინები; შედარებითი უპირატესობის ინდექსები სექტორების მიხედვით.

¹ ექსპორტის რაოდენობის შეზღუდვებს საექსპორტო ქვეყნები ძირითადად აწესებენ იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ვაჭრობაში ინდექსები გვეხმარება ქვეყნის სავაჭრო საქმიანობის შედეგების წარმოჩენაში. ვაჭრობის შედეგებში მოიაზრება: 1) რამდენს ვაჭრობს, 2) რითი ვაჭრობს და 3) ვისთან ვაჭრობს ქვეყანა. სამივე კომპონენტის ანალიზი მნიშვნელოვანია, ვინაიდან, თითოეული მათგანი წარმოშობს შიდა ეკონომიკაზე გავლენის მქონე ეფექტებს (WTO, 2011).

ქვეყნის ვაჭრობის მოცულობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ვაჭრობის გახსნილობასთან, რაც ზომავს ეკონომიკის შესაძლებლობას ინტეგრირდეს მსოფლიო სავაჭრო წრეებსა და გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. სავაჭრო ღიაობა შეიძლება ასევე გავიგოთ, როგორც სავაჭრო პოლიტიკის „მიღწევის“ მაჩვენებელი, რამდენადაც ის გამომდინარეობს პოლიტიკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (მაგ. სავაჭრო ბარიერები და სავალუტო რეჟიმები).¹

რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რითი ვაჭრობს ქვეყანა, აქ იგულისხმება ქვეყნის იმპორტისა და ექსპორტის სტრუქტურა, პროდუქტიული ფაქტორების ანალიზით და მისთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიებით. ზოგიერთი ფაქტორი, მაგალითად, მიწა და სხვა რესურსები, ქვეყანას ბუნებრივად ეძლევა, ხოლო ზოგიერთი, მაგალითად, ფიზიკური კაპიტალი და სხვ. დღევანდელი სავაჭრო პოლიტიკის შედეგია. თუ რითი ვაჭრობს ქვეყანა, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ექსპორტის დივერსიფიკაციასა და ქვეყნის შედარებითი უპირატესობის მაჩვენებლებთან ამა თუ იმ სექტორში. შედარებითი უპირატესობის ანალიზისას ფაქტორ-აღჭურვის მონაცემები იშვიათად არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ვიყენებთ გამოვლენილი შედარებითი უპირატესობის ინდექსს (RCA), რომელიც იანგარიშება სავაჭრო მონაცემებიდან.

მესამე საკითხი - ვისთან ვაჭრობს ქვეყანა - ავლენს იმ ფაქტს, თუ რამდენად მომგებიან პოზიციაში იმყოფება ქვეყანა. მაგალითად, მზარდ და ტექნოლოგიურად ძლიერ ბაზრებთან სავაჭრო ხაზების არსებობას მოჰყვება ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდა. აქ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული და ტერიტორიული მანძილები ქვეყნებს შორის.

¹ სავაჭრო ღიაობაში გასათვალისწინებელია ასევე გეოგრაფიულ და სხვა ბუნებრივი ფაქტორები, მაგალითად, ზღვებთან სიახლოვე, დისტანცია და ა.შ.

საერთაშორისო სავაჭრო ინდექსები საქართველოს ეკონომიკისთვის

ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი ვაჭრობის სხვადასხვა ინდექსი ვაჭრობის სხვადასხვა ასპექტს ახასიათებს და ხსნის.

პირველი ინდექსი, რომელიც საინტერესოა საქართველოს ეკონომიკისთვის, არის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი (Leamer, 1988). ის გამოითვლება მოცემულ დროში სავაჭრო ნაკადების (ექსპორტისა და იმპორტის ჯამის) ფარდობით მთლიან სამამულო პროდუქტთან:

$$O^i = \frac{X^i + M^i}{Y^i}$$

სადაც i ქვეყნის აღმნიშვნელი ინდექსია, X^i - არის შესაბამისი ქვეყნის მთლიანი ექსპორტი, M^i - მთლიანი იმპორტი და Y^i - მთლიანი საშუალო პროდუქტი. ზოგადად, რაც უფრო მაღალია O^i -ის მნიშვნელობა, მით მეტად გახსნილია ქვეყნის ეკონომიკა. ანალიზისთვის ძალიან გამოსადეგია ინდექსის დროითი მწკრივი. ცხრილი 1-ში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკის ვაჭრობის გახსნილობის ინდექსები 2015 წლიდან 2019 წლის ჩათვლით. როგორც ვხედავთ, ინდექსის მნიშვნელობა 2017 წლიდან საკმაოდ გაიზარდა, რაც კარგი ტენდენციაა და ნიშნავს, რომ გაზრდილ საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების ფონზე, ბოლო წლებში, საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის დონე მატულობს.

ვაჭრობის გახსნილობის ინდექსი (მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი 1

წლები	ექსპორტი	იმპორტი	მსკ	გახსნილობის ინდექსი
2015	2,204.2	7,304.2	14,948.2	0.636
2016	2,117.1	7,341.9	15,141.7	0.625
2017	2,745.7	8,056.6	16,248.5	0.665
2018	3,379.7	9,361.6	17,596.6	0.724
2019	3,798.4	9,516.9	17,736.6	0.751

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია, რომ ცხრილში მოყვანილი ინდექსის საშუალო პერიოდული მნიშვნელობა – 0.68, გონივრულ თანხვედრაშია ჩვენ მიერ

2014-2019 წლების დროის ინტერვალისთვის ექსპერტული შეფასებით დათვლილ ვაჭრობის შეფერხების ინდექსთან, რომელის მნიშვნელობაც შეადგენს 0.32-ს (მელიტაუჩი, 2020).

შემდეგი მნიშვნელოვანი ინდექსი დაკავშირებულია საქართველოს სავაჭრო კომპოზიციასთან, ანუ ვაჭრობის სექტორულ და გეოგრაფიულ ორიენტაციასთან (Grubel, 1975). სექტორული კომპოზიცია რამდენიმე მიზებით გვაინტერესებს. პირველი, რომ გავარკვიოთ რომელ სექტორებში ხდება ტექნოლოგიური წინსვლა და მისი თანამდევი ეკონომიკური ზრდის პროცესები. აქ, კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია თანამდევი შედეგები ნამდვილად ზრდას გვაძლევს, თუ სანინალმდეგო პროცესები მიდის. მეორე, სექტორულ დონეზე უფრო ადვილია ეკონომიკური ზრდის შემცირების გამომწვევი პროცესების იდენტიფიცირება.

გეოგრაფიული კომპოზიცია წარმოაჩენს მსოფლიოს რეგიონებს შორის დინამიკურ კავშირურობებს და გვეხმარება ექსპორტის პოპულარიზაციის სტრატეგიების შემუშავებაში.

მრავალი ქვეყნისთვის საერთაშორისო ვაჭრობის დიდი წილი მოდის მსგავს ინდუსტრიებს შორის სავაჭრო ნაკადებზე, რაც დაკავშირებულია ვაჭრობის სექტორულ კომპოზიციასთან. მსგავს ინდუსტრიებს შორის ვაჭრობის მნიშვნელობების შესაფასებლად ვიყენებთ გრუბელ-ლოიდის GL (Grubel-Lloyd)¹ ინდექსს:

$$GL_{ij}^{ij} = 1 - \frac{|X_k^{ij} - M_k^{ij}|}{X_k^{ij} + M_k^{ij}}$$

სადაც, X_k^{ij} არის i ქვეყნიდან j ქვეყანაში საქონლის ექსპორტი, ხოლო M_k^{ij} – j – ქვეყნიდან i ქვეყანაში k საქონლის იმპორტი. ინდექსი მოთავსებულია [0-1] ინტერვალში. თუ რომელიმე სექტორში ქვეყანა მხოლოდ იმპორტიორია ან მხოლოდ ექსპორტიორი, ინდექსის მეორე წევრი გაუტოლდება 1-ს და ინდექსის მნიშვნელობა გახდება 0-ის ტოლი. ეს იქნება მსგავს ინდუსტრიებს შორის ვაჭრობის არარსებობის მაჩვენებელი. მეორე მხრივ, თუ ქვეყანა სექტორში ახორციელებს ექსპორტსაც და იმპორტსაც, ინდექსი ახლოს არის ერთთან და მიისწრაფვის 1-სკენ, რაც უფრო უახლოვდება ერთმანეთს იმპორტის და ექსპორტის მნიშვნელობები. გა-

1 GL ინდექსი მიესადაგება კრუგმანის მონოპოლისტურ-კონკურენტულ მოდელში განხილულ ვაჭრობის ანალიზს.

ნვითარებადი ქვეყნისთვის, რომელიც ინდუსტრიულ ქვეყანასთან ვაჭრობს, ამ ინდექსის მნიშვნელობის ზრდა კარგი მაჩვენებელია და ნიშნავს ქვეყნებს შორის შემოსავლების დონეებისა და ინდუსტრიული სტრუქტურის კონვერგენციას.

ცხრილში 2 მოცემულია საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების მიხედვით გაანგარიშებული გრუბელ-ლოიდის GL ინდექსი. როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის GL ინდექსის მნიშვნელობა 2015-2019 წლებში რამდენადმე მერყევი იყო. ამავე დროს, ინდექსის მაჩვენებლები მიუთითებს, რომ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ვაჭრობის სექტორული კონვერგენციის დონე დაბალია.

**საქართველოსა და EU ქვეყნებს შორის სექტორული კონვერგენციის შეფასება
(ათასი აშშ დოლარი)**

ცხრილი 2

წლები	ექსპორტი	იმპორტი	GL ინდექსი
2015	644,729.9	2,082,429.4	0.47
2016	565,675.0	2,228,082.7	0.40
2017	655,435.8	2,225,014.7	0.46
2018	729,224.3	2,555,163.7	0.44
2019	819,242.4	2,407,237.3	0.51

2020 წლის სექტემბრის ექსპორტ-იმპორტის სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, გეოგრაფიული კომპოზიციის ქრილით დათვლილი GL ინდექსი ნულის ტოლია საქართველოს სავაჭრო პარტნიორი 78 ქვეყნისთვის. აქედან 24 ქვეყანასთან¹ საქართველოს აქვს მხოლოდ საექსპორტო ხაზები. ამ ქვეყნებთან ექსპორტის ჯამური ღირებულება დაახლოებით 2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ხოლო, 54 ქვეყანასთან საქართველოს აქვს მხოლოდ საიმპორტო ნაკადები, რომელთა ჯამური ღირებულება არის 12.7 მლნ აშშ დოლარი, რაც 6.35 ჯერ მეტია ექსპორტზე.

აგრეგირებული ქრილით, ჯამური ექსპორტისა და ჯამური იმპორტის გამოყენებით დათვლილ GL ინდექსის საფუძველზე, შევარჩიეთ ტოპ-10 ქვეყანა, რომელთა მნიშვნელობები ახლოს არის ერთთან (იხ. ცხრილი 3). GL ინდექსის განმარტების თანახმად, მოცემულ ქვეყნებთან საქართვე-

1 .ალჟირი, ახალი ზელანდია, ეთიოპია, კუბა, ლიბია, მონტენეგრო, მონღოლეთი, ნიგერია, ტანზანია, ფიჯი, ქუვეითი, ალჟირი, კუბა და ა.შ.

ლოს ექსპორტისა და იმპორტის მნიშვნელობა ერთმანეთთან დაახლოებული სიდიდეებია. GL ინდექსის განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობა შეესაბამება უზბეკეთს, ისრაელს და ბულგარეთს. სავაჭრო ნაკადები მაღალია ასევე, ბელარუსთან, ფინეთთან, ინდონეზიასთან.

**საქართველოს სავაჭრო ნაკადების გეოგრაფიული კომპოზიცია GL ინდექსით
(ღირებულება - ათასი აშშ დოლარი)**

ცხრილი 3

ქვეყნები	ექსპორტი	იმპორტი	GL
უზბეკეთი	1523.3	1572.9	0.98
ისრაელი	951.4	908.6	0.98
ბულგარეთი	13082.3	12448.2	0.98
ბელარუსი	3392.4	3201.5	0.97
ფინეთი	271.0	252.5	0.96
ინდონეზია	730.0	799.3	0.95
ბანგლადეში	19.2	22.4	0.92
ჩინეთი	57375.6	66996.7	0.92
ყატარი	76.2	90.8	0.91
ლიეტუვა	2193.7	2623.1	0.91

გეოგრაფიული კომპოზიციის შემდეგ საინტერესოა სექტორული კომპოზიცია, რომლითაც განისაზღვრება, მოცემულ ქვეყნებთან, კონკრეტულად რომელ სექტორში აქვს საქართველოს მსგავს ინდუსტრიებთან ვაჭრობის პრაქტიკა. სექტორის დონეზე ინდუსტრიული კონვერგენციის არსებობას ვაანალიზებთ კვლავ GL ინდექსის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა უზბეკეთი პირველ ადგილზე დგას სავაჭრო ნაკადების მნიშვნელობებით, ამ ქვეყანასთან საქართველოს ინდუსტრიული კონვერგენცია არ გააჩნია. ისრაელთან მსგავს ინდუსტრიებს შორის საქართველოს ვაჭრობა განვითარებული აქვს ნაბეჭდი წიგნების, გაზეთების, პოლიგრაფიული მრეწველობის სხვა ნაწარმის და ოპტიკური, ფოტოგრაფიული, საზომი, საკონტროლო, სამედიცინო ინსტრუმენტებისა და აპარატების სექტორებში, 0.8. ბულგარეთთან შავი ლითონების წარმოების სექტორში, 0.98, ხოლო ბელარუსთან არაორგანული ქიმიის პროდუქტების, ლითონებისა და რადიოაქტიური ელემენტების ნაერთების წარმოების სექტორში, 0.87.

სავაჭრო პარტნიორებს შორის, ევროკავშირის ქვეყნებიდან GL ინდექსის მიხედვით, გამოვყოფთ გერმანიას, ესპანეთს, ესტონეთსა და იტალიას (იხ. ცხრილი 4). ცხრილში მოცემულია GL ინდექსები ორივე, გეოგრაფიული და სექტორული კომპოზიციების მიხედვით. გეოგრაფიული კომპოზიციის მიხედვით ინდექსები ამ ქვეყნებთან საშუალო დონეს გვიჩვენებს. DCFTA-ის ფარგლებში, ევროკავშირის ქვეყნებთან ძირითადად საინტერესოა სოფლის მეურნეობის სექტორი და ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების სექტორი. სოფლის მეურნეობის სექტორში ვაჭრობის მაჩვენებელი იტალიასა და ესპანეთთან მაღალია – GL – 0,95-ს. ასევე მაღალია გერმანიასთან – GL = 0,82. სასმელების სექტორში საქართველოს მაღალი GL ინდექსი აქვს გერმანიასთან – 0.95, და ესტონეთთან – 0.83. თუმცა ინდექსების მაღალი მაჩვენებლები ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საქართველოს ამ ქვეყნებთან სოფლის მეურნეობისა და სასმელების სექტორში საქართველოს ინდუსტრიული კონვერგენცია აქვს. კონვერგენციაზე დასკვნა შესაძლებელია მაშინ, როცა ეკონომიკები ერთნაირი ზომის არიან.

ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან მსგავს ინდუსტრიებში

ცხრილი 4

ქვეყანა/სექტორი	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	GL
გერმანია	10312919.01	23798799	34111718	0.605
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	425680.0975	383389.5	809069.6	0.948
მცენარეების თესლი და ნაყოფი; მცენარეები სამკურნალო და ტექნიკური მიზნებისათვის	99760.48228	69279.31	169039.8	0.820
ესპანეთი	14765811.14	7454239	22220050	0.671
ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები	43200	47672.1	90872.1	0.951
ესტონეთი	399115.5212	553324.2	952439.7	0.838
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	97044	141037.4	238081.4	0.815
იტალია	4015454.115	11089342	15104796	0.532
ბოსტნეულის, ნაყოფის, კაკლის ან მცენარეთა სხვა ნაწილების გადამუშავების პროდუქტები	37999.74447	34665.85	72665.59	0.954

ევროკავშირთან საქართველოს ვაჭრობის გაიოლების ინდექსი თანმიმდევრულად უმჯობესდება, თუმცა, მომავალი წლების სამოქმედო გეგმის დღის წესრიგში კვლავ რჩება საექსპორტო სტრუქტურის დივერსიფიკაცია და ევროკავშირის ბაზარზე ახალი საექსპორტო შესაძლებლობების ათვისება (ჭამაგიძე, 2019).

შემდეგი სააანალიზო მაჩვენებელია ექსპორტის ზრდის მარჩინები (Brühlhart, 1994). ლოგიკურია, რომ ქვეყნებს შორის ვაჭრობის პარადიგმები ფიქსირებული არ არის და დროში მუდმივად ვითარდება. ამასთან, სავაჭრო პოლიტიკის ინტერესია ვაჭრობის საპასუხო ლიბერალიზაცია, რომლის მიზანია ახალ ბაზრებზე წვდომა და ექსპორტის შესაძლებლობების გაფართოება, ე.ი. როგორც ვაჭრობის მოცულობის, ასევე სავაჭრო პარტნიორების რაოდენობის გაზრდა. შესაბამისად, გვაქვს ინტენსიური და ექსტენსიური მარჩინები. ინტენსიური მარჩინი გვაქვს, როდესაც უკვე არსებულ საექსპორტო მიმართულებებზე ხდება საექსპორტო პროდუქტების მოცულობის გაზრდა. ექსტენსიური მარჩინის შემთხვევაში ახალი საექსპორტო პროდუქტებით გავდივართ ახალ საექსპორტო მიმართულებებზე. როდესაც საექსპორტო პერიოდი შედარებით ხანგრძლივია, ვაფიქსირებთ, რომ მარჩინი მდგრადია.

ინდექსის გამოსათვლელად ვახდენთ დეკომპოზიციას. ვთქვათ, არის შიდა ეკონომიკიდან ექსპორტირებული იმავე პროდუქტების სიმრავლე ტერმინალურ პერიოდში. საბაზო პერიოდის ექსპორტს ვითვლით ღირებულებით მაჩვენებელში შემდეგი ფორმულით:

$$X_0 = \sum_{K_0} X_{k0}.$$

ანალოგიურად, ტერმინალური პერიოდის ექსპორტისთვის გვაქვს:

$$X_1 = \sum_{K_1} X_{k1}.$$

საბაზო და ტერმინალურ პერიოდებს შორის მთლიანი ექსპორტის ღირებულების ცვლილება ჩაიშლება შემდეგნაირად:

$$\Delta X = \sum_{K_0 \cap K_1} \Delta X + \sum_{K_1 / K_0} X_k - \sum_{\frac{K_0}{K_1}} X_k,$$

სადაც, პირველი წევრი არის ექსპორტის ვარიაცია ინტენსიურ მარჩინში, მეორე წევრი – ახალი პროდუქტების მარჩინი, ხოლო მესამე წევრი – პროდუქტის „მოკვდაობის“ მარჩინი.

საქართველოს ეკონომიკისთვის, საბაზო პერიოდად ვიღებთ 2020 წლის აგვისტოსთვის ექსპორტის სტატისტიკას, ხოლო, ტერმინალურ პერიოდად - 2020 წლის სექტემბრისთვის ექსპორტის სტატისტიკას და შემდეგ სურათს მივიღებთ:

$$X_0 = \sum_{k_0} X_{k_0} = 228 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$X_1 = \sum_{k_1} X_{k_1} = 254 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$\text{ინტენსიური მარჯინი} = \sum_{k_0 \cap k_1} \Delta X = 26 \text{ მლნ აშშ დოლარი};$$

$$\text{ახალი პროდუქტების მარჯინი} = \sum_{k_1/k_0} X_k = 96 \text{ ათასი აშშ დოლარი};$$

$$\text{პროდუქტის „მოკვდაობის“ მარჯინი} = \sum_{k_0/k_1} X_k = 106.44 \text{ აშშ დოლარი}.$$

დასკვნა შემდეგია: ექსპორტი შეიძლება გაიზარდოს არსებული საექსპორტო პროდუქტების ან ახალი პროდუქტების ექსპორტის ზრდით, ან საექსპორტო ხაზებზე ტრანზაქციების ჩავარდნით. საქართველოს შემთხვევაში ყველაზე დიდია ინტენსიური მარჯინი, ანუ ექსპორტი ძირითადად იზრდება არსებული პროდუქტების მეტი ექსპორტით, იმ ფონზე, რომ მხოლოდ ერთთვიანი მიმდევრობითი პერიოდები ავიღეთ. კარგად გამოიყურება ექსტენსიური მარჯინიც. დაბოლოს, ვხედავთ, რომ საექსპორტო ხაზების ჩავარდნის შემთხვევები დაკვირვების პერიოდში მინიმალურია.

პრაქტიკიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ახალი პროდუქტების მარჯინის კონტრიბუცია ექსპორტის ზრდაში მცირეა. ამას ორი მიზეზი განაპირობებს, რომელთაგან ერთი – ტექნიკური ხასიათისაა, ხოლო მეორე – საკმაოდ არსებითია. პირველი არის ის, რომ პროდუქტი ექსტენსიურ მარჯინზე მხოლოდ პირველ პერიოდში ჩაითვლება, მეორე პერიოდიდან მოყოლებული გადადის ინტენსიურ მარჯინზე. აქედან გამომდინარე, თუ ფირმა პირველივე პერიოდში დიდი მოცულობით არ დაიწყებს ექსპორტს (რაც ნაკლებად მოსალოდნელია), ექსტენსიური მარჯინის ეფექტი, ბუნებრივია, მცირე იქნება. მეორე, არსებითი მიზეზია, ის, რომ ახალი ექსპორტიორების უმრავლესობა მოკლე პერიოდში ბაზრიდან გადის. განვითარებად ქვეყნებში საშუალო საექსპორტო სიცოცხლის ხარგრძლივობა ორი წელია. ბევრია ახალი საექსპორტო წარმოება, მაგრამ ასევე დიდია ბაზარზე შესვლისა და გასვლის ბრუნვა. ექსპორტის მდგრადობის გაზრდა, პირველ რიგში, მოითხოვს დაბალი სიცოცხლისუნარიანობის მიზეზების კვლევას. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეკონომი-

კისთვის გააანალიზებულია ფირმების დაბალი საექსპორტო სიცოცხლი-სუნარიანობის ზოგიერთი მიზეზი (მეღითაური, 2020).

ექსპორტის დივერსიფიკაცია და შედარებითი უპირატესობა

ექსპორტის დივერსიფიკაციის მარტივი საზომია ჰერფინდალის კონცენტრაციის ინდექსის შებრუნებული (Cadot, 2011). ინდექსს ვითვლით მთლიან ექსპორტში სექტორების წილის კვადრატების ჯამით. აღვნიშნოთ i ინდექსით ქვეყნები, ხოლო k -თი სექტორები. ჰერფინდალის ინდექსი იქნება:

$$h^i = \sum_k (s_k^i)^2.$$

სადაც, s_k^i არის k სექტორის წილი i ქვეყნის ექსპორტში (ან იმპორტში). ინდექსი მოთავსებულია $1/K$ -სა და 1 -ს შორის. K არის ექსპორტირებული ან იმპორტირებული პროდუქტების რაოდენობა. საქართველოს ეკონომიკისთვის ჰერფინდალის ინდექსის ინტერვალია $[0.0115; 1]$. ხოლო ინდექსის მნიშვნელობა 0.168 , რაც ექსპორტის დივერსიფიკაციის დაბალ ნიშნულზე მიუთითებს.

მარტივი გადანყოფით შეგვიძლია ჰერფინდალის ინდექსის შკალა 0 -სა და 1 -ს შორის მოვათავსოთ. მივიღებთ სიდიდეს:

$$nh^i = \frac{h^i - 1/K}{1 - 1/K} = 0,158.$$

რომელიც ახლოს არის ნულთან და დივერსიფიკაციის დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს. პროფ. გ. ლაღანიძის მიერ (ლაღანიძე, 2017) 2010-2015 წლებისთვის დათვლილ ჰერფინდალის ინდექსების მიხედვით, ექსპორტის კონცენტრაცია ასევე დაბალი იყო ევროკავშირის ქვეყნებთან, რაც, ავტორის შეფასებით, პოზიტიური მოვლენაა.

შევნიშნოთ, რომ თუ დივერსიფიკაციის ინდექსი დათვლილია მხოლოდ აქტიურ საექსპორტო ხაზებზე, ის ზომავს კონცენტრაციას ინტენსიურ მარჯინზე. ექსტენსიურ მარჯინზე დივერსიფიკაციას მარტივად გავიგებთ ახალი საექსპორტო ხაზების დათვლით. დივერსიფიკაცია როგორც ექსტენსიურ, ასევე ინტენსიურ მარჯინებზე ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად იცვლება, და მდიდარ ქვეყნებშიც ვხვდებით კონცენტრაციების გადანყოფას.

Identifying and defining the problem. At the initial stage it is necessary to pose “right” questions for delimiting the problem in order to rule out spontaneous decision without its proper detailed definition.

Analyzing the factors causing the problem. Frequently problem solving comes down to elimination of its causes.

Identifying possible strategies and solutions. It is always desirable to identify as many solution options as possible in order to have more alternatives to choose from.

Choosing the best solution. It is always advisable to analyze cost-effectiveness and advantages of each option before taking a final decision.

Setting out an action plan. Application of each solution should be mapped out in order to verify its effectiveness and take action in case of failure.

Implementation of the solution. Implementation of the action plan requires all the involved entities to carry out the planned actions in accordance with the agreed upon framework.

Follow-up verification. Verification of the results of each decision allows for taking any preventive measures against failure or repeating the entire decision-making cycle until the right approach is found.

Based on this approach, the choice of the method for validation of decisions becomes most essential part of the process. And this depends on the rationale under the decision models itself. There are many types of decision-making practices, such as: the methods of cognitive science, the methods of qualitative and quantitative analysis, cause-and-effect among them, and others.

Keywords: Operations research, heuristic and graphic methods, modelling, business games, synthetics, brainstorming.

JEL Codes: C44, C50, C70, C71

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი – 115 (1905–1987)

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი - მსოფლიო დონის მეცნიერი და ჭეშმარიტად დიდი ერისკაცი



აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იმ ქართველ მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და ჭეშმარიტ მამულიშვილთა კოჰორტას მიეკუთვნება, რომელთა სახელი და დიდება არახოდეს მიეცემა დავიწყებას და სამუდამოდ რჩება ქვეყნისა და ერის ისტორიაში. „დიდი ადმიანები მხოლოდ მოდიან და სამუდამოდ რჩებიან ადამიანთა შორის“, წერდა იგი სახელოვან მოღვაწეთა დამსახურების შეფასებისას, რომელთა შორის, არც თუ დიდი ხნის შემდეგ, თვითონ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, როგორც გამორჩეულმა ბრძენკაცმა. ოცდაათ წელზე მეტი გავიდა მისი

ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გადასვლის შემდეგ, მაგრამ მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგები დღესაც აქტუალური და უაღრესად ცხოვრებისეულია, რაც უდავოდ გამოსაყენებელია მრავალჭირნახული და ამჟამად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც უპირველესი საზრუნავი და საფიცარი იყო მთელი მისი ამქვეყნიური ცხოვრების მანძილზე.

ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქს, ფართო დიაპაზონის მკვლევარს, საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილ მოღვაწეს, ქართველი ერის ქეშმარიტად სასიქადულო შვილს, აკადემიკოს პაატა გუგუშვილს, უბადლო ნიჭიერებასთან ერთად, უშრეტმა ენერგიამ, მეცნიერული საქმიანობის უბადლო ორგანიზატორის უნარმა, უდიდესმა ნებისყოფამ და დაუოკებელმა მიზანსწრაფვამ შეაძლებინა შეექმნა ეროვნული ეკონომიკური მეცნიერების საფუძველი, ახალ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აეყვანა ის და გამხდარიყო ქართული ეკონომიკური სამეცნიერო სკოლის შემქმნელი და ღირსეული მესაყე მრავალი წლის განმავლობაში. შესაბამისად, მეცნიერის მიერ განვლილი გზის ღრმადმინაარსიან წარმოჩენას ფოლიანტებიც ვერ დაიტევს, რის გამოც შევძებნით მისი მოღვაწეობის მხოლოდ ძირითად მომენტებს.

პ. გუგუშვილი დაიბადა 1905 წლის 28 სექტემბერს აბაშის რაიონის სოფელ კოდორში (ამჟამად კეთილარი). მისი მშობლები იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანები იყვნენ: მამა – ბესარიონი, წლების განმავლობაში, სოფლის არჩევითი მამასახლისი იყო და მას ზრუნვას და გარჯას არ აკლებდა. დედა – მარიამ კიზირია კი, ფაქტობრივად, მასწავლებლის ფუნქციასაც ასრულებდა. მან წერა-კითხვა შვილებს სკოლამდელ ასაკში ასწავლა და საბავშვო ლიტერატურაც შეაყვარა. 11 წლის იყო პაატა, როცა დედა გარდაეცვალა. მან კი იქვე ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1917–1923 წწ. ჯერ ფოთის ექვსკლასიანი სასწავლებელი, მერმე კი ფოთის გიმნაზიაც დაასრულა. შემდეგ იყო ქუთაისის ორწლიანი საშუალო სასწავლებელი, რომელიც ერთ წელში წარმატებით დაძლია. 1923–1927წწ. იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ეკონომისტ-ფინანსისტის სპეციალობის წარჩინებული სტუდენტი. 1926–1929წწ. იქვე ისმენდა ლექციებს აგრეთვე სამართლისა და საქართველოს ისტორიასა და ქართული სამართლის ისტორიაში, ასევე მონაწილეობდა საქართველოს ეკონომიკური ისტორიისა და ნუმისმატიკა-მეტროლოგიის სემინარებში, რასაც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. იმავდროულად 1922–1930წწ., ხელმოკლეობის გამო, მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში მონტიორად, მოანგარიშედ, კორექტორად, ასოტამწყობად, სტატისტიკოსად, ბუღალტრად, საფინანსო განყოფილების გამგედ, რომლებსაც წარმატებით ართმევდა თავს. ამასთანავე, 1927 წლიდან მოყოლებული, ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა სტატიებს, ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე. პაატა გუგუშვილის პირველი

მონოგრაფია დაიბეჭდა 1929 წელს – „ქართული წიგნი 1629-1929 წწ., – ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა“, რომელიც დაიწერა ივ. ჯავახიშვილისა და ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით. ნაშრომი მიეძღვნა ქართული სტამბური წიგნის 300 წლისთავს. პაატა გუგუშვილის ეს პირველი მეცნიერული წარმატება და მომავალი მსოფლიო აღიარება, დიდად განაპირობა იმან, რომ მისი მასწავლებლები იყვნენ გამორჩეული მოძღვარ-მეცნიერები ნიკო ნიკოლაძე, ივანე ჯავახიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვები. არც თვითონ დარჩა ვალში და მოკლე პერიოდში სავსებით დამსახურებულად დაიმკვიდრა აღიარებულ მასწავლებელთა ღირსეული მოწაფისა და მათი მეცნიერული მემკვიდრეობის ერთგული გამგრძელებელ-განმავითარებლის სახელი. ეს, უწინარესად, გამოიხატა იმით, რომ პაატა გუგუშვილს გამოქვეყნებული დიდმნიშვნელოვანი ორიგინალური ნაშრომებისათვის, პროფესორების – ფილიპე გოგიჩაიშვილის, გრიგოლ ნათაძისა და მ. პოლიევქტოვის შუამდგომლობით, 1938 წელს საჯარო დაცვის გარეშე, ერთხმად მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1940 წელს პ. გუგუშვილმა, 35 წლის ასაკში ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე – „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX ს.“, რასაც უმაღლესი შეფასება მისცა დიდმა სამეუღლმა, მეცნიერების კორიფეებმა: ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ფილიპე გოგიჩაიშვილმა. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს XIX ს-ის ისტორიისათვის დიდ შენაძენად იქნა აღიარებული. აღსანიშნავია, რომ ეს იყო საქართველოში პირველი სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში. მანამდის კი, 1931 წლიდან მოყოლებული, ზედიზედ გამოქვეყნდა პ.გუგუშვილის: „სახალხო მეურნეობის ისტორია“, «ტექნიკის ისტორია», „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“, „სახალხო მეურნეობის წარმოშობა და განვითარება«და სხვა ნაშრომები. ასევე, მისი რედაქციით, რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა ოთხი დამხმარე სახელმძღვანელო ეკონომიკურ დისციპლინებში.

პაატა გუგუშვილის, როგორც მეცნიერი-მკვლევარის შემოქმედებითი პროდუქტიულობის შესაფასებლად, საკმარისია, თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ მას გამოქვეყნებული აქვს 500-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 50 მონოგრაფია. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება პოლიტიკონომიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის, სახალხო მეურნეობის ისტორიის, სტატისტიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, ქართული ეკონომიკური აზრის, გეგმიანობისა და პროგ-

ნოზირების პრობლემებს. აღსანიშნავია ასევე მისი შრომები ქართული ჟურნალისტიკისა და ბიბლიოლოგიის დარგში. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფია – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს.“, (I–VII ტომი, 1949–84). ადრინდელი (1933წ.) ნაშრომებიდან კი უდავოდ აღსანიშნავია „ეკონომიკური ფორმაციებისათვის“, რომელიც გამოირჩევა ჰეგელის ფილოსოფიის საკვანძო საკითხისადმი ორიგინალური, შეიძლება ითქვას, მარქსისტულ-ლენინურისაგან განსხვავებული მიდგომით, რაც ბოლო პერიოდამდე შეუმჩნეველი რჩებოდა მეცნიერთათვის და რასაც ახლახან ყურადღება მიაქცია ცნობილმა მეცნიერმა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გურამ ყორანაშვილმა (იხ. აქვე, მომდევნო პუბლიკაციები).

აკად. პ. გუგუშვილის მდიდარ მეცნიერულ მემკვიდრეობას სხვადასხვა დროს დადებითად გამოეხმაურნენ ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები: კ. ოსტროვიტიანოვი, ნ. დრუჟინინი, ნ. ცაგოლოვი, პ. მასლოვი, პ. პოდკოლზინი, ბ. ურლანისი (რუსეთი), გ. ჰაინინგერი (გერმანია), ჯ. კოლაჯა (აშშ), ტ. ფიოლდი (უნგრეთი), კ. სალია (საფრანგეთი), ტ. აზატიანი (სომხეთი), ივ. ჯავახიშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. პოლიევქტოვი, ვ. ჩანტლაძე, ლ. გორგილაძე, შ. მესხია, ა. სურგულაძე, ს. ჯორბენაძე, გ. ჭანუყვაძე და მრავალი სხვა.

პაატა გუგუშვილი იყო არამარტო დიდი მეცნიერი, არამედ მეცნიერების დიდი ორგანიზატორი და გამორჩეული საზოგადო მოღვაწე. ამ მხრივ საკმარისია აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის პირობებში – 1944 წელს, მისი ინიციატივითა და ძალისხმევით შედეგად, საქ. მეცნ. აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელიც 1991 წლიდან აკად. პ. გუგუშვილის სახელს ატარებს (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პაატა გუგუშვილის სახელობისაა თსუ-ის მაღლივი კორპუსის ერთ-ერთი გამორჩეული აუდიტორია) და, რომელსაც, დღიდან დაარსებისა – 1976 წლამდე, თვითონ ედგა სათავეში. ამ ინსტიტუტის დაარსებამ საქართველოში ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას დიდი იმპულსი მისცა.

1940–1945წწ. აკად. პ. გუგუშვილი იყო თსუ-ის სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, 1930–67 წწ. თსუ-ში კითხულობდა სახალხო მეურნეობის ისტორიისა და პოლიტეკონომიის, ხოლო 1968–86 წწ. – სოციოლოგიის კურსს. მისი ლექციები იმდენად შთამბეჭდავი და საინტერესო იყო, რომ აუდიტორია ხშირად მსურველებს ვერ იტევდა.

პროფ. პაატა გუგუშვილი იყო პირველი მეცნიერი-ეკონომისტი, რომელიც 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაში წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, ხოლო 1974 წლიდან კი – იმავე აკადემიის აკადემიკოსად.

პ. გუგუშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მეცნიერ-ეკონომისტთა ეროვნული კადრების მომზადებისა და აღზრდის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 100-ზე მეტი სადოქტორო თუ საკანდიდატო დისერტაცია. იგი, 1958 წლიდან, 15 წელი რედაქტორობდა ჟურნალს – „საქართველოს ეკონომისტი“, ასევე აქტიურად თანამშრომლობდა საქ. მეცნ. აკადემიის ჟურნალში – „მაცნე“, როგორც სარედაქციო კოლეგიის წევრი და ეკონომიკური პროფილის განყოფილების ხელმძღვანელი. ამასთან, 1946–1972წწ. გამოვიდა ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების 15 ტომი და სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკა“ – 7 ტომი. თითქმის ყველა მათგანის მთავარი რედაქტორი და ერთ-ერთი თანაავტორი პ. გუგუშვილი იყო.

უდავოდ დიდია აკად. პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული მეცნიერული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. 1947 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტების გრიფით, გამოვიდა „ეკონომიკის ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილი პ. გუგუშვილის ინიციატივით ორგანიზებულ ხანგრძლივი და მწვავე დისკუსიის შედეგების შეჯამებისა და მის მიერვე შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. ამ ნაშრომმა ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

პ. გუგუშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1951 წლის ნოემბრის ცნობილ დისკუსიაში (ქ. მოსკოვი), რომელიც პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს მაკეტის განხილვას მიეძღვნა. მისი სერიოზული შენიშვნები და კონკრეტული წინადადებები სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში აისახა. ამ სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი 1954 წელს გამოიცა პ. გუგუშვილისა და ი. ბაჭაძის რედაქციით.

პ. გუგუშვილი 1959 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად და იმავე წელს სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში პირველად მიიღო მონაწილეობა ხუთი მეცნიერისგან შემდგარმა სსრკ-ის დელეგაციამ. პ. გუგუშვილი, როგორც დელეგაციის წევრი, მსოფლიო მეოთხე კონგრესზე იტალიაში (მილანი-სტრეზა) წარსდგა მოხსენებით – „მრეწველობის ფორმათა სოციოლო-

გიური კლასიფიკაციის შესახებ“. მოხსენება იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ის იქვე აირჩიეს მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრად. ამ დროიდან მოყოლებული იგი სისტემატიურად მონაწილეობდა ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესების, სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში. მონაწილეთა დიდ მოწონებას იმსახურებდა მისი მოხსენებები, რომლებიც გამოქვეყნებულია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ რუსულ და სხვა ენებზე. აღსანიშნავია, რომ 1964 წელს, განთქმული იტალიელი მეცნიერის ფრანჩესკო ვენტურისადმი მიწერილ ღია წერილში, რაც რუსულ და იტალიურ ენებზე გამოქვეყნდა, აკადემიკოსმა ნ.დრუჟინინმა ეკონომიკურ ურთიერთობათა პრობლემებზე საბჭოთა მეცნიერების ფუძემდებლური ნაშრომების ავტორებად დაასახელა მხოლოდ სამი დიდი მეცნიერი – ს.სტრუმილინი, პ.ლიაშჩენკო და პ.გუგუშვილი.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, აკად. პ. გუგუშვილი დიდ და უაღრესად ნაყოფიერ საოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იგი იყო სსრკ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების ბიუროს, საქართველოს საზოგადოება “ცოდნის” გამგეობის, უცხოეთთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექციის თავმჯდომარე, საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდიუმის, საბჭოთა სამეცნიერო ეკონომიკურ დაწესებულებათა ასოციაციის პრეზიდიუმის, მსოფლიო სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის, ასევე სხვა ადგილობრივი, საკავშირო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის განყოფილების გამგე და მისივე ინიციატივით შეიქმნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეზიდენტთან არსებული საქართველოს ხალხთმოსახლეობის (დემოგრაფიის) სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო, სადაც იგი ფრიად სასარგებლო ეროვნულ საქმეებს აგვარებდა.

აკად. პაატა გუგუშვილი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატო ნიშნის“ ორდენებითა და სხვადასხვა მედლით. მისი სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის (დირექტორი – პროფ. რ. აბესაძე) ინიციატივით, თსუ-ში დაწესებულია პაატა გუგუშვილის სამეცნიერო პრემია, 2020 წლიდან კი – „პაატა გუგუშვილის მედალი“, რაც ყოველწლიურად

გადაეცემა საქართველოს დამსახურებულ მოღვაწეებს (უწინარესად მეცნიერების სფეროში). მომზადდა და გამოიცა პ. გუგუშვილის დღიურები და მოგონებები. ინსტიტუტში ფუნქციონირებს პაატა გუგუშვილის კეთილმოწყობილი კაბინეტი და, რაც მთავარია, ინსტიტუტმა იუბილარის 115-ე წლისთავს მიუძღვნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც გამოირჩეოდა მონაწილეთა სიმრავლით. კონფერენციის მასალები კი დაისტამბა და მკითხველს მიეწოდა.

მთლიანობაში, აკად. პაატა გუგუშვილის მეცნიერული შემოქმედება წარმოჩინდება მრავალფეროვნებით. იგი უწინარესად წარმოდგენილია, როგორც სწავლული ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, დემოგრაფი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, ლექსიკოლოგი, ბიბლიოფილი, პოლიგრაფისტი, არქეოგრაფი ...

სამწუხაროდ, აკად. პ.გუგუშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ია-ვარდებით არ ყოფილა მოფენილი. მას წლების განმავლობაში დაუნდობლად, აშკარად თუ შენიღბული მეთოდებით, ებრძოდა ზემდგომ პარტიულ ელიტასთან საეჭვოდ შეკრული, შურიან მეცნიერთა და ვაიმეცნიერთა გარკვეული ჯგუფი, რომელთაც ძილს უფრთხობდა მისი შთამბეჭდავი წარმატებები თუ მიღწევები მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას არაერთი ტკივილი მიაყენეს, მაგრამ მან ყველაფერს გაუძლო და შთამამავლობას დაუტოვა საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერული გამოკვლევები. ჰყავდა დიდებული მეუღლე, ქ-ნი ნინო მიქაბერიძე, მაღალინტელექტუალური ფასეულობების მატარებელი შვილები, რომელთაგან უფროსი – პროფესორი ბესარიონ გუგუშვილი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა. 1993 წლიდან კი, როგორც დევნილი, ფინეთში წარმატებულ საქმიანობას ეწევა. სამწუხაროა, რომ სამშობლოში მის და მისი ოჯახის დაბრუნებაზე არავინ ფიქრობს. უმცროსი ვაჟი გულბაათი, ფინანსური სფეროს წარმატებული მუშაკი და მომავალი მეცნიერი, 1989 წლის ტრაგიკული 9 აპრილის ღამეს გამოყენებული გამოუცნობი გაზით მონამვლის მსხვერპლი გახდა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ აკად. პაატა გუგუშვილის „უძლეველობა“ და დიდი წარმატებები ყველა ფრონტზე იმანაც განაპირობა, რომ იგი იყო ჭეშმარიტად სახალხო პიროვნება, რომელსაც მჭიდრო, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა როგორც საზღვარგარეთის, ასევე განსაკუთრებით, ქართული ელიტის ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, მწერლებსა და საზოგადო

მოდვანებთან, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ჯანაშია, სიმონ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პეტრე შარია, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე, სერგი დანელია, ალექსანდრე ფრანგიშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ანდრია აფაქიძე, ვიქტორ კუპრაძე, ნიკო კეცხოველი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, შოთა მესხია, როინ მეტრეველი, სერგი დურმიშიძე, ვასილ ჩანტლაძე, ნიკო მუსხელიშვილი, ნიკოლოზ იაშვილი, ლეო ჩიქავა და ბევრი სხვა.

და, რაც მთავარია, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკად. პაატა გუგუშვილი სიცოცხლის ბოლომდე ბერმუხასავით იდგა მეცნიერების მოწინავე პოზიციებზე და ახალგაზრდული ენერგიით, საღი გონებითა და ჩვეული შემართებით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს – მეცნიერულ-პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ანუ რასაც ჰქვია ერისა და ქვეყნის უანგარო და თავდადებული სამსახური. ამიტომაც დაიმკვიდრა მან ქართველი ერის ისტორიაში მარად წარუშლელი და ფრიად საპატიო ადგილი.

რევაზ გოგობია

*ეკონომიკუხ მეცნიეხებათა დოქტოხი,
პროფესოხი*

წინასიტყვაობის მაგიერ

გურამ ყორანაშვილი

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

1920-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა წინაკაპიტალისტური სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების, მათ შორის, აზიური წარმოების წესის თაობაზე. ერთ-ერთ დისკუსიას ადგილი ჰქონდა თბილისშიც 1930 წელს. მომხსენებელი იყო ბაქოელი ბერინი. საქართველოდან დისკუსიაში მონაწილეობდნენ ისტორიკოსები გრიგოლ ნათაძე და სარგის კაკაბაძე, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ სერიოზული ცოდნა გამოამჟღავნეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მათგან განსხვავებით, საკითხისადმი ბევრად უფრო სერიოზული მიდგომა ჰქონდა პაატა გუგუშვილს, რომელმაც 1933 წელს ორჯერ გამოაქვეყნა თავისი შეხედულება. მოხდა ის, რომ მან საბოლოო ანგარიშით, გაიზიარა ფორმაციების შესახებ შეხედულებანი, რაც საბჭოთა კავშირში თანდათანობით მყარად იკიდებდა ფეხს. მიუხედავად ამისა, ფრიად მნიშვნელოვანია ბატონ პაატას მოსაზრება ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიაზე“, როგორც მარქსიზმის, კერძოდ – ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთ ფილოსოფიურ წყაროზე, მათ შორის, ძველი აღმოსავლეთის შესახებ.

შევნიშნავთ, რომ აღნიშნული დისკუსიები ზერეღე, სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა. მათში მონაწილეთა უმეტესობა ძირითადად მარქსის, ენგელსის, ლენინის, ასვე სტალინის შესაბამისი აზრების გადმოცემა-ინტერპრეტაციით შემოიფარგლებოდნენ. იშვიათნი იყვნენ მონაწილენი, რომლებიც საკითხზე, ასე ვთქვათ, საგნობრივად ისტორიის ცოდნით მსჯელობდა. ცხადია, დამკვიდრებული უსაფუძვლო მოსაზრება კაპიტალიზმამდელი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების, კერძოდ, აზიური წარმოების წესის თაობაზე, დიდხანს ვერ გასტანდა. მართლაც, 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, დასავლეთის მარქსისტულ აზროვნებაში, აგრეთვე, სსრ კავშირის რიგ ახლებურად მოა-

ზროვნე ისტორიკოსთა შორის, გაჩნდა ახლებური ტენდენცია, სტერეოტიპად ქცეული შეხედულებების გადასინჯვისა.

მისასალმებელია, რომ ამ ტენდენციას მხარი აუბეს საქართველოშიც. 1966 წელს თბილისში გაიმართა შესაბამისი დიკუსია აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის მოხსენების საფუძველზე. ძალზედ სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია მიზეზი, ბატონ პაატას ახალ დისკუსიებში მონაწილეობა აღარ მიუღია, თუმცა საზგასმით ვიმეორებთ – მისეული თვალსაზრისი ძველი აღმოსავლეთის ისტორიული პროცესის, კერძოდ ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“, როგორც ისტორიული მატერიალიზმის გაგების ერთ-ერთი წყაროს თაობაზე, ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ჰეგელმა სწორად შენიშნა თავისუფლების, როგორც უმთავრესი საფუძველის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. მსოფლიო ისტორიის ცენტრების გადანაცვლებით ისტორიის გააზრებას შეეცადნენ კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი, ოღონდ, რასაკვირველია, მატერიალისტურ საფუძველზე. სხვა ამბავია, რომ მათი ეპიგონური განსაზღვრებით საბჭოთა კავშირში ამას ვერ მიხვდნენ. მათგან განსხვავებით, ბატონ პაატას ჰქონდა სერიოზული, სავსებით მისაღები მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე და ის სათანადოდ უნდა იქნეს გაშუქებული და პროპაგადირებული.

აქვე გთავაზობთ ბატონ პაატა გუგუშვილის სტატიას.

ეკონომიური ფორმაციებისათვის (ამონარიდი ნაშრომიდან, რომელიც უშუალოდ ეხება ისტორიის ფილოსოფიის ჰეგელიანურ გაგებას)¹

პაატა გუგუშვილი

ისტორიის მარქსისტული გაგება თავის საწყისებს ჰეგელისაკენ მიუთითებს, ე.ი. ისტორიის დიალექტიკურ გაგებას, რაიც პირველად ჩამოყალიბებულ იქნა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ, უშუალო წინამორბედად მოევლინა ისტორიის ჰეგელიანური გაგება.

ლენინი პირდაპირ მოითხოვს, რომ მარქსისა და ჰეგელის საქმის გაგრძელება უნდა გამოიხატოს მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის

1 ნაშრომი დაიბეჭდა 1933 წელს, ტფ. „ტექნიკა და შრომა“.

დიალექტიკის დამუშავებაში¹; ის ამასთანავე აცხადებს, რომ შეუძლებელია მარქსის „კაპიტალის“ სავსებით გაგება ჰეგელის მთელი ლოგიკის საფუძვლიანი შესწავლის გარეშეო²; ხოლო ეს იმიტომაა აუცილებელი, რომ „ჰეგელმა ნამდვილად დაამტკიცა, რომ ლოდიკური ფორმები და კანონები არა ცარიელი გარეგანია, არამედ გამოხატულებაა ობიექტური ქვეყნისა“³.

ფ. ენგელსი კი – 1891წ. კ. შმიდტს სწერდა, რომ მარქსიზმის შესწავლა ჰეგელის გარეშე შეუძლებელია. ენგელსი აქ დასძენს, რომ ჰეგელის „ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე“, ეს არის „ერთ-ერთი ყველაზე გენიალური ნაწარმოებთაგანია“⁴.

ჰეგელის „ისტორიის ფილოსოფიის“ შესახებ, რომლისადმი მოსალოდნელ დიდ ყურადღებას ხაზი გაუსვა გ. პლехანოვმა⁵, – ლენინი წერს: „საერთოდ ისტორიის ფილოსოფია მეტისმეტად ცოტას იძლევა – ეს გასაგებია, რადგან სახელდობრ აქ, სახელდობრ ამ სფეროში მარქსმა და ენგელსმა გააკეთეს უდიდესი ნაბიჯი წინ. ჰეგელი აქ ყველაზე უფრო დაძველებულია და ანტიკვარულადაა ქცეულიო“⁶; მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰეგელი გვევლინება მარქსის ისტორიულ წინამსრობლად ამ საკითხში და ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შემოვხაზოთ ისტორიის ჰეგელიანური გაგება, სანამ ფორმაციებზე მარქსიზმის მოძღვრების განვითარებას უშუალოდ შევხებოდეთ.

ჰეგელის ისტორიოსოფიას ჩვენ გადმოვცემთ თვით ჰეგელისავე სიტყვებით და უმთავრესად მისი, ენგელსის მიერ ზემოთ დასახელებული ნიგნის მიხედვით.⁷

ჰეგელისათვის „ისტორიის ფილოსოფია ნიშნავს სხვას არაფერს, როგორც მის (ისტორიის) აზროვნულ განხილვას.“ დანვრილებითი გამოკვლევა ისტორიაში ხედავს გარკვეულ გონიერ გეგმას ღვთისა მსოფლიო სულის სახით. ისტორიის ფილოსოფიამ უნდა გადასწყვიტოს სამი ძირითადი საკითხი:

1. როგორია აზრი დ საბოლოო მიზანი მსოფლიო ისტორიისა;
2. რა საშუალებით ხორციელდება ეს მიზანი;

1 „Ленинский сборник“, IX, 139.

2 იქვე 199.

3 იქვე.

4 კ.მარქსი და ფრ.ენგელსი – „წერილები“, 1923 ტფ. 342.

5 Г. В. Плеханов „Сочинения“, VII, 33.

6 „Ленинский сборник“, XII, 163.

7 H e g e l – „Vorlesungen, Ober die Philosophie der Weltgeschichte“, 1923, L.

3. როგორია თვითგანვითარების გზა (პერიოდები), ანუ მსვლელობა მსოფლიო ისტორიისა.¹

„იდეა, მსგავსად მერკურისა... ჭეშმარიტად არის ის, რაც წარმოადგენს მსოფლიოს ხალხთა ხელმძღვანელს და სული კი, მისი გონიერი აუცილებელი ნება, არის ის, რაც ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მსოფლიო მოვლენებს“. ფილოსოფიას აქ შეაქვს ის ჭეშმარიტი აზრი, რომ მსოფლიოში ბატონობს გონება, რომელიც შეიცნობს ისტორიაში გეგმას ღვთიური განჭვრეტისა და განაგებს მსოფლიოს. ამ თვალსაზრისით მსოფლიო ისტორია არის „მდიდარი პროდუქცია შემოქმედი გონებისა“.

ვითარდება რა სულის ნიადაგზე, მსოფლიო ისტორია წარმოადგენს „გადმოლაგებას (თხრობას) და განხორციელებას საყოველთაო სულისა“, ის წარმოადგენს აუცილებელ გონიერ გამოაშკარავებას მსოფლიო სულისა. სულის ბუნება შეიძლება განმარტებული იქნეს მატერიის მიმართ მისი სრული წინააღმდეგობის საშუალებით. „როგორც მატერიის სუბსტანცია არის სიმძიმე, სწორედ ასევე ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ სულის არსება არის თავისუფლება“.² სულის ყველა თვისება ძალაში ყოფნა შეუძლიათ მხოლოდ თავისუფლების საშუალებით. ყველა ისინი წარმოადგენენ მხოლოდ საშუალებებს თავისუფლებისათვის, ყველა ისინი (სულის თვისებანი) მხოლოდ მათ ეძებენ და მათ იწვევენ არსებობისაკენ ამიტომ, ასკვნის ჰეგელი, თავისუფლება არის ერთადერთი არსება სულისა, „თავისუფლება თავის თავშივე არის ის, რაიც შეიცავს აუცილებლობას თავის თავზე (ის თვით თავისი ცნებით არის ცოდნა თავის თავზე), მიყვანას თავის თავისავე შეცნობამდე, და ამით კი, სინამდვილემდე: ის თვითონ თავისთავის მიზანია, რომელსაც ის ასრულებს და ამავე დროს ერთადერთი მიზანი სულისა“.

მაშასადამე, საბოლოო მიზანი სულის მიერ თავისი თავისუფლების შეცნობაა. ეს საბოლოო მიზანი არის ის, საითკენაც მიისწრაფვის მსოფლიო ისტორია, ეს ისაა, რაც უნდა ღმერთს მსოფლიოში და მსოფლიოსათვის; ღმერთს კი, როგორც აბსოლუტურ სრულყოფას, არ შეუძლია უნდოდეს სხვა რამ, გარდა იმისა, რომ განხორციელდეს თვით საკუთრად ნება, ე.ი. იდეა თავისუფლებისა, სული არის „ყოფნა თავისავე თავში“; ხოლო ეს „ყოფნა თავისავე თავში“ სულისა არის შეცნობა თავისივე თავისა.

1 ჰეგელს ისტორიის პერიოდებად დაყოფა აუცილებლად მიაჩნია, რამდენადაც კვლევა-ძიებას აქვს მეცნიერული ხასიათი (Гегель – „Сочинение“, IX, 1932, 94).

2 ლენინი ამ ადგილას შენიშნავს „Швах“ („Лен. сб“. XII, 153).

„თანახმად ამ აბსტარქტული განსაზღვრისა, მსოფლიო ისტორიაზე შეიძლება ითქვას, რომ ის არის ახსნა და თვალსაჩინო გადმოლაგება სულისა, სახელდობრ იმისა, თუ როგორ გამოიმუშავა მან თავის თავში ცოდნა იმის შესახებ, თუ რა არის ის. ამგვარად, ისტორიის საბოლოო მიზანია სულის მიერ თავისი თავის შეცნობა, ე.ი. თავისუფლება. ამიტომ ჰეგელი აჯამებს: „მსოფლიო ისტორია არის პროგრესი შეცნობაში თავისუფლებისა“; ხოლო პროგრესი შეცნობაში თავისუფლებისა, ჰეგელის მიხედვით, შეადგენს სუბსტანციონალურ განსაზღვრას მსოფლიო ისტორიის მთელი მსვლელობისა.

ახლა იმის შესახებ, თუ რა საშუალებებს მიმართავს თავისუფლება (როგორც მიზანი ისტორიისა) ამის რელიზაციისთვის. თავისუფლება, როგორც ასეთი, არის შინაგანი ცნება. საშუალება კი არის რაღაც გარეგანი, ე.ი. რაც ისტორიაში უშუალოდ ააშკარავებს თავის თავს. მიზნის მისაღწევად სული გამოიყენებს ყველა საშუალებათ, ყველა მოთხოვნილებათ, მთელ ადამიანურ მოქმედებათ, მთელ ვნებათ. „ისტორიის ახლოს გაცნობა ჩვენ გვარწმუნებს, რომ ადამიანთა მოქმედებანი თავიანთ საწყისებს იღებენ მათი მოთხოვნილებათაგან, მათი ვნებათაგან, მათი ინტერესებიდან, ხასიათიდან და ტალანტიდან, და ამასთანავე ისე, რომ ამ ასპარეზზე (ადამიანური) მოქმედებისა, სახელდობრ, მხოლოდ მოთხოვნილებანი, ვნებანი, ინტერესები არის ის, რაც წარმოადგენს აღმძვრელ მიზეზს და გამოდის, როგორც მთავარი მოქმედი ფაქტორი“. ყველა დანარჩენი თამაშობს მეორეხარისხოვან როლს. ნამდვილად ისინი არსებობენ ინდივიდთა მოღვაწეობის მეშვეობით, ინდივიდთა მიდრეკილებისა და ვნების მეშვეობით. ვნების ქვეშ უნდა გესმოდეს მოღვაწეობა კერძო ინტერესებისათვის.

ისტორიაში არაფერი არ ხდება უიმისოდ, რომ არ განხორციელდეს ინტერესი იმათი, რომელნიც ხელს უწყობენ ხოლმე საქმეს. ვნების დეზი მიერეკება ინდივიდუმს მოქმედებისაკენ: ის მთლიანად ეძლევა ვნების საგანს; ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ არაფერი დიდი არ წარმოშობილა ვნების გარეშე და ჩაურევლად. ანხორციელებს რა თავის კერძო ინტერესს, ყოველი ინდივიდუმი სწორედ ამით ხელს უწყობს საერთო მიზნების განხორციელებას. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ მთელი განუზომელი მასა სურვილებისა, ინტერესებისა და მოღვაწეობათა – ყოველივე ეს არის იარაღები და საშუალებანი მსოფლიო სულისა, მის მიერ თავისი მიზნის შესრულებაში. მთელი ხალხები და ისტორიული მოღვაწეები წარმოადგენენ სულის ბრმა იარაღებს. კერძო ინტერესები ხორციელდე-

ბიან არა იმგვარად, როგორც ეს ცალკე პირებს უნდოდათ. ადამიანთა მოქმედების წყალობით მიიღება კიდევ სხვა შედეგები, ვინემ ის, რომელთა შესახებ იციან და რაიც მათ სურთ. მათი ინტერესების განხორციელებასთან ერთად ხორციელდება მეორეც, სახელდობრ ის, რაიც შეუმჩნევლად ერია მათ მიზნებში; რალაც საყოველთაო (ზოგადი) მონაწილეობს კერძო ცალკეულ მიზნებში ადამიანებისა და ხორციელდება მათი მეშვეობით.

ამგვარად, ჰეგელისათვის ისტორიის საბოლოო მიზანია თავისუფლება, ხოლო უკანასკნელისათვის მისალწვევი საშუალებანი კი არიან ადამიანთა ვნებანი და მოღვაწეობანი.

პიროვნება, ცალკე ინდივიდუმი, რომელმაც თავისი ყოფნა შეუთანხმდა თავის ხასიათს და სურვილებს, ცხოვრობს ბედნიერად, მაგრამ ასე როდია მსოფლიო ისტორიაში. სახელმწიფოში ცხოვრების შეთანხმება მიიღწევა მხოლოდ დიდი შრომით. მსოფლიო ისტორია არის ბედნიერების ასპარეზი: ბედნიერების პერიოდები კი მასში ეს მხოლოდ ცარიელი გვერდებია, რადგან ეს არის პერიოდები თანხმობისა, წინააღმდეგობათა არ არსებობისა. ისტორიის გზა მიიმართება წინააღმდეგობათა და ადამიანების ვნებათა ბრძოლის მეშვეობით. ვნების სიდიადე მდგომარეობს მიზნის სიდიადეში, რომელიც მას ასულდგმულებს. ამიტომ, ის პირები, რომელთა კერძო მიზნები თანხვდებიან ქვეყნის საერთო ინტერესებს, მაღლდებიან დანარჩენებზე, როგორც მსოფლიო ისტორიული მოღვაწეები.

„ისტორიულ პირებს, მსოფლიო ისტორიულ ინდივიდუუმებს წარმოადგენენ ისინი, რომელთა მიზნებში თავის განხორციელებას პოულობს ისეთი საყოველთაო (ზოგადი), რომელიც წარმოადგენს თვითმსრობულ და თავისივე თავის განმახორცილებელ იდეას (ჭეშმარიტებას)“... „დიდ ადამიანებს ისტორიაში წარმოადგენენ ისინი, რომელთა კერძო მიზნები შეიცავენ იმ სუბსტანციონალურს, რაიც შეადგენს ნებას მსოფლიო სულისა“. ამგვარად, კერძო ინტერესი ვნებისა განუწყვეტლივ დაკავშირებულია ზოგადის გამოაჰკარავებასთან, იმიტომ, რომ ზოგადი წარმოადგენს შედეგს კერძო ინტერესებისა მათს უარყოფაში. ისტორიულ ცხოვრებაში ბრძოლაზე გამოდის არა ზოგადი (საყოველთაო) იდეა, ის რჩება უვნებელი. გონების მოხერხებულობა (სიეშმაკე) სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის აიძულებს ადამიანების ვნებებს – იბრძოლონ. „იდეა იხდის ხარკს კონკრეტული ყოფიერებისა და ხრწნადობისა არა თავის–თავისაგან, არამედ ინდივიდუმათა ვნებათაგან“... ასეთია საშუალებები მსოფლიო ისტორიის მიზნის მისაღწევად.

ახლა გადავხედოთ მომენტს მასალისა, რაიც უნდა განხორციელდეს ზემოხსენებულ ღონისძიებათა მეოხებით. ასეთი მასალა, უწინარეს ყოვლისა, არის თვით სუბიექტი მისი ადამიანური მოთხოვნილებებით. განხორციელება ადამიანის სუბიექტური ნებისა და გონებისა შეადგენენ ჩვეულებრივ მთელს: სახელმწიფოს. ვიხილავთ რა ორ მომენტს – იდეას და ადმიანთა ვნებას, შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული საშუალო, ერთისა და მეორისა, არის ჩვეულებრივი თავისუფლება სახელმწიფოში. სახელმწიფოში ყოველ ინდივიდუმს, ექვემდებარება რა ის საერთო მიზნებს, იმავე დროს აქვს თავისი თავისუფლება და სარგებლობს მითი, რამდენადაც ეს თავისუფლება გვევლინება ნებაში ზოგადისაკენ.

მსოფლიო ისტორიაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ ხალხებზე, რომელთაც შექმნეს სახელმწიფო, რადგანაც სახელმწიფო არის რეალიზაცია თავისუფლებისა. ამიტომ ყოველივე ღირებულს, რასაც ფლობს ადამიანი, ის ღებულობს სახელმწიფოსგან. „სახელმწიფო არის ღვთიური იდეა თავის იმ ფორმაში, როგორაც ის არსებობს დედამიწაზე“. თავისუფლება თავის ობიექტურ გამოხატულებას ღებულობს საელმწიფოში, რომლის კანონებზე დაქვემდებარება არის თავისუფლება, რადგან ის გამოხატავს დაქვემდებარებას თავისივე თავისადმი: „იმ გზით, რომ სახელმწიფო, მამული შეადგენს კონკრეტული ყოფიერების მთლიანობას, უქვემდებარებს რა სუბიექტურ ნებას ადამიანისა კანონებს; სახელმწიფო ამ გზით ჰქრება წინააღმდეგობა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის“. მთლიანობა ზოგადისა და კერძოსი არის სწორედ თვით იდეა სახელმწიფოისა, რომელიც ვითარდება ისტორიაში. „სახელმწიფო არის გონიერი, თავისთავის ობიექტურად მცოდნე და თავისთავისთავის არსებული თავისუფლება“.

მსოფლიო ისტორიაში სახელმწიფოს იდეა გონიერად ერთიანდება ცოცხალ მთლიანობაში გარკვეული ერისა. სახალხო ინდივიდუალობა მსახურებს სახელმწიფო სუბიექტად. „სახელმწიფო, მისი კანონები, მისი დაწესებულებანი და წესრიგი შეადგენენ ინდივიდუალთა უფლებებს სახელმწიფოში; მისი ბუნება, ნიადაგი, მთები, ჰაერი, წყლები შეადგენენ მის ქვეყანას, მის მამულს(სამშობლოს), მის გარეგან საკუთრებას. ამ სახელმწიფოს ისტორია, მისი (მოქალაქეთა) საქმეები, როგორაც ის, რაც შექმნეს მათ წინაპრებმა, ეკუთვნით თვითონ მათ და ცოცხლობენ მათს მოგონებებში. ყოველივე არის მათი კუთვნილება, როგორც მეორე მხრივ, თვითონ ისინიც ეკუთვნიან მას, სახელმწიფოს, რადგან უკანასკნელი შეადგენს მათს სუბსტანციას, მათ ყოფიერებას“. ეს ზოგადი სული შეადგენს

ცალკე ხალხთა სულს. ის მდგომარეობს და გამოხატულია სახელმწიფოში. თავის მხრივ, გარკვეული სული მოცემული ხალხისა არის მხოლოდ ერთგვარი ინდივიდუმი მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ მიდის სული თანდათან შემეცნებისაკენ, რაიც თავდაპირველად მასში მხოლოდ ბუნდოვნად ისახება; შემდეგ ის ნახულობს მის მთავარ პუნქტებს და, დასასრულ, სული აღწევს შემეცნებას მთელ მის სისრულეში. ამგვარად სახელმწიფო არის ყველაზე სრული რეალიზაცია სულისა, ისტორიულ სიამდვილეში.

მსოფლიო სულის განვითარების საფეხურებად მსახურებენ მსოფლიო ისტორიული ხალხები, ე.ი. ისინი, რომელთაც შექმნეს სახელმწიფო. მაგრამ ყოველი ხალხი, მას შემდეგ, რაც აღწევს თავისუფლების შემეცნებას, მიდრეკილია დაცემისა და დალუპვისაკენ. მისი მიზნების განხორციელება არის მისი იმავდროული დალუპვა. ასე, სიცოცხლიდან წარმოიშება სიკვდილი და სიკვდილიდან სიცოცხლე. განვითარება მიდის დაბალი საფეხურიდან მაღალისაკენ და პირველნი ჩაინთქმებიან უკანასკნელთაგან. ხალხი ვითარდება საყოველთაო საფეხურამდე მისი სულისა. „ამ პუნქტში წარმოსდგება შინაგანი აუცილებლობა ცვლილებისა. ეს ცვლილება წარმოსდგება და განვითარება იწყება ახალი საფეხურიდან წინ ახალი საყოველთაო საფეხურამდე სულისა. ასეთია ისტორიის დიალექტიკური პროცესი. საქმის არსება იმაში მდგომარეობს, რომ საბოლოო(სასრული) ისაზღვრება არა მხოლოდ გარედან, არამედ მოსპობილ უნდა იქნეს და გადავიდეს თავის წინააღმდეგობაში საკუთრად თავისი შინაგანი ბუნების ძალით“.¹

თვით სქემა მსოფლიო ისტორიისა ჰეგელმა შემდეგნაირი სახით წარმოადგინა: ობიექტური სული, რომელიც იქცევა ჩვეულებრივად, გადის სამ საფეხურს:

ა) ჩვეულებრივი სული უშუალოდ ჩნდება ოჯახში, რომელიც აშენებულია სიყვარულის ბუნებრივ გრძნობაზე, ეს სისხლითი კავშირია;

ბ) გამრავლების გამო ოჯახი იყოფა. ცალკე პიროვნება ხდება მიზანი თავისთავად; მათი შეხებით წარმოიშობა შეზღუდულობათა სისტემა. ყოველი პიროვნება ზღუდავს მეორეს. გაბატონებულია კერძო სამართალი. ერთის ბატონობის საზღვრები მდებარეობს მეორის ბატონობის ფარგლებში – ეს სამოქალაქო საზოგადოებაა;

გ) წინააღმდეგობა პირადი ინტერესებისა და გარეშე შეზრუდულობათა, ამოსწურავს რა თავის შინაარსს, სწყდება ისევ მთლიანობაში.

¹ ჰეგელის მიერ იგივე აზრებია განვითარებული „ენციკლოპედიაშიაც“. იხ. Гегель – „Сочинения“, I. „Энциклопедия философских наук“, кн. I, 1929, 135-136.

პირადი ინტერესი შედის ჰარმონიაში საზოგადოებრივთან. ობიექტური სული მის უმაღლეს გამოვლინებას აღწევს სახელმწიფოში. მაშასადამე, ეს საფეხურებია: ოჯახი, სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო.¹

როგორც ცნობილია, ისტორიის ჰეგელიანური გაგების პირველი მეცნიერული შეფასება მარქსმა და ენგელსმა მოგვცა. ამ მხრივ აღსანიშნავია განსაკუთრებით ფრ. ენგელსის „ლუდვიგ ფეიერბახი“. როგორც თვითონვე აღნიშნავს, ენგელსი აქ იძლევა დასკვნებს, რომელიც ჰეგელის მეთოდს² (რევოლუციურს) მოსდევს, მაგრამ თვით ჰეგელს ეს დასკვნა ამ სახით არასოდეს მოუცია. ჰეგელი „იძულებული იყო სისტემა აეგო, ფილოსოფიური სისტემისაგან კი ჩვეულებრივ მოითხოვენ იგი ამა თუ იმგვარი აბსოლუტური ქეშმარიტებით დამთავრდეს“. ამიტომ, რამდენიც არ შეეცადა ჰეგელი, განსაკუთრებით თავის „ლოგიკაში“, ხაზგასმით აღენიშნა, მუდმივი ქეშმარიტება მხოლოდ ლოგიკური, ე.ი. აგრეთვე ისტორიული პროცესია და სხვა არაფერიო, იგი იძულებული გახდა საზღვარი დაედო ამ პროცესისათვის იმიტომ, რომ სადმე ხომ უნდა დაემთავრებინა თავისი სისტემა.³

ხოლო „სისტემის მარტოოდენ შინაგანი მოთხოვნილებებიც ნათელყოფენ, წერს ენგელსი, თუ რატომ მოვიდა აზროვნების უკიდურესად რევოლუციური მეთოდი მშვიდობიან პოლიტიკურ დასკვნასთან“. ხოლო ჰეგელის ფილოსოფიის რევოლუციონური ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ მან ერთხელ და სამუდამოდ დაგვანახა, რა უაზრობაა, რომ ადამიანური გონების და მოქმედების რომელიმე შედეგს მუდმივი და უცვლელი მნიშვნელობა მივანეროთ. ქეშმარიტება, რომელიც ფილოსოფიამ უნდა შეიტანოს, ჰეგელს უკვე ეჩვენებოდა არა მზამზარეულ დოგმატურ დებულებათა კრებულად... მისთვის ქეშმარიტება თვით შემეცნების პროცესში მდგომარეობდა, მეცნიერების გრძელ ისტორიულ განვითარებაში ცოდნის ქვემო საფეხურიდან ზემოზე ადის, მაგრამ არასოდეს აღწევს ისეთ წერტილს, სადაც საბოლოოდ შეჩერდებოდა ... ისტორიაში საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთი მეორის მომდევნო სისტემები წარმოადგენენ მხოლოდ წარმავალ საფეხურებს ადამიანთა საზოგადოების დაუსრულებელი განვითარებისა, რომელიც ქვემოდან ზემოთ მიდის. ყოველი საფეხური აუცილებელია იმ დროს იმ პირობებში, რომელშიაც ის წარმოიშვა.

1 ასეთი სქემა მოცემულია ჰეგელის მიერ „ფილოსოფ.პროპედევტიკაშიაც“: Гегель – „Введение в философию“, 1927, & 201, 202.

2 ჰეგელის მეთოდზე იხ. მარქსი – „ფილოსოფიის სილატაკე“, 167–170.

3 ფრ. ენგელსი – „ლუდვიგ ფეიერბახი“, 1932 ტფ.9.

მაგრამ სულ სხვა შედეგამდე მივყავართ ჰეგელის სიტემას, რომელიც უდავოდ დოგმატური იყო და ამგვარად სისტემის დოგმატური შინაარსის აბსოლუტურ ქეშმარიტებად გამოცხადებით, წინააღმდეგობაში ვარდებოდა მისივე დიალექტიკურ მეთოდთან. „და ეს შეეხებოდა არა მარტო ფილოსოფიურ შემეცნებას, არამედ ისტორიულ პრაქტიკასაც. კაცობრიობა, რომელიც ჰეგელის სახით აბსოლუტური იდეის შემეცნებამდე ამაღლდა, პრაქტიკულადაც ისე შორს უნდა წასულიყო, რომ შესძლებოდა ამ აბსოლუტური იდეის სინამდვილეში გატარება. ამიტომ აბსოლუტურ იდეას თავისი თანამედროვეებისათვის მეტისმეტად ფართო პოლიტიკური მოთხოვნილებები როდი უნდა წარედგინა, აი, ამიტომ „სამართლის ფილოსოფიის“ დასასრულში ჩვენ ვტყობილობთ, რომ აბსოლუტური იდეა უნდა განხორციელდეს იმ წოდებრივ მონარქიაში, რომელსაც ფრიდრიხ ვილჰელმ – III ასე დაჟინებით და ასე ამაოდ, რომ აღუთქვამდა თავის ქვეშევრდომებს“.¹

ამ სისტემაში ჰეგელის დასკვნის სპეციალური ფორმა, ცხადია, იმ გარემოებით აიხსნება, რომ ჰეგელი „თავის თანამედროვე გოეთესავით გვარიანი ფილისტერი იყო...“, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა მის ფილოსოფიას ბევრად უფრო ფართედ ყოფილიყო გავრცელებული, ვინემ სხვა რომელიმე წინანდელი სისტემა.

როგორც სჩანს, ჰეგელის ფილოსოფიას ჰქონდა კონსერვატიული მხარე: სისტემა; და რევოლუციური მხარე: დიალექტიკური მეთოდი. მაგრამ როგორც ფრ. ენგელსი წერს, „ეს მეთოდიც გამოუსადეგარი იყო იმ სახით, რომელიც მას ჰეგელმა მისცა“. რადგანაც „ჰეგელისათვის ყველაფერი, რაც მომხდარა და რაც ხდება, სწორედ ისაა, რაც მის საკუთარ აზროვნებაში სწარმოებს“;² ანდა, რადგანაც: „ჰეგელისათვის დიალექტიკა ცნების თვითგანვითარებაა“;³ იმიტომ, რომ როგორც ლენინი განმარტავს, „ჰეგელისათვის ტრიადის დიალექტიკური კანონების მიხედვით განვითარება იდეისა განსაზღვრავს სინამდვილის განვითარებას“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, „მისტიფიკაცია, რომელიც განიცადა დიალექტიკამ ჰეგელის ხელში, სრულიადაც არ უშლის ხელს იმას, რომ პირველად ჰეგელმა გვამცნო ამომწურავად და შეგნებულად მისი საყოველთაო მოძრაობის ფორმები“.⁴ მაგრამ „ჰეგელის დიალექტიკა თავდა-

1 ფრ. ენგელსი – „ლუდვიგ ფიეიერბახი“, 10; შეადარე: Гегель – „Сочинения“ I, 1929, 12, 14; აგრეთვე : Гегель „Сочинения“, IX, „Лекции по истории философии“, кн I, 1932, 4.

2 კ. მარქსი – „ფილოსოფიის სიდატაკე“, 170.

3 ფრ. ენგელსი „ლუდვიგ ფიეიერბახი“, 40.

4 კ. მარქსი – „კაპიტალი“, I, XIII.

ყირა დგას“ და „საჭირო იყო ამ უკუღმართობის გამოსწორება“;¹ რაიც მარქსმა გააკეთა მისი ფეხზე დაყენებით, მის მისტიურ გარსს შიგნით რაციონალური გულის აღმოჩენით.

ლენინი წერს, რომ ჰეგელიანური აბსტრაქტული და უთავბოლო დიალექტიკის არსება აღმოაჩინეს, შეიცნეს, გაიგეს, გამოაკეთეს, გასწმინდეს მარქსმა და ენგელსმაო.² სხვა ადგილას ლენინი კიდევ შენიშნავს, რომ „ჰეგელის ლოგიკის გამოყენება არ შეიძლება მოცემული სახით... მისგან უნდა ამოვარჩიოთ ლოგიკური (გნოსეოლოგიური) გამონაკრთომები, რომელიც უნდა გავსწმინდოთ იდეათა მისტიკიდანო“;³ ხოლო იმის შესახებ თუ როგორ გაკეთდა ეს, მოვუსმინოთ თვით ფრ.ენგელსს:

„შეცდომა (ჰეგელისა - პ.გ.) მდგომარეობს იმაში, რომ ეს კანონები (დიალექტიკისა - პ.გ.) არ არიან გამოყვანილნი ბუნებასა და ისტორიიდან, არამედ უკანასკნელთათვის თავზე მოხვეულია, როგორც აზროვნების კანონები. აქედან გამომდინარეობს მთელი განაწამები და ხშირად საშინელი კონსტრუქცია: ქვეყანა - სურს მას ეს თუ არა - უნდა დაეთანხმოს ლოგიკურ სისტემას, რომელიც თვითონ წარმოადგენს მხოლოდ პროდუქტს ადამიანის აზროვნების განვითარების გარკვეული საფეხურისა. თუ ჩვენ გადავატრიალებთ ამ ურთიერთობას, მაშინ ყოველივე ღებულობს მეტად მარტივ სახეს და დიალექტიკური კანონები, რომლებიც იდეალისტურ ფილოსოფიაში მეტისმეტი საიდუმლოებით გამოიყურებიან, ერთბაშად მარტივად და გასაგებად იქცევიან“.⁴

ამგვარად, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ისტორიის განვითარებაზე ჰეგელის მოძღვრების, თუნდაც ასე, მეტად შემოკლებულად გაცნობა, რადგან, როგორც ენგელსი წერს, „ეს (ჰეგელის) ეპოქის შემქმნელი გაგება ისტორიისა გახდა უშუალო თეორიული წინამძღვარი ისტორიის ახალი, მატერიალისტური გაგების და უკვე ამის წყალობით მოცემულ იქნა დასაყრდენი წერტილი ლოგიკური მეთოდისათვის“.⁵

ჩვენ უკვე გავეცანით თუ როგორია აზრი და საბოლოო მიზანი ისტორიისა, ჰეგელის გაგებით, რა საშუალებით ხორციელდება ეს მიზანი და როგორია თვით გზა აბსოლუტური სულის თვითგანვითარებისა ისტორიულ პროცესში. ახლა კი შვირდეთ იმ „პერიოდებზე“, რომელსაც ჰეგელის აბსოლუტური სული გადის თავის განვითარებაში, რის საფუძველზედაც

1 ფრ. ენგელსი – „ლუდვიგ ფეიერბახი“, 57.

2 Ленинский сборник IX, 127.

3 Ленинский сборник XII, 203.

4 Ф. Энгельс – „Диалектика природы“ 1930, 157.

5 კ. მარქსი – „პ.ეკ. კრიტიკისათვის“, 247.

ჰეგელი იძლევა კაცობრიობის ისტორიული განვითარების დაყოფას „მსოფლიოებად“:

1. აღმოსავლეთური მსოფლიო (აქ შედიან ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, დასავლეთ აზია, ეგვიპტე);

2. ბერძნული და რომაული მსოფლიო (– ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია);

3. გერმანული მსოფლიო: (აქ განიხილება „გერმანული მსოფლიოს“ ისტორია ბიზნატიის იმპერიიდან კარლოს დიდის იმპერიამდე, როგორც პირველი პერიოდი; საშუალო საუკუნეების ისტორია – როგორც მეორე პერიოდი; და თანამედროვეობის ისტორია, როგორც მესამე პერიოდი, როგორც ცალკე განყოფილება).¹

ასეთია, მაშასადამე, „პერიოდიზაცია“, რომელსაც იძლევა ჰეგელი. ახლა, ჩვენ მას შემდეგ, რაც ზემოთ ძირითად საზებში უკვე გავეცანით იმ მთავარ მომენტებს, რაიც მარქსიზმმა მოგვცა ისტორიის ნამდვილი მეცნიერული გაგებისათვის, შეგვიძლია შევჩერდეთ პროგრესულ ფორმაციებზე მარქსიზმის მოძღვრების ჩამოყალიბების განხილვაზე და იმაზედაც, თუ როგორ ესმის მარქსიზმ-ლენინიზმს ძირითადი სპეციფიკურობანი თვითეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა.

1 სავსებით ასეთ ან თითქმის სავსებით ასეთ „პერიოდიზაციას“ იძლევა ჰეგელი თავის „ფილოსოფიის ისტორიაშიც“: Гегель – „Сочинения“ IX, 1932.

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე

Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge